



მოქმედი პირები

მეფე რიჩარდ მეორე.

ჯონ გონტი, ლენკასტერის მთავარი
ედმუნდ ლენვლი, იორკის მთავარი } მეფის ბიძები.

ჰენრი, ბოლინბრუკად წოდებული, ჰერფორდის მთავარი,
ჯონ გონტის ძე, შემდეგ — მეფე ჰენრი მეოთხე.

ოვირლის მთავარი, იორკის მთავრის ძე.

ტომას მოუბრაი, ნორფოკის მთავარი.

სარის მთავარი.

გრავი სოლზბერი.

ლორდი ბარკლი.

ბუვი

ბეზობტი } მეფე რიჩარდის დაახლოებული პირები.
გრინი }

გრავი ნორთამბარლენდი.

ჰენრი პერსი, პოტსპერად წოდებული, მისი ძე.

ლორდი როსი,

ლორდი უილზი.

ლორდი უიცუოტერი.

კარლაილის ეპისკოპოსი.

უესტმინსტერის აბატი.

ლორდი მარშალი.

სერ პირს ექსტონი.

სერ სტივენ სკრუპი.

უელსელის რაზმის უფროსი.

დედოვალი, მეფე რიჩარდის მეუღლე.

გლოსტერის მთავრის მეუღლე.

იორკის მთავრის მეუღლე.


დედოვლის სეფეპალი.

ლორდები, გვირგვინი, ასისტანტები, ჯარისკაცები.

მეზღვეები, მადლიერები, უიკრიკი, მადონიზა და

სხვა მსახურები.

მოქმედების ადგილი — ინგლისი და უელსი.



მოქმედება პირველი

სურათი პირველი

ლონდონი. ოთახი სასახლეში.

შემოდან მეფე რიჩარდი მხლებლებითურთ. ჯონ გონტი და სხვა დიდებულები.

რიჩარდი

მცოვანო ჯონ გონტი, ლენკასტერო პატივდებულო, ხომ მოიყვანე, ფიცისა და წესის თანახმად, პენრი ჰერფორდი, ვაუიშვილი შენი მამაცი, რათა მან ტომას მოუბრეის, ნორფოკის მთავარს, აქ მართებულად დაუმტკიცოს ბრალდება მძიმე, რაიცა მაშინ მოუცლელმა ვერ მოვისმინეთ?

გონტი

ღიან, მეფეო.

რიჩარდი

ესეც მითხარი, შეამოწმე იგი თუ არა. იქნება ძველი მტრობის გამო ბრალსა სდებს მთავარს, თუ ღირსეულად, ვით ქვეშევრდომს შეეფერება, რავე დალატი შეატყო და ამხილა იგი?

გონტი

როგორც შევიტყვე ჩემი ძისგან, თქვენს ბრწყინვალეებას მთავრის მხრით თურმე ემუქრება აშკარა საფრთხე. თავი მიზეზი გახლავთ ესა და არა მტრობა.

რიჩარდი

მაშ, მოუწოდეთ, აქ დაუდგენ ერთურთს პირისპირ და ერთმანეთზე დანახისხლად ალესილები ბრალმდებელიც და ბრალდებულიც ვალაპარაკოთ. (რამდენიმე მხლებელი გადის.)

ორივ ზვიადი მრისხანებით აღსავსე არის, ზღვასავით ყრუა გაწყრომის ჟამს, ცეცხლივით ჩქარი.

(შემოდან მხლებლები ბოლინგბრუკსა და მოუბრეისთან ერთად.)

ბოლინგბრუკი

დაე მრავალ წელს არ მოგაკლდეთ ბედნიერი დღე, ჩემო ბრწყინვალე მეუფეო უსაყვარლესო!

მოუბრეი

კვლავაც შეგმატოს ყოველმა დღემ ბედნიერება, ვიდრე თვით ზეცა, მიწის მიმართ აღსავსე შურით, თქვენს დიად გვირგვინს უკვდავების სახელს მოჰფენდეს!

რიჩარდი

ორთავეს გმადლობთ, თუმცა თქვენში ერთი პირფერობს, ვითარცა ცხადყოფს მობრძანების თქვენის მიზეზი. ერთი მეორეს ბრალადა სდებთ უმძიმეს ღალატს. რას იტყვი, ჰერფორდ, რა შიუძღვის დანაშაული, გვითხარი, ტომას მოუბრეის, ნორფოკის მთავარს?

ბოლინგბრუკი

ჯერ ერთი ვიტყვი, ზეცა იყოს ჩემი მოწამე! რომ ქვეშევრდომის ერთგულებით და სიყვარულით

ვდარაჯობ მუღამ ჩემი მეფის უშიშროებას და უკანონო სიძულვილი უცხოა ჩემთვის, და სწორედ ამან მომიყვანა მეფის წინაშე. შემდეგ კი, ტომას მოუბრეი, მოგმართავ შენა, კარგად აღნიშნე, რასაც ვიტყვი, რადგან ჩემს ნათქვამს დედამიწაზე დაამტკიცებს ჩემი სხეული, ან ჩემი სული პასუხს აგებს ზეცის წინაშე. გეტყვი! შენა ხარ მოღალატე და მწვალებელი და არა ღირსხარ სიცოცხლისა, ღალატში მარჯვევ. რაც უფრო სუფთა არის ზეცა, მით უფრო მაშინ მახინჯად მოჩანს მოცურავე ღრუბელი მასში. რადგანაც ვიცი, ერთხელ კიდეც ეს სიტყვა გამხელს, შიგ ყელში ჩაგჩრი მოღალატის საზიზღარ სახელს. და თუ იქნება ჩემი მეფის სურვილი მალი, ამ ენით ნათქვამს დაგიმტკიცებს ეს ჩემი ხმალი.

მოუბრეი

ნუ დააბრალებთ ჩემს ცივ სიტყვებს გრძნობის სიცივეს, აქ ხომ მოჩხუბარ დედაკაცთა განსჯა არ ხდება, არც ორ ალესილ მწარე ენას ძალუმს ძახილით გადასჭრას სწრაფად ატეხილი ჩვენს შორის დავა. მხურვალე სისხლი საამისოდ ჯერ უნდა დაცხრეს. მე თვითონ ისეთ მოთმინებას ვერ დავიკვებნი, რომ მთლად დაემუნჯდე და ჩავივლო მუცელში ენა, მაგრამ მაჩერებს მოწყალეების თქვენის წინაშე პატივისცემა და ისა სდებს ჩემს ენას ლაგამს, თორემ იქამდე ვაჭუნებდი, ვიდრე ორმაგად დაუებრუნებდი მათ წარმომთქმელს ღალატის სიტყვებს. აღარაფრად ვთვლი მაგის მეფურ სისხლს და სიდიდეს, ჩემი ხელმწიფის ნათესავად არცა ვრაცხ მაგას, კაცად არ ვაგდებ, ფურთხის ღირსად მიმიჩნევია, ცილისმწამებელს, არამზლადს და მზლას უწოდებ. ამის საბუთად უპირატეს პირობას მივცემ და შევებებები, თუნდაც ფეხით წასვლა მომიხდეს თოვლით მოსილი ალპის მთების ქარაფებამდე, ან რომელიმე სხვა უდაბურ ქვეყნის კუთხემდე, სადაც გაბედავს ინგლისელი ფეხისა დადგმას. ჯერჯერობით კი ეს აკმარეთ ჩემს ერთგულებას: ყველა ჩემს იმედს გეფიცებით, ტყუის ცბიერი.

ბოლინგბრუკი

გაფითრებულო, მოცახცახე, მშიშარა კაცო, მე გიწვევ ხმალში, ჩემი გვარის მიუხედავად, ჩემს მეფურ სისხლს და წარმოშობას გვერდზე გადავდებ. ღირსებით არა — შიშით გახდი გამოწაკლისი და თუ სიმხდალემ დაგიტოვა საკმაო ძალა, დაიხარე და საწინდარი აიღე ჩემი. ამით და ყველა რაინდული წესის მიხედვით დაგიდასტურებ, იარაღით ხელში, პირისპირ, რაც მოგახსენე და იმაზე უარესს სხვასაც.

მოუბრეი

ვიღებ საწინდარს და საქვეყნოდ ვფიცავ ამ მახვილს, რამაც წოდება რაინდისა დამადო მხარზე,

პასუხსაც ვაგვცემ სათანადო ზომით და წესით, რაც კი რაინდულ სამსჯავროზე მიღებულია. და როცა ბრძოლის ასპარეზზე გამოვალ ცხენით, თუ მოღალატე ვიყო, მაშინ მომესპოს დღენი!

რიჩარდი

რა ბრალს სდებს ჩვენი ბიძაშვილი ნორფოკის მთავარს? მისი ბრალდება მძიმე უნდა იყოს უთუოდ, რომ ჩაგვინერგოს ცუდი აზრი მთავრისა გამო.

ბოლინგბრუკი

საქვეყნოდ ვამბობ, თავმდება ჩემი სიცოცხლე, რომ მოუბრეიმ რვა ათასი ნობლი² მიიღო, რათა მიეცა ჩვენი მეფის ჯარისკაცთათვის, მაგრამ უხნეო საქმეთათვის გამოიყენა, ვით მატყუარა მოღალატემ და არამზადამ. ამასაც ვიტყვი, და ბრძოლაში დავადასტურებ, აქვე ან სადმე, სულ უშორეს მხარეში თუნდაც, ყველგან, სადაც კი შეუვლია თვალი ინგლისელს, რომ ეს თვრამეტი წელიწადი ჩვენს ქვეყანაში³, რაც კი ღალატი რამ მომხდარა, ყველა ღალატის ყოფილა ეს ცრუ მოუბრეი თავი და წყარო. ამასაც ვიტყვი, და იმასაც დავადასტურებ და დავამტკიცებ მისი შავი სიცოცხლით აქვე, გლოსტერის მთავრის სიკედილშიაც ბრალი მიუძღვის⁴, მან მოისყიდა მალემრწმენი გლოსტერის მტრები, და ამის შემდეგ, როგორც მზდალმა, მუხანათურად სისხლის ნაკადში ამოჰხადა უმანკო სული⁵. ახლა ის სისხლი, ვით აბელის სამსხვერპლო სისხლი, დღაღებს, ჰბორგავს დედამიწის უენო უხში და მომიწოდებს სიმართლისთვის შურისძიებად. და მეც ბრწყინვალე ჩემი გვარის ღირსებას ვფიცავ, ან შურს ვიძიებ, ან ჩემს გვამსაც გამოხრავს მიწა.

რიჩარდი

რაოდენ მაღლა შემართულა მხნეობა მისი! აბა, რას იტყვი, ტომას ნორფოკ, ამ ბრალდებაზე?

მოუბრეი

ჩემმა ხელმწიფემ დაე წუთით იბრუნოს პირი, უბრძანოს სმენას დაყრუება უმცირესი ხნით, ვიდრე ვაუწყებ მისი სისხლის შეურაცხყოფელს, უფალსა და კაცთ რაოდენ სძაგთ ეგ მატყუარა.

რიჩარდი

ჩვენი თვალი და ჩვენი სმენა მიუკერძოებლად განსჯიდა, თუნდ ის ყოფილიყო მშა ან მემკვიდრე და ეს კი მხოლოდ მამაჩემის ძმისწული გახლავს. ჩემს სამეფო კვერთხს გეფიცები, ნათესაობა და სიახლოვე ჩვენი წმიდა სისხლისა მიმართ არ დაიფარავს და მისდამი მიკერძოებას წრფელი და მტკიცე სული ჩემი არ გამოიჩენს. ის, მოუბრეი, შენი მსგავსი ქვეშევრდომია და თქვი უშიშრად, რისი თქმაც კი მოგიწოდებია.

მოუბრეი

გამ აწ, ბოლინგბრუკ, მოისმინე და შენს მდაბალ გულს
 მაგ მატყუარა ყელით ამცნე სიცრუე შენი.
 სამი ნაწილი იმ ფულისა ქალაქ კალემში
 ხელმწიფის ჯარებს გადავეცი, როგორც წესია.
 მეოთხე წილი დავიტოვე პირობისამებრ,
 რადგან ხელმწიფეს ჩემი ვალი დაელო, როცა
 საფრანგეთიდან დელოფალი ჩამოუყვანენ.
 ვერ გადავლაქე ეგ ტყუილი. რაც შეეხება
 გლოსტერის სიკვდილს, სამწუხაროდ, მე არ მომიკლავს,
 მოვალეობა ჩემი წმინდა ვერ შეეასრულე.
 კეთილშობილო ჩემო ღორღო ლენკასტერისა,
 ჩემი მტრის მამავ, ღირსეულად პატივცემულო,
 თქვენი სიცოცხლე ერთხელ მართლაც ხელვეყავ

ნამდვილად.

ეს ბოროტება ერთ ხანს ცოდვილ სულს მიმძიმებდა,
 მაგრამ მე იგი ვაღიარე ზიარების ჟამს,
 გთხოვეთ შენდობა და მივიღე კიდეც, მე ვგონებ.
 ეს დავაშავე. სხვა ბრალდებას რაც შეეხება,
 გადაკარებულ მოლაღატის და არამზადის
 სიმხალისა და სიავისგან მომდინარეობს.
 ამ აზრს ჩემი მხრით ვაჟაკცურად დავიცავ კიდეც.
 მეც საწინდარი დამიგდია აქ ჩემს პასუხად
 ამპარტავანი მოლაღატის ფერხთა წინაშე
 და დავამტკიცებ, რომ ერთგული ვარ აზნაური,
 თუმცაღა დავღვრი სამეფო სისხლს, საუკეთესოს.
 მეფეო, ჩემი ერთადერთი სურვილი გახლავთ,
 ჩვენი შეხვედრის ღრო და ჟამი დანიშნოთ ახლავ.

რიჩარდი

განრისხებულნო, მოღით გონზე და მომისმინეთ,
 დააშოშმინეთ მგზნებარება და სისხლს ნუ დაღვრით.
 თუმცა ექიმი არ გახლავართ, ეს უნდა გითხრათ
 ღრმა გულისწყლული სამკურნალოდ ღრმა ჭრილს

მოითხოვს.

შერიგდით, მორჩით, დავიწყებით გაიქრობთ ურევებს,
 არც ვარგებულა ძარღვის გახსნა ამ თვეში თურქე.
 სათავეშივე, ბიძაჩემო, ჩავაქრობთ დავას,
 თუ თქვენ დააცხრობთ თქვენს შვილს, მე კი —
 ნორფოკის მთავარს.

გონტი

მშვიდობას ჩემი ხანიც ბრძანებს და მეცა ვცდილობ.
 ნორფოკის მთავრის ხელთათმანი დააგდე, შვილო.

რიჩარდი

შენც გადააგდე, ნორფოკ.

გონტი

ჰარიო, შვილს აღევს ვალად

არ ათქმევინოს ეს ბრძანება მამამისს კვალად.

რიჩარდი

ნორფოკ, დააგდე, მეფე ბრძანებს, არ გეუბნება.

მოუბრეი

ჩემს თავს დავაგდე შენსავ ფერხთით, მომე უფლება.
 ჩემი სიცოცხლე გეკუთვნის შენ, არა სახელი.
 სიცოცხლეს მოგცემ, მაგრამ სახელს ჩემი მძრახველი
 ვერ შეურაცხყოფს, ის იცოცხლებს ჩემს საფლავს
 ზემოთ.

ნურც შენ იკადრებ მის შერცხვენას, ხელმწიფეე ჩემო!
 მე ბრალი დამდეს, დამამცირეს, დამწამეს ცილი,
 სულში მაძგერეს მოწამლული ლახვარი წვრილი,
 მაგრამ მალამოდ დამედება იმისი სისხლი,
 ვინც მე მომწამლა.

რიჩარდი

დაშოშმინდი, ნუ ელავე რისხვით.

მომე, თათმანი; თვინიერ ჰყოფს ავაზას ღომი¹⁰.

მოუბრეი

აი, ინებე, თუ ხარ ჩემი შერცხვენის მღომი.
 მეუფეე ჩემო, საუნჯეა ჩვენთვის სახელი,
 როცა ის არის უზადო და შეულახველი.
 თუ მოგცხეს ჩირქი, კაცი მაშინ არაფრად ღირზარ,
 მხოლოდ ოქროთი მოხატული იქნები თიზა.
 ვით ცხრაკლიტულში ძვირფასი ქვა, მშვენებით სრული,
 ჩვეს ერთგულ მკერდში გვიდგას მხოლოდ მამაცი სული.
 სახელი — ჩემი სიცოცხლეა, ორივე ერთია.
 სახელს წამართმევთ, ჯობს სიცოცხლე რომ
 წაგერთმიათ.

ვებედავ, მეფეო, და ჩემს ზრახვას ჩამოვხსნი რიდეს;
 ვიცოცხლებ მისთვის და მისთვისვე მოვკვლები კიდეც.

რიჩარდი

შენც, ბიძაშვილო, ხელთათმანი დააგდე მყისვე.

ბოლინგბრუკი

ო, ღმერთო ჩემო, ესდენ მიმე ცოდვისგან მიხსენ!
 ნუთუ მამის წინ უნდა თავი მოვიჭრა ასე
 და დავამცირო შიშით გვარი, ღირსებით სავსე,
 ამ არამზადას გამო? ნუთუ ჩემმავე ენამ
 უნდა ღირსება დასჭრას ჩემი, წარმკვეთოს სმენა
 მდაბალი სიტყვით? კბილით დავგლეჯთ მონურ იარაღს.
 უკან დახვეის მთქმელ ჩემს ენას ვაქცევ იარაღ,
 გადმოვაფურთხებ ჩემი ხორცის სისხლიან ნახვეს
 და შევახეთქებ მოუბრეის შერცხვენის სახეს.

(გონტი გადის.)

რიჩარდი

არა თხოვნისთვის, ბრძანებისთვის ვართ ჩვენ შობილი.
 რადგანაც თქვენი დაზავება ვერ მოვახერხეთ,
 მაშინ ემზადეთ; პასუხს აგებთ თქვენი სიცოცხლით
 წმიდა ლამბერტის ღღეს¹¹, კოვენტრის გაშლილ
 მინდორზე.

იქ გადაწყვეტენ თქვენი ხმლები და ხელშეუბეი, რომელს მეტი გაქეთ სიძულვილი დანაგუბები. რაკი ავრე ვსურთ, მართალ კაცად იმასა ესახავთ, ვინც გამარჯვებას იზეიმებს თქვენს შორის ლაღად. მარშალო, გზირებს დაავალე ბრძოლის მზადება, და თავის დროზე ყველგან მისი გამოცხადება.

(გაღიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე რ ი

ოთახი ლენკასტერის მთავრის სასახლეში.

შემოდან გონტი და გლოსტერის მთავრის მეუღლე.

გონტი

ვაგლახს ვუდსტოკის² სისხლ-ხორცი ვარ და გულს ეს მიწეავს

ათასჯერ უფრო, ვიდრე თქვენი ოხვრა-გოდება, მამხედრებს იგი უღმობელი მკვლელობის მიმართ, მაგრამ რადგანაც მკვლელთა დასჯა იმის ხელთაა, ვინც ჩაიდინა ცოდვა იგი, რა დავერჩენია, ვარდა იმისა, რომ განებებს მივანდოთ შუღლი? დადგება ჟამი, როს უფალი შურისძიების მღუღარე წვიმას გადმოუშვებს მკვლელების თავზე.

გლოსტერის მეუღლე

ნუთუ შენს ძმობას მეტი გრძნობა არ გააჩნია? შენს ბებერ სისხლში სიყვარულის ცეცხლი ჩამქრალა? ეღუარდის შეიდი ვაჟიშვილი და, შენც მათ შორის, იყავით მისი წმიდა სისხლის შეიდი ფიალა, იყავით შეიდი რტო, ერთ ფესვზე ამოხეთქილი. შეიდათგან ზოგი თვით ბუნების ძალამ გააჩნო, ზოგი მოჰკვეთა ბედისწერის ბასრმა მახვილმა, მაგრამ ტომასი, ქმარი ჩემი, ჩემი სიცოცხლე, ეღუარდის წმიდა სისხლით სავსე ერთი ფიალა, მეფური ფესვის შტო გაშლილი, აყვავებული, მომტვრეულია, დაღერილია ძვირფასი სისხლი, მოჩენილია და დამტყნარან მწვანე ფოთლები მოშურნის ხელით, სისხლიანი მკვლელის ნაჯახით. აჰ, გონტ, ეს სისხლი შენიც იყო. იმ სარეცელმა, იმავე წიაღმა, იმავე სახით, შენსავით ისიც დაბადა კაცად. და თუმცა შენ ცოცხლობ და სუნთქავ, შენც კი მკვდარი ხარ ამით. მაგრამ მონაწილეობ საკუთარ მამის მკვლელობაში, თუ შეგიძლია შენი ღვიძლი ძმის სიკვდილს ასე მშვიდად უმზირო, ვინც სიცოცხლეში იყო ასლი მამაშენისა. გონტ, მოთმინებას ნუ უწოდებ უიმედობას. შენი სისხლ-ხორცის მკვლელობას თუ ამგვარად იტან, გზას მიასწავლი საკუთარი სიცოცხლისაკენ, შენცენ მომავალ შიშველ ბილიკს უჩვენებ მკვლელებს. მღაბიო ხალხი მოთმინებას რასაც უწოდებს,

ფერმერთალ სიმხდალეს არქმევს იმას კეთილშობილი. სხვა რაღა ვითხრა? რათა იხსნა სიცოცხლე შენი, უნდა გლოსტერის სიკვდილისთვის შური იძიო.

გონტი

მე ღვთის ნებაა, რადგან თვითონ უფლის ნაცვალნი და მოადგილე, უფლის მიერ მირონცხებული, არის მიზეზი სიკვდილისა. უსამართლობას ზეტა თვით განსჯის, მე არ ძალძიძს რისხვით აღსავსემ მისი მსახურის წინააღმდეგ აღმართო ხელი.

გლოსტერის მეუღლე

ვაჰმე, უბედურს! სად ვინივლო, ვისღა მიემართო?

გონტი

უფალს, ქვრივების მფარველსა და გულშემატკივარს.

გლოსტერის მეუღლე

მამ, ავრე იყოს. მოხუცო გონტ, იყავ მშვიდობით. კოვენტრის მიხვალ, რათა შენი თვალთ იხილო ჩვენი ჰერფორდის ბრძოლა გულქვა მოუბრეისთან. ჩემი მეუღლის ჯავრმა ნეტავ ჰერფორდის ლახვარს გააბობინოს მოუბრეის მძვინვარე მკერდი, და თუ პირველმა იერიშმა არ გასჭრა მაინც, დე დაამძიმონ მოუბრეი ცოდვემა ისე, რომ ჩაემტვრიოს ხერხემალი აქაფებულ ცხენს და ყირამალა გადმოაგდოს მისი მხედარი, მხდალს ათხოვნილის შეწყნარება ჰერფორდისათვის. მშვიდობით იყავ, გონტ, მეუღლე შენივე ძმისა მწუხარებაში დაამთავრებს სიცოცხლეს თვისას.

გონტი

მშვიდობით, დაო, კოვენტრისკენ ვიჩქარო უნდა. რაც ჩემთვის მიწა, შენც იმასვე ვისურვებ მუღამ.

გლოსტერის მეუღლე

ერთ სიტყვას გეტყვი: მწუხარება, ძირს დაცემული, მალლა მსუბუქად როდი აღის, არამედ მძიმედ. გამოგეთხოვე, მაგრამ ვიწყებ ლაპარაკს, ეხედავ. სადაც მეგონა, არ დამთავრდა იქ ჩემი სევდა. გადაეც შენს ძმას, ედმუნდ იორკს სალაში ჩემი, სულ ეს მინდოდა... მაგრამ არა, დამაცა ცოტა. თუმც სულ ეს იყო... მოიცადე მცირე ხნით... ოღნაჟ... ჯერ მოვიგონო, რა მინდოდა? ასე უთხარი... ჰო, რა მინდოდა? მინახულოს ჰლემში³ მალე. რა სანახაუი დაუდგება იორკის თვალებს! შიშველ კედლებსა და უკაცურ ოთახებს ნახავს და ფილაქანებს ძირს დაფენილ, უდაბურ ქვათა. რას გაიგონებს ჩემი ოხვრა-ვაების გარდა? მარტო სალაში გადაეცი, ნუ ურჩევ მოსვლას იქ, სად ყველაფერს მწუხარების ელფერი მოსახვს. ვიცხოვრებ მარტოდ და მოვკვდები მარტო წვალებით, გეთხოვებიან ცრემლით სავსე ჩემი თვალები, (გაღიან.)

სურათი მესამე

გაშლილი მინდორი კოვენტრის მახლობლად. გამზადებული ასპარეზი და სამეფო ტახტი, გზირები და მხლებლები.

შემოდიან ლორდი მარშალი და ომერლი.

მარშალი

ბატონო ომერლ, ჰარი ჰერფორდ შეიარაღდა?

ომერლი

თხემით ტერფამლე და სწყურია ბრძოლის დაწყება.

მარშალი

ტომას ნორფოკი, ვულოვანი და მხიარული მოელის თავის ბრალმდებელის საყვირის ძახილს.

ომერლი

მაშ, რაღა დარჩა, რაინდები მზად თუ არიან, მარტო ხელმწიფის მობრძანებას თუ ველოდებით!

(საყვირების ხმა. შემოდის მეფე რიჩარდი და ჯდება სამეფო ტახტზე; აგრეთვე შემოდის გონტი, ბუში, ბეგოტი, გრინი და შეიარაღებული მოუბრეი, როგორც მოპასუხე. მას წინ მოუძღვის მებუკე.)

რიჩარდი

მარშალო, ჰკითხე ამ ფალაგანს მოსვლის მიზეზი, ახჯარასხმული ასპარეზზე რად გამოცხადდა? მოსთხოვე, თანაც გაგიმხილოს სახელი თვისი და დააფიცე, წესისამებრ, სიმართლის დაცვა.

მარშალი

ღვთისა და მეფის სახელით გთხოვ, გვარქვი, ვინა ხარ? რისთვის მოსულხარ რაინდულად ახჯარასხმული? ვის წინააღმდეგ, რა მიზეზით ამხედრებულხარ? გვარქვი მართალი, რაინდული ფიცის თანახმად, მფარველად გექმნენ განგება და შენი მხნეობა!

მოუბრეი

ნორფოკის მთავარს, მოუბრეი მქვია, ტომასი, და ასპარეზზე მომიყვანა ჩემმავე ფიცმა, ღმერთი ჰფარვიდეს რაინდს ფიცის გატენისაგან! მოუედი, რათა დავამტკიცო ჩემი სიმართლე და ერთგულება ღვთისადმი და ხელმწიფისადმი, ჰერფორდის მთავრის საპასუხოდ, რომელიც ბრალს მდებს.

მოუედი, რათა დავამტკიცო თავის დაცვის ჟამს, განგების მაღლით და ამ ჩემი მკლავის წყალობით. ის მოლაღატე არის ღვთისა, მეფისა, ჩემი, და ვით მართალი ვიყო, ისემც მფარვიდეს ზეცა! (თავის ადგილზე ჯდება. ისმის ბუკის ხმა. შემოდის შეიარაღებული ბოლინგბრუკი, როგორც ბრალმდებელი. წინ მებუკე მოუძღვის.)

რიჩარდი

მარშალო, ჰკითხე მაგ რაინდსაც, იარაღსხმულს, ვინ არის იგი, ასპარეზზე რისთვის მოსულა, სრულად მხედრული საჭურველით ტანთ შემოსილი. ამასთან ჩვენი ადათის და წესის მიხედვით სიმართლის ფიცი მასაც აქვე დაადებინე.

მარშალი

ვეითხარ, რა გქვია და აქ რისთვის მობრძანებულხარ, ამ სახელმწიფო ასპარეზზე მეფის წინაშე? ვის წინააღმდეგ გამოდიხარ? რის თაობაზე? თქვი, ვით რაინდმა ჰქმარიტმა, ღმერთიმც გიშველის!

ბოლინგბრუკი

ჰარი, ჰერფორდი, ლენკასტერი და დარბი მქვია, საასპარეზოდ ვდგავარ აქ მე ახჯარასხმული, რათა განგების წყალობით და ჩემი მხნეობით ვუმტკიცო ტომას მოუბრეის—ნორფოკის მთავარს, რომ ის ცბიერი და საშიში მოლაღატეა ზეცაში ღვთისა, ძირს მეფისა და შემდეგ ჩემი. და ვით მართალი ვიყო, ისემც მფარვიდეს ზეცა!

მარშალი

სიკვდილის შიშით არ გაბედოს მქ-ნორციელმა ამ ასპარეზზე ფეხის დადგმა ან მიკარება, გარდა მარშლისა და აგრეთვე იმ ჰირებისა, ვინც ხელმძღვანელობს ამ რაინდულ სანახაობას.

ბოლინგბრუკი

ნება მიბოძე ჩემი მეფის ხელს ვეამბორო, მოვდრიკო მუხლი ბრწყინვალეების მისის წინაშე, რადგან მეცა და მოუბრეიც მწირებსა ვგავართ, რომელთაც გრძელი და დამღლევი გზა აირჩიეს. ნება მიბოძეთ საზეიმოდ გამოვეთხოვოთ, მშვიდობა ვუთხრათ სიყვარულით ყველა მეგობარს.

მარშალი

თქვენს ბრწყინვალეებას ბრალმდებელი მიესალმება, გეთხოვებათ და თქვენი ხელის ამბორს თხოულობს.

რიჩარდი (ჩამოდის ტახტიდან)

დაბლა ჩამოვალთ და თვითონვე გადავეხვევით. როგორც მსახურებ, ბიძაშვილო, საქმესა მართალს, ისემც გწყალობდეს ზედი, მეფურ ბრძოლას რომ მართავს! მშვიდობით! თუკი შენს სისხლს დაღვრის მახვილი მტრული, გიგლოვებთ, მაგრამ არ გაირდებით ვიძიოთ შური?

ბოლინგბრუკი

ნურავის თვალი ატირდება კეთილშობილი, თუნდაც ღვეცე მთავრის შუბით გულგაპობილი.

როგორც შევარდენს სურს შეიპყროს მცირე ფრინველი,
უნდა გაჩვენოთ მსგავსი ბრძოლა გასაკვირველი.
მშვიდობით იყავ, მეუფეო ძვირფასო ჩემო,
შენცა, ლორდ ომერლ, ბიძაშვილო კეთილშობილო.
ავად არა ვარ, მაგრამ სიკვდილს პირისპირ შევხვდი,
ახალგაზრდულად, ლაღად სუნთქავს ეს ჩემი მკერდი,
როგორც ინგლისურ ნადიმებზე ხშირად მინახავს,
უტკბილესი რამ ბოლოსათვის შემომინახავს.
შენ, ჩემი სისხლის შემოქმედო ამქვეყნიერო,
ჩემში აღმსდგარა შენი სული ახალგაზრდული
და მე მამაღლებს სიმამაცის გაორკეცება,
რომ გამარჯვებას მივწვედ დიადს, ჩემზე უმაღლესს.
ლოცვა-კურთხევით ჩემს იარაღს შეჰმატე ძალა,
შენი კურთხევით შუბი ჩემი გააფოლადე,
რათა გახიოს მოუბრეის სანთლის პერანგი
და გონტის სახელს მიუმატოს კვლავ ელვარება
მისივე შვილის ღირსეულმა, მართალმა საქმემ.

გონტი

უფალმა მოგცეს გამარჯვება მართალ საქმეში
შეტაკების ჟამს იყავ სწრაფი, ვითარცა ელვა,
შენი მახვილის ძალა იყოს ორჯერ ორმაგი
და როგორც მეზი ეცემოდეს გამაყრუებლად
შენი უღირსი, არამზადა მტრის მუხარადზე.
წამოადღულე სისხლი შენი ახალგაზრდული!

ბოლინგბრუკი

წმიდა გიორგი და სიმართლე ჩემთან არიან!
(ჯდება თავის ადგილზე.)

მოუბრეი (დგება)

რა ხვედრიც უნდა მომიმზადოს დმერთმა თუ ბედმა,
ცოცხალიც, მკვდარიც — სულ ერთია, მეფე რიჩარდის
დიდებული ვარ, გულმართალი, ტახტის ერთგული.
ასე გულწრფელად არც ერთ მონას არ უღბენია
მონობის ჯაჭვის მოშორება და ასე ლაღად
არ შეხვედრია იგი ოქრო თავისუფლებას,
რა შევებითა და მოღბენითაც დღესასწაულობს
ამ ბრძოლის ნადიმს ჩემი სული გაღაღებული.
მეფევე ძლიერო, მეგობარო ჩემო პერებო,
ხვებედნიერსა მომავალსა თქვენთვის ვისურვებ.
საომრად მივალ, თითქოს იყოს სეირი დიდი.
მართალი კაცი არა შფოთავს, სული აქვს მშვიდი.

რიჩარდი

მშვიდობით, მილორდ, შენს თვალეში, აშკარად ვხედავ,
გამბეღაობა სიკეთესთან სადგურობს ერთად.
მარშალო, ბრძანე მოემზადონ, დაიწყონ ბარემ.
(მეფე და დიდებულები უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს.)

მარშალი

ჰარი ჰერფორდო, ლენკასტერი და დარბი, შენი
შუბი მიიღე და წყალობდეს უფალი მართალს.

ბოლინგბრუკი (დგება)

მტკიცე, ვით ციხე იმედის ჟამს, ვიძახი! „ამინ“.

მარშალი (ასისთავს)

ეს შუბი ტომასს გადაეცი, ნორფოკის მთავარს.

პირველი გზირი

ჰარი ჰერფორდი, ლენკასტერი და დარბი აქ დგას.
უფლის, ხელმწიფის, საკუთარი თავის დამცველი,
რათა ლაჩრად და მატყუარად არ ჩაითვალოს,
და დაუმტკიცოს მოუბრეის, ნორფოკის მთავარს,
ლალატი ღეთისა, ხელმწიფისა და მის წინაშე
და ამისათვის საბრძოლველად გამოიწვიოს.

მეორე გზირი

აქა დგას ტომას მოუბრეი, თვითონ ნორფოკი,
რათა ლაჩრად და მატყუარად არ ჩაითვალოს,
დაიცვას თავი, და, ამავე დროს, დაუმტკიცოს
ჰენრი ჰერფორდსა, ლენკასტერს და დარბის ლალატი,
ღეთისა, მეფის და მთავრის მიმართ მუხანათობა.
თავისუფალი ნებით იგი და მამაცურად
მოელოდება მხოლოდ ბრძოლის დაწყების ნიშანს.

მარშალი

დაცხეთ ნალარას! მებრძოლებო, წინ წამოდექით.
(ისმის ბრძოლის მარწყვებელი ნალარის ხმა.)

შეჩერდით, მეფემ ძირს დააგლო თავისი კვერთხი.

რიჩარდი

იქით გადასდოს მუხარადი და შუბი თვისი
და თვისსავ სკამებს დაუბრუნდეს ორთავე ისევ.
თქვენ კი წამოდით ჩვენთან ერთად და მესაკრავეთ
დაუკრან, ვიდრე ჩვენს განაჩენს ვეტყვოდეთ მთავრებს.
(საყვირების გაბმული ხმა. ორთაბრძოლის მონაწილე
მთავრებს.)

მოგვიანლოვდით და მოისმინეთ, ჩვენმა საბჭომ რა
დაადგინა.

ჩვენი სამეფოს მიწას რათა ძვირფასი სისხლი,
ნასაზრდოები თვით მის მიერ, არ შეერიოს;
რადგანაც ჩვენს თვალს სძულს საზარი სანახაობა
მეზობლების ხმლით გადახნული იარებისა;
რადგან არწივის ფრთებიანი ამპარტავენება
პატიემოყვარე და ზეცამდე აფრენილ აზრთა
მეტოქეების სიმულვილით და შურის გრძნობით
ცდილობს დააფრთხოს თქვენი ხელით ჩვენი მშვიდობა,
რომელსაც ტკბილად სძინავს ჩვენი ქვეყნის აკვანში;
რადგან დაუდაფთა ცემის ხმაურს, უსიამოვნოს,
და საყვირების ამაზრუნენსა და უხეშ ყროყინს,
მრისხანე რკინის საჭურველის უღარუნთან ერთად,
ძალუძს დააფრთხოს, წამოაგდოს არტახებიდან

ჩვენი მშვიდობა და მოძმეთა სისხლში გვატაროს,
ამიტომ ჩვენი სამფლობელო უნდა დასტოვოთ.
შენ, ბიძაშვილო ჰერფორდ, თუკი სიცოცხლე გინდა.
ამ ჩვენს მშვენიერ სამფლობელოს განერიდები,
ვიღრე მოსავალს მოვიმკიდეთ ორჯერ ხუთ ზაფხულს,
და უცხო ქვეყნის შარავზეზე იხეტიალე.

ბოლინგბრუკი

ნება თქვენია. მზე იქნება ჩემი ნუგეში,
თქვენც რომ გაგათბოთ აქ, მშობლიურ ქვეყნის უბეში.
ეს ოქროს სხივი მისი მუდამ მემახსოვრება,
და მეც, განდევნილს, ის შემომიკობს თქვენებრ
ცხოვრებას.

რიჩარდი

ნორფოკ, შენთვის კი უფრო მკაცრი გვაქვს განაჩენი,
რომელსაც ერთგვარ სიმძიმით ვიცხადებ აქვე:
ჟამთა მსვლელობა ნელი-ნელი, გაიძვერული,
საზღვარს ვერ დასდებს სამუდამო გადასახლებას,
ეს არის ჩვენი განაჩენი: „აღარ დაბრუნდე“,
თუ სიცოცხლე გსურს, აღასრულო უნდა ეს კიდევ.

მოუბრეი

ჩემო ხელმწიფე, მეტად მძიმე განაჩენია
და ჩემი მეფის ბაგეთაგან მოულოდნელი.
არა ამგვარი ღრმა ჭრილობა და სახინრობა,
როგორც არის გაძევება სამშობლო მხრიდან,
არამედ ჯილდო უკეთესი დავიმსახურე.
ენა, რომელსაც მე ვსწავლობდი ორმოც წელიწადს,
ეს დედა ენა, ინგლისური, უნდა დაეკადო.
აწ ენა იგი უსარგებლო გახდება ჩემთვის,
ვითარცა ქნარი უსიმებო თუ ჭიანური,
დაემგვანება ის კოლოფში ჩაკეტილ საკრავს,
ან ამოდებულს, მაგრამ ისეთ ხელში ჩავარდნილს,
რომელიც მისგან ხმოვანებას ვერც კი გამოცემს.
ჩემსავე პირში ენა ჩემი თქვენ ჩამიკეტილ
ბაგეებისა და კბილების ორმაგ რიკულით
და უმეცრება, უგრძობელი და უნაყოფო,
ჩემსავე მხლებელ მედილეგედ გადააქციეთ.
მეტად მოვხუციდი, გამდელს ლაქუსს ვეღარ დაუწყებ,
ხანშიც შევედი, შეგიბრდობის დრო გამივიდა.
თურმე სიკვდილი მოგისჯია უსიტყვო შენა,
რადგან ისურვე წამრთმეოდა მე დედა ენა.

რიჩარდი

ვერას გიშველის თანაგრძნობით ადამიანი,
განაჩენს შემდგომ ევ ჩივილიც არის გვიანი.

მოუბრეი

მშობლიურ ნათელს მოწყვეტილმა სამშობლოს გარეთ
უნდა ვიხილო უსასრულო წყვდიადის მხარე.
(აპირებს წასვლას.)

რიჩარდი

ვერ შეიცადე, დასდე ფიცი და მერე წადი.
შერისხულებმა სამეფო ხმაღს დაადეთ ხელი,
შეჭვიცეთ, რაც გაქვთ ღვთის წინაშე ვალდებულება,
მეფის წინაშე აღარა ხართ აწ ვალდებული,
რომ შეასრულებთ ყოველივეს, რასაც გიბრძანებთ:
განდევნილებმა სიყვარული ერთუთრისადმი
არ იქონიოთ, და გწყალობდეთ ასევე უფალი!
ერთიერთმანეთს თვალითაც კი არ დაენახოთ,
არც წერილები გაუგზავნოთ ერთი მეორეს,
არ დააწყნაროთ ქარიშხალი თქვენს გვარებს შორის,
არც წინასწარი რამ განზრახვით შეხვდეთ ერთმანეთს,
რათა მოაწყვთ შეთქმულება, ან სხვა რამ შფოთი
ჩვენს ქვეშევრდომთა, ქვეყნისა თუ ჩვენ წინააღმდეგ.

ბოლინგბრუკი

ვფიცავ.

მოუბრეი

მეც ვფიცავ, ყველა შევასრულო.

ბოლინგბრუკი

ნორფოკ, რადგანაც შენი სახით ჩემს მტერს მიემართავ!
აი, ამჟამად, რომ ხელმწიფეს დაერთო ნება,
ერთი ჩვენგანის სული ჰაერს სახეტილოდ
ესტუმრებოდა, განდევნილი ზორცის აკლდამით,
როგორც ამ ქვეყნით ზორცი ჩვენი განდევნილია.
ვიდრემდის წახვალ, აღიარე შენი დალატი,
სავალი შორი გამოგიჩნდა, თან ნუ წაიღებ
ცოდვილი სულის ტვირთს და უღელს დამამძიმებელს.

მოუბრეი

არა, ბოლინგბრუკ, თუ ოდესმე მიღალატია,
ცხოვრების წიგნში წაიშალოს ჩემი სახელი
და ზეციდანაც განვიდევნო, როგორც აქედან.
შენ კი რაცა ხარ, ეს უფალმა, შენ და მე ვიცით
და ვშიშობ, მალე თვით ხელმწიფეც ინანებს ამას.
მშვიდობით, მეფეც, არ შემცდება ქვეყნის გზა-კვალი.
არ დავბრუნდები, წინ დიდი მატკს კიდევ სავალი.

(გაღის.)

რიჩარდი

თვალთა სარკვეში, ბიძაჩემო, აშკარად ვხედავ
შენი მწუნხარე გულის ნაღებს. დაღვრემილობა
შენი სახისა ოთხ წელიწადს ჩამომასორებს
მისი განდევნის წლებს.
(ბოლინგბრუკს.) რომ გავა ექვსი ზამთარი,
დაბრუნდი უკან, გადიყარე გულის ავღარი.

ბოლინგბრუკი

რამდენი წელი დაიბნია ამ ერთმა სიტყვამ!
ოთხ-ოთხი გრძელი ზამთარია და გაზაფხული
მეფეთა მხოლოდ ერთ სიტყვაში გადანახული.

გონტი

მადლობელი ვარ, რომ ოთხი წლით ჩემი გულისთვის ჩემს შერისხულ შვილს შეუმცირე განდევნის ვადა, თუმცა ამაში ვერ ვიპოვი ძლიერ დიდ ნუგეშს, რადგან ეს ექვსი წელიწადი ვიდრე გაივლის, შესცვლის ყოველ თვეს და ვადასაც მით შეისრულებს, ჩემი ლამპარი ჟამთასროლას ვერ შეიფერებს, ჩაქრება იგი, დამე შთანთქავს მწუხარ სიბერეს, ჩემი სანთელი დაიწვება სასომიხდელი, არ დამანახებებს ჩემს შვილს ბნელი და ბრმა სიკვდილი⁵.

რიჩარდი

შენს სიკვდილამდე, ბიძაჩემო, ჯერ დიდი დროა.

გონტი

ვერ დააყოვნებ წუთითაც კი, როდესაც მოვა. შენ შეგიძლია შემიმოკლო დღეები სევდით, მაგრამ არ ძალგიძს დამიმატო დღე თუნდაც ერთი. დაეხმარები დროს დაატყოს სახეს ღარები, ვერ შეაჩერებ კი მიმსროლავს შენი ჩარევით. შვილის განდევნით ძალგიძს სიკვდილს მე დამანებო, მაგრამ, მკვდარს, სუნთქვას ვერ მიყიდის შენი სამეფო.

რიჩარდი

განდევნილია შენი შვილი რჩევის თანახმად და შენ თვითონვე დაუჭირე განაჩენს მხარი, მაშ, რაღად უნდა ჩვენს სამართალს ეს ბღვერა ფუჭი?

გონტი

ხომ ხდება ხოლმე, გემოთი ტკბილს მწარედ თვლის როგორც მსაჯულმა იქ განხსაჯე. აქ კი ვთხოვთ ამას: განმსაჯევიანთ მისი ბედი ვითარცა მამას. რომ ყოფილიყო იგი უცხო და არა შვილი, მე ვიქნებოდი გულმთწყალე მსაჯული, რბილი. მიკერძობების დაბრალებას ვერიდე ვითომ და განაჩენით დავინგრიე ცხოვრება თვითონ. ველოდი, ეგებ ბრძანოს-მეთქი ვინმემ ჩემს ნაცვლად, რომ საკუთარ შვილს მეტისმეტად ვექცევი მკაცრად. თქვენ კი ჩემს ენას თავისუფლად მიეცით ნება, თუმცა არ სურდა, მოეტანა ჩემთვისვე ვნება.

რიჩარდი

მშვიდობით, ჩემო ბიძაშვილო. იჩქარე, ბიძავე, გამოეთხოვე შვილს ექვსი წლით და ნულარ იცავ.

(საყვირები. გადიან მეფე რიჩარდი და ამაღა.)

ომერლი

მშვიდობით, ჩემო ბიძაშვილო, რასაც აქ ლაღად ვერ ამბობ ახლა, დააბარე დაწერილ ქაღალდს.

მარშალი

არ გეთხოვებით, მილორდ, უნდა თქვენს გზა-კვალს ვიდრე ამ ხმელეთს ზღვის ნაპირის არ შესცვლის რიყე.

გონტი

ნეტაეი რისთვის, რაღა დღისთვის ინახავ სიტყვებს და მეგობართა მისალმებას არა სცემ პასუხს?

ბოლინგბერუკი

ალარა მყოფნის სიტყვა, რათა გამოგეთხოვოთ, თუმც მეტად უხვი ყოფილიყო უნდა ეს ენა, რომ ჩემი გულის დიდი სევდა გამოეხატა.

გონტი

მხოლოდ დროებით განშორება გაქვს სამწუხარო.

ბოლინგბერუკი

მაგ დროს დამტოვებს სიხარული, ხელს დამრევს სევდა.

გონტი

ექვსი ზამთარი განა რაა? სწრაფად გაივლის.

ბოლინგბერუკი

თუ ლაღადა ხარ. მწუხარეს კი უათკეცდება.

გონტი

უწოდე ამას საამური მოგზაურობა.

ბოლინგბერუკი

მაგ ცრუ სახელზე გული ჩემი ოხვრას დაიწყებს, რადგანაც ჩათვლის ნამალადვე მოგზაურობად.

გონტი

შენი დადლილი ნაბიჯების სვლა სევდიანი ჩასთვალე ბუდედ, სადაც უნდა თვითონვე ჩასვა შინ დაბრუნების მარგალიტი უძვირფასესი.

ბოლინგბერუკი

არა, ყოველი მოწყენილი ჩემი ნაბიჯი მარტოოდენ მას მომაგონებს ქვეყნად წაწაღში, თუ ვით დაეშორდი მარგალიტებს, რომლებიც მიყვარს. განა დიდი ხნის შევირდობა არ დამჭირდება, რომ უცხო გზებზე ხეტიალში ვისწავლო ბოლოს. ვით დაეიკვეზნო, როს გავხდები თავისუფალი, ვიყავი-მეთქი მწუხარების დღიური მუშა?⁶

გონტი

ყველგან, სადაც კი ზეციური თვალი მისწვდება, არის ბრძენთათვის ბედნიერი ნავსაყუდარი. შენს გაჭირვებას შეასწავლე ასე მსჯელობა, გაჭირვებაა სათნოება საუკეთესო.

ისე ჩათვალე, თითქოს მეფემ კი არ განდევნა, არამედ მეფე შენ განდევნე. უფრო ძნელია ჰირის ატანა, როცა იგონებ შენს უძლურებას. ვითომც სახელის მოსახვეჭად გამიგზავნიხარ, არ გაუღიხარ თითქოს მეფეს, წარმოიდგინე. ვითომც ჰაერში შავი ჭირი გამეფებულა, შენც განერიდე და ჯანსაღი ჰაერი ჰპოვე. სანატრელი რამ იქ იგულე, საითაც მიხვალ, და არა იქა, საიდანაც ხარ წამოსული. ვითომც ყოფილან ფრინველები მემუსიკენი, ბაღახი, ფეხქვეშ გაფენილი, სრა შემკობილი, ყავილი — ტურფა ასულები და სიარული შენი — ვით ცეკვა შეწყობილი, სიამის მგვრელი. იცოდე, იმას უფრო ნაკლებ უღრღნის გულს სევდა, ვინც მას მსუბუქად უყურებს და დასცინის მეტად.

ბოლინგბრუკი

ვის შეუძლია ხელში ეპყრას ცეცხლი და თანაც ეგონოს თავი ფინულოვან კავკასიონზე? ან ვინ დაიცხრობს გულ-მუცელის დამდადეკელ შიმშილს, გამოიღოს სუფრას და ნადიმს მხოლოდ თუ წარმოიდგენს? ვინ გაგორდება ტიტლიკანა დეკემბრის თოვლში და წარმოიდგენს, რომ ზაფხულის ბული ტრიალებს? ო, არა! კარგის წარმოდგენა უფრო აშკარად, მეტი სიმწვავით გვაგონობინებს ცუდს და უარესს. ბოროტი სევდის კბილი მაშინ უფრო ვკებენს მწარედ, როცა ჭრილობას არ გვიტოვებს სხეულზე, გარეთ.

გონტი

წამოდი, შვილო, დაგაყენებ თვითონვე გზაზე. შენი ხნის ვიყო — დაუტოვებდი ამ მხარეს წამსვე.

ბოლინგბრუკი

ინგლისის მიწავ, აწ მშვიდობით, ტკბილო მამულო. ჩემო დედაო და გამდელი, მიზიდავ ისევ და განდევნილსაც შემემძლება ამისი კვებნა, ინგლისელი ვარ, სადაც უნდა ვიარო ქვეყნად.

(გადიან.)

სურათი მეოთხე

ლონდონი. ოთახი მეფის ციხე-დარბაზში.

პრტი კარიდან შემოდის მეფე რიჩარდი, ბეგოტი და გრინი, მეორე კარიდან — ომერლი და სხვები.

რიჩარდი

ჩვენც შევამჩნიეთ. ბიძაშვილო ომერლი, მითხარი, აბა, სადამდე მიაცილე ჰერფორდ მალაღი?

ომერლი

ჰერფორდ მალაღი, თუკი ასე უწოდებთ იმას, მე მივაცილე შარაგზამდე და იქ დაუტოვე.

რიჩარდი

მითხარი, ბეერი დაიღვარა გაყრის ჟამს ცრემლი?

ომერლი

არც ერთი წვეთი. ოღონდ როცა შემოგვიბერა სახეში მწარედ ქარმა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთი ობოლი ცრემლი თვალებს მოსწყვიტა სურდომ და მით შეამკო ჩვენი ყალბი გამოთხოვება.

რიჩარდი

გამოთხოვების ჟამს რა გითხრა შენ ბიძაშვილმა?

ომერლი

„მშვიდობით იყავ“.
ჩემი გული კი არ მიშვებდა, რომ ჩემსავ ენას ეს წმიდა სიტყვა შეებღალა და ისე მარჯვედ ვაჩვენე თავი მწუხარებით დამძიმებულად, თითქოს სიტყვები ჩამემარხა სევდის სამარეს. სიტყვა „მშვიდობით“ თუ დროს უფრო გააგრძელებდა და მის ხანმოკლე გაძევებას წლებს შემატებდა, მე მივართმევი თუნდ ერთ დასტა მშვიდობის სურვილს, მაგრამ რადგან ეს არ მოხდება, ერთიც არ მითქვამს.

რიჩარდი

ბიძაშვილია იგი ჩვენი, მაგრამ მე ვეჭვობ, როცა დრო კვლავ შინ მოუწოდებს დასაბრუნებლად, სისხლ-ბოროტი ჩვენი თვის მეგობრებს მოინახულებს. ჩვენ თვითონ, ბუშიმ, ბეგოტმა და გრინმა შევინაშნეთ, მღაბიო ხალხში მისი ქცევა თავაზიანი, თითქოს მათ გულში ღრმად ჩაწვდომას ცდილობდა იგი, ზრდილობიანად იმცირებდა თავს მათ წინაშე და მონებს სალამს უგზავნიდა იგი გულუხვად. ღარიბ ხელოსნებს ხელოვნური, მარჯვე ღიმილით აგრძნობინებდა, ხედავთ, ჩემს ბედს დავმორჩილდიო და თქვენს სიყვარულს ჩემთან ერთად ელის განდევნა. ქუდი მოიძრო ზამანწკების ვაჭარ გოგოს წინ; ორმა მეჯავგემ მას უსურვა უფლის წყალობა და მან კი მუხლი მოუდრიკა თავაზიანად! უთხრა: გამდლობთო, მეგობრებო, მამულისშვილნო, თითქოს ჩვენს ინგლისს მიიღებდეს შემკვიდრებლად და იგი იყოს ქვეშევრდომთა ჩვენთა იმედი.

გრინი

წავიდა იგი და თან გაჰყენენ მისნი ზრახვანიც. ახლა ვიფიქროთ ირლანდიის ამბოხებაზე. დროა, ხელმწიფევე, მის მიმართაც ვიღონოთ რამე. არ მოუმართოს დაყოვნებამ ხელი მოჯანყეთ და თქვენს მეფობას ზიანი რამ არ მიაყენოს.

რიჩარდი

ამ ომისათვის ჩვენ პირადად გავემგზავრებით. და რადგან ჩვენმა გულუხვობამ და დიდი კარის ხარჯებმა ერთობ შეამცირეს სალარო ჩვენი, იძულებული ვართ სამეფო გაცემთ იჯარით; გადაუღებელ საქმეთათვის ამ გზითა ეპოვებთ სახსარსა რასმე, მაგრამ თუ ეს მაინც არ გვეყო, ჩვენი ნაცვალნი მიიღებენ ბრძანების წიგნებს. სადაც ნახავენ მდიდარსა და შეძლებულ კაცებს, უნდა იქავე შეაწერონ მათ დიდი ხარკი და მიაწოდონ ოქრო ჩვენსავე საჭიროებას. ახლა კი უნდა გავემგზავროთ ირლანდიისკენ.

(შემოდის ბუში.)

რა ამბავია, ბუში?

ბუში

ჯონ გონტი უცბა ავად გახდა, ჩემო ხელმწიფე; მძიმე სენს რასმე შეუპყრია და ამის გამო თქვენს მეუფებას სთხოვს, სასწრაფოდ მინახულეთო.

რიჩარდი

სად არის იგი?

ბუში

ილი-ჰაუზში.

რიჩარდი

ღმერთო, მის ექიმს ჩაუნერგე ხელი შეუწყოს მის გამგზავრებას სამარისკენ დაუყოვნებლივ! მისი სალარო ამ ომისთვის ჩვენს ჯარისკაცებს დაამშვენებდა მოხდენილი ტანისამოსით. ერთად წავიდეთ, ბატონებო, მის სანახავად, შევთხოვოთ უფალს, ვინჩაროთ და დაგვაგვიანდეს.

ყველანი

ამინი

(გადაინ.)

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

ლონდონი. ოთახი ილი-ჰაუზში.

გონტი სარეცელზეა. იორკის მთავარი და სხვები გვერდით უდგანან.

გონტი

მოვა ხელმწიფე, რომ შთავბერო სიცოცხლის ნაშთი მარგებელ რჩევად დაუდგარ მის სიყმაწვილს?

იორკი

თავს ნუ იწუხებთ და თქვენს სუნთქვას ძალას ნუ ატანთ, მაინც ამაო არის რჩევა მისი სმენისთვის.

გონტი

ასე ამბობენ, მომაკვდავთა ენა იპყრობსო ადამიანთა ყურადღებას, ვით ხმა კეთილი, ცოტაა სიტყვა და ამაოდ არ იხარჯება, ის ამბობს მართალს, სიტყვის თქმის ჟამს ვინც იტანჯება.

ყმაწვილზე მეტად მას უსმენენ. სიცოცხლის მიჯნას ვინც მიაღწია და ამ დღიდან ვეღარას იტყვის. კაცის სიკვდილი სიცოცხლეზე უფრო მეტს ნიშნავს;

ვით ჩამავალ მზეს, სიმთა უღერას ვით უკანასკნელს, ბოლო ჟამს ნაგემ სიტკბოს მეტი სიტკბო ერევა, უკეთ ვიხსომებთ, ვიდრე წარსულ ბედნიერებას. და თუ რიჩარდი ცოცხლის მიმართ ყოფილა ურჩი, მომაკვდავის ხმა იქნებ მაინც შეუშვას ყურში.

იორკი

არა, მლიქვნელთა მეტყველებამ ის დააყრუა და ქების შესხმამ, მეხოტბეთა წყობილმა სიტყვამ, რომლის ავხორცულ და მომწამვლელ შეხმატკბილებას მუდამ ყურს უგდებს ახალგაზრდის სმენა მახვილი: იტალიიდან ფუფუნების ამბავი მოდის და სხვის ფეხის ხმას აყოლილი მცონარე ერი მხოლოდ ერთს ცდილობს, გადმოიღოს ეს ყველაფერი! თუ სადმე რამე სისულელე გამოჩნდა ქვეყნად, ოღონდ ახალი, მის სიგლახეს არ დაგიდევენ და იმავე წამს მეფეს ყურში ჩასჩურჩულებენ! კეთილი რჩევა მეტად გვიან გაიგონება, არეულია როცა კაცის ჭკუა-გონება. გზას ნუ ასწავლი, ვინც თავისი გზა აირჩია, დაზოგი ძალა, ვიდრე სული კიდევი პირშია.

გონტი

ასე მგონია, მომეკვლინა ზეშთავონება წინასწარმეტყველს და სიკვდილის ჟამს ეს მინდა ვოქვა!

მისი მშფოთვარე ცეცხლი დიდხანს ვეღარ ენთება,
 რადგან მძვინვარე ალი მუდამ თავის თავსა სწავს.
 წერილი წვიმაც ზომ ზანგრძლივია, შხაპუნა — მოკლე.
 ვინც შეტისმეტად სწრაფად გარბის, სწრაფად იღლება,
 მას, ვინც საჭმელს ნთქავს აჩქარებით, ახრჩობს
 საჭმელი.

ამოება ღორმუცელა, გაუმაძღარი,
 ყოელის შთანთქმელი, აღარ ზოგავს აღარც თავის თავს.
 ტახტი მეფეთა, მბრძანებელი კუნძული ესე,
 ეს მიწა-წყალი დიდებისა, მარსის² სადგური.
 სამოთხის მსგავსი, ვით მეორე ელემი იგი,
 ბუნების ხელით აგებული ციხესიმაგრე,
 ყოველგვარ ჭირთა და ომთაგან ბუნების მცველი.
 ეს ბედნიერი კაცთა მოდგმა, სამყარო მცირე,
 ეს ძვირფასი ქვა, ვერცხლის ზღვაში ბეჭდის თვლად
 მჯღარი,

რომელსაც ზღვაც კი მიუღვომელ ზღუდედ მსახურებს,
 ანუ წყლით საკვს და ღრმა თხრილად, რომელიც იცავს
 ნაკლებ ბედნიერ ქვეყანათა შურისგან ამ სახლს.
 ეს დალოცვილი მხარე, მიწა, ინგლისი ესე,
 მეფეთა ძიძა და გამდელი, წიაღი მათი,
 მოდგმით მრისხანე, დაბადებით დიად მეფეთა,
 ვისი სახელიც შორს გაჭრილა მთელ ქვეყანაზე,
 ქრისტეს სჯულის და რაინდობის სამსახურისთვის,
 და კერა ებრაელთ მხარემდეც კი მიუღწევიათ,
 სადაც მაცხოვრის, მარიამის ძის საფლავია,
 საყვარელ სულთა ეს ძვირფასი, ძვირფასი მხარე
 დეღამიწაზე გამოჩენით სახელგანთქმული,
 თითქოს ლატაკის ფერმა იყოს, ახლა იჯარით
 გაცემულია, მომაკვდავი ვაცხადებ ამას!
 ინგლისი იგი, შემორტყმული მღელვარე ზღვებით,
 რომლის კლდოვანი ნაპირებიც უკუაგდებდნენ
 ნებტუნის ალყას, გახვეულა სირცხვილში ახლა,
 მელნის ლაქებსა და ეტრატთა დამპალ ფურცლებში.
 ინგლისი იგი, ადრე სხვათა ქვეყნის მპყრობელი,
 საკუთარ თავის სამარცხვინო მპყრობლად ქცეულა.
 აჰ, ეს სირცხვილიც ჩემთან ერთად რომ გაქრებოდეს,
 რაოდენ ტკბილი იქნებოდა მაშინ სიკვდილი!

(შემოდან მეფე რიჩარდი და დედოფალი,
 ომერლი, ბუში, გრინი, ბეგოტი, როსი
 და უილობი.)

იორკი
 მეუფე მობრძანდა. ღმობიერად მოეპყარ ვმაწვილს.
 ისეც ფიცს კვიცებს შეხურება აღარ სჭირდებათ.

დედოფალი
 როგორ ბრძანდება ბიძაჩვენი კეთილშობილი?

რიჩარდი
 რა დაემართა, როგორ არის მოხუცი გონტი?

გონტი
 როგორ უხდება ეგ სახელი ჩემს ამგვარ ყოფას?
 მართლაც მოხუცი გონტილა ვარ, მკლე და ბებერი
 ჩემში მარხულობს მწუნხარება სასომიხდილი
 და ის, ვინც მარხვას შესდგომია, არ დამკლევდება?
 მძინარე ინგლისის დიდხანს ვუდექ ფზიზელ დარაჯად,
 დარაჯმა უნდა იმარხულოს, მარხული — განდეს!
 ბედნიერებას, სხვა მამათა მასაზრდოებელს,
 მოკლებული ვარ, მკაცრი მარხვით — ვეღარ ვჭვრეტ
 შეილებს,

და მარხვამ, შენგან მოვლენილმა, მე დამამკლევდა.
 დაემკლევებულვარ სასაფლაოდ, მკლე ვით საფლავი,
 რომლის წიაღსაც მხოლოდ ჩემი ძვლები ერგება.

რიჩარდი
 განა ავადმყოფს ძალუძს აგრე სიტყვის თამაში?

გონტი
 არა, ეგ მხოლოდ თავს დასცინის უბედურება.
 რადგან გსურს, მეფე, ჩემს სახელსაც ბოლო მოელოს,
 შენს საამებლად მე დაეცინი საკუთარ სახელს.

რიჩარდი
 განა მომაკვდავს ძალუძს ცოცხალს ასიამოვნოს?

გონტი
 არა, ცოცხლები აამებენ ზოლმე მომაკვდავთ.

რიჩარდი
 და შენ კი ცდილობ მომაკვდავმაც მაამო, ვხედავ.

გონტი
 არა, შენ კვდება, თუმც ავად ვარ მე შენზე მეტად.

რიჩარდი
 მე ჯანსაღი ვარ, ვსუნთქავ, ვხედავ, რომ შენ ხარ ავად.

გონტი
 შემქმნელმა ჩემმა იცის, სწორედ შენა ხარ ავად,
 და მეც ავად ვარ, იმიტომ რომ შენ გხედავ ავად.
 შენი სიკვდილის სარეცელი ქვეყნის ტოლად
 და ზედ წევს მძიმე ავადმყოფი სახელი შენი.
 შენ კი, უნაღვლო ავადმყოფმა და უზრუნველმა,
 შენი სხეული ჩააბარე, მირონცხებული,
 მკურნალთ, რომელთაც მოვიტანეს ეს სნეულება.
 შენს გვირგვინში ზის ათასობით მამაებელი,
 თუმცა გვირგვინის წრე შენს თავზე დიდი არ არის.
 და თუმც ისინი დატეულან ვიწრო საზღვრებში,
 მოაქვთ ზარალი მთელი შენი ქვეყნის ოდენი.
 ო, პაპაშენს რომ დაენახა წინასწარულად,
 მის შვილებს მისივე შვილიშვილი ვით დაღუპავდა,
 არ გაგიშვებდა თავის ტახტის შემარცხეველად,

ჩამოგაგდებდა ადრე, ვიდრე გამეფდებოდი,
რადგან თვითონვე ჩავიგდია სირცხვილში თავი.
მსოფლიოსაც რომ მბრძანებლობდე, მაინც სირცხვილი
არის იჯარით შენი ქვეყნის ასე გაცემა.
მაგრამ, ძმისწულო, როცა მხოლოდ შენს ქვეყანას

ფლობ,

მისი შერცხვენა თვით სირცხვილზე მეტი არ არის?
მეფე კი არა, შენ ინგლისის მემამულე ხარ,
ხელშეკრულების მონა არის შენი სამეფოც...

რ ი ჩ ა რ დ ი

და შენ თვითონ კი მთვარეული, მტკნარი სულელი!
ციებ-ცხელებამ აქაოდა დაგრიოა ხელი,
როგორ გვიბედავ გაყინული ჭკუის სწავლებით
დაგვაკარგეინო სახის ფერი და განრისხებულს
მეფური სისხლი ჩვენს ღაწვთაგან განგვაღვენინო!
ჩემი სამეფო ტახტის მაღალ დიდებას ვფიცავ,
დიდი ედუარდის შვილის ძმა რომ არ ყოფილიყავ,
ვმენა, ღაღად რომ ტრიალებს უკბილო პირში,
მაგ ბებერ გოგონას მოგაძრობდა ურჩი მხრებიდან.

გ ო ნ ტ ი

ნუღარ დამზოგავ, ჩემივე ძმის ედუარდის შვილო,
რადგან მეცა ვარ მამამისის, ედუარდის შვილი.
შენ სისხლი იგი, დიდებული, ვითარცა ვარზემა,
ჯერ დააქციე, შემდეგ შესვი ვით სადღეგრძელო!
ჩემი ძმა გლოსტერ, სულმართალი და ცნობიერი,
რომელსაც ღმერთმა დაუმკვიდრა სასუფეველი,
მაგალითია და მოწამეც იქნება მისი,
რომ შენი ხელით სულ იღვრება ედუარდის სისხლი.
შენც მიუმატე შენი ძალა ჩემს სნეულებას
და მაშინ შენი უწყალობა ერთბაშად მოსწყვეტს,
როგორც სიბერე კუზიანი, დამჭკნარსა ყვაივოს.
შენი სირცხვილი შენს შემდგომაც იყოს, არ მოკვდეს,
და დაიტანჯე, მოიგონებ ამ სიტყვებს ოდეს!
სარეცელს შემდგომ შევიქნები მიწით ფარული.
უხარის, ვისაც აქვს პატივი და სიყვარული.

(ძხარში შემდგარი მხლებლებს გაჰყავთ.)

რ ი ჩ ა რ დ ი

მოკვდეს ის, ვისაც აქვს საკმაო ხანი და დარდი,
შენც ორივე გაქვს, საფლავისკენ ახლავე წადი!

ი ო რ კ ი

გთხოვ, ხელმწიფეო, მიაწერო სიტყვები მისი
აჟადმყოფობის დაჟინებას და ხნიერებას.
სიცოცხლეს ვფიცავ, სწორედ ისე ხარ მისთვის

ისე უყვარხარ, როგორც პარი, თავისი შვილი.

რ ი ჩ ა რ დ ი

მართალსა ბრძანებ, პარის ტრფიალს ჰგავს გრძნობა

და საპასუხოდ მეც მაქვს გრძნობა მაგათი ღირსი.

(შემოდის ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი.)

ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი

მოხუცმა გონტმა, ხელმწიფეო, დაგიკრათ თავი.

რ ი ჩ ა რ დ ი

რაო, რას ამბობს?

ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი

ალარაფერს, თქვა ყველაფერი.

სიმდაწყვეტილი საკარავია აწ მისი ენა,
გონტის სიტყვებმა და სიცოცხლემ შესწყვიტეს დენა.

ი ო რ კ ი

დაე იორკიც მალე გაჰყვეს მის გზა-კვალს ბარემ,
მწარე სიკვდილმა დაასრულოს სიცოცხლე მწარე.

რ ი ჩ ა რ დ ი

დაეცა იგი, ვით პირველი მწიფე ნაყოფი.
იგი გათავდა. წინ გზა გვიდევს კიდეუ საყოფი.
კმარა, დრო არის მოვუბრუნდეთ ირლანდიის ომს
და გავუსწორდეთ თმაგანჩილ გაუთლელ კერნებს?
მარტო ეს შხამი გადარჩა იქ, სხვა რომ მოისპო,
და იქ ცხოვრების უფლება აქვს მოპოვებული?
რადგან ეს საქმე, მეტად დიდი, თავის ხარჯს ითხოვს,
მივისაკუთრებთ ამა მიზნის დასახმარებლად
მომრავ ქონებას, შემოსავალს, ფულსა და ავეჯს,
რასაც კი ფლობდა ბიძაჩვენი განსვენებული.

ი ო რ კ ი

რამდენი უნდა მოვითმინო და ვიყო მშვიდი?
ვალდებულებამ მომაყენა ტკივილი დიდი.
გლოსტერის სიკვდილს და პერფორდის შორს

გადაკარგვას,

გონტის შერისხვას და ინგლისის ტანჯვა-ვაებას,
საბრალთბელი ბოლინგბრუკის ქორწილის ჩაშლას,
თვით ჩემს საკუთარ შერისხვასა და შეჩვენებას
უღრუბლო სახით დაკვვედრივარ დამშვიდებული
და ხელმწიფის წინ წარბიც კი არ შემიღებია.
ედუარდის ვაჟთა შორის მე ვარ უკანასკნელი,
პირველი იყო მამაშენი, უელსის პრინცი;
იგი ბრძოლაში ღომზე უფრო უმძვინვარესი
და მშვიდობის ფაშს კრავზე მეტად მშვიდი და წყნარი,
კეთილშობილი ახალგაზრდა, უებრო პრინცი.
იმას ჰგავხარ, სწორედ შენი იერი ჰქონდა,
როდესაც იყო შენი ხნისა და წლოვანების.
მაგრამ წარსშეკვრით იგი მხოლოდ ფრანგს შეჰყურებდა,
არა მეგობრებს; მისი ხელი კეთილშობილი
ხარჯავდა იმას, რასაც თვითონ ბოიპოვებდა,
და მამამისის მონაბოვარს არ შეჰხებია.
ხელები მისი მოყვრის სისხლით არ შებღალულა,
მათ მარტოოდენ მოყვარეთა მტრის სისხლი ეცხოთ,
ო, რიჩარდ! მეტად გულმგმუნვარე არის იორკი,
თორემ ის ამგვარ შეღარებას არ შეგკადრებდა.

ტკბილი,

მისი,

რ ი ჩ ა რ დ ი

რა ამბავია, ბიძაჩემო?

ი ო რ კ ი

ჩემო ხელმწიფე,

ეს მომიტევეთ, თუ ინებებთ, მაგრამ თუ არ გსურთ, მოუტევებლად კმაყოფილი ვიქნები მაინც. განზრახული გაქვთ მართლაც თვითონ დაისაკუთროთ ჰერფორდის ყველა უფლება და შემოსავალი? გონტი არ მოკვდა და ჰერფორდი განა არ ცოცხლობს? გონტი ტყუოდა, თუ სიმართლე არ ახლავს ჰერფორდს? განა არ არის გონტი ღირსა შემკვიდრე ჰყავდეს? იქნებ უღირსი შვილი არის მისი შემკვიდრე? თუკი უფლებას ართმევ ჰერფორდს, უამსაც წაართვი ქართები და უფლებები ჩვეულებრივი: ბრძანე, არ მოჰყვეს დღევანდელ დღეს დღე ხვალინდელი.

ნურც შენ იქნები მეფე, რადგან შენი მეფობა შემკვიდრეობის უფლებით გაქვს მოპოვებული. ღმერთს გეფიცები, ღმერთმა ქნას, რომ მართლაც ვცდებოდე!

თუ უსამართლოდ ჩამოართმევთ ჰერფორდს უფლებას, მოხსენიებულს მის სიგელში, და მის ვეკილებს დაუშლით თავის მამულ-დედულს დააპატრონონ, და უარსა ჰყოფთ შემოძლეულ ქვეშევრდომულ ფიცს, მაშინ მოიხვევთ თავს ათასგვარ უბედურებას, დაკარგავთ თქვენთვის ათასობით მონღობილთა გულს და იმგვარ ზრახვებს ჩააგონებთ ჩემს მოთმინებას, რაც პატივსა და ერთგულებას არ ეგუება.

რ ი ჩ ა რ დ ი

იზრახე, რაც გსურს, მომიცია უფლება სრული. ჩვენ მიგაქვს გონტის საჭურჭლე მთლად, მამული, ფული.

ი ო რ კ ი

არც მე ვაყოვნებ, ხელმწიფეო, მშვიდობით იყავ: კვლავ რა მოხდება, ვერ აღმოსთქვამს ვერავის სიტყვა, მაგრამ ცუდი რამ საქციელი, წუხილის მგვრელი, კარგს არ მოიტანს და მეც კეთილს არაფერს ველი.

(გაღის.)

რ ი ჩ ა რ დ ი

ბუში, გრაფ უილტრიმს მიაშურე დაუყოვნებლივ, უბრძანე ახლავ გამოცხადდეს ილი-ჰაუზში. რათა მიხედოს ამა საქმეს. ხვალ დილიდანვე ირლანდიის გზას დაეადგები. დროა წავიდეთ. ბიძაჩემს იორკს ჯერჯერობით ჩვენს არყოფნაში მთელი ინგლისის უზენაეს მმართველად ვნიშნავთ. სამართლიანი არის ის და მუდამ ვუყვარდით.

წავიდეთ, ჩვენო დედოფალო, ხვალ გავიყრებით, მხიარულება მოასწარი, დრო მიიწურა.

(გაღის მეფე, დედოფალი, ბუში, ომერლი, გრინი და ბეგოტი.)

ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი

აჰა. ლორდებო, ლენკასტერის მთავარი მოკვდა.

რ ო ს ი

და მაინც ცოცხლობს. მისი შვილი გახდა მთავარი.

უ ი ლ ო ბ ი

მხოლოდ წოდებით, მაგრამ არა შემოსავალით.

ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი

სამართლით უნდა ორივესი იყოს მფლობელი.

რ ო ს ი

სივდება გული, მაგრამ უნდა დუმილით გასკდეს, თუმც ლალი ენა მას მძიმე ტვირთს მოაშორებდა.

ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი

ოღონდ კი რამ თქვი და ის ენა დადუმდეს მარად, რომელიც შენს თქმულს შემოაქცევს შენს საზიანოდ!

უ ი ლ ო ბ ი

განა ჰერფორდის მთავარზე არ ილაპარაკებ? თუკი აგრეა, გაბედულად ზმა ამოიდე, ჰერფორდის კეთილს ჩემი სმენა სიამით იღებს.

რ ო ს ი

ძალა არ შემწევს ჩავიდინო მისთვის კეთილი, თუკი კეთილად არ მიმითვლით ამ შებრალებას მამაპაპულ საკუთრებას მოწყვეტილისას.

ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი

სამარცხვინოა, გეფიცებით, ეს უმართლობა, მეფური სისხლის მქონე პრინცის და სხვათა მიმართ, ვისაც მარღვებში სისხლი უჩქეფთ კეთილშობილი ამ ჩვენს დაცემულ ქვეყანაში. ხელმწიფე ჩვენი აღარ ეკუთვნის საკუთარ თავს, ფლიდნი მართავენ მის მოქმედებას, და თუ რასმე ჩააგონებენ ჩვენ წინააღმდეგ სიძულვილით, სასტიკად გვდევენს და ავიწროებს ჩვენს შვილებსა და შემკვიდრეებს.

რ ო ს ი

ტყავი გააძრო ხალხს ბევართ და მისი გული დაკარგა სრულად. დიდებულებს ძველი შუღლისთვის ხარკი დაადო და დაკარგა იმათი გულიც.

უ ი ლ ო ბ ი

ყოველ ცისმარე დღეს ხარკს გვაწერს სულ ახალ-ახალს, გვიგზავნის წიგნებს, შესაწირავს მოითხოვს კიდევ¹⁰. ღმერთო, სადამდე მივა ნეტავ ამბავი ესე?

ნორთამბერლენდი

ომებით კი არ გვადარებებს, არ უომია, არამედ საქმის გარიგებით დაგვაგლახაკა და დაგვიკარგა წინაპართა ზმლით მონაგარი¹¹. იმათ ომებზე მეტი გვიზის მშვიდობა მისი.

როსი

გრაფ უილტშირს მთელი სახელმწიფო მიაქვს იჯარით.

უილობი

გაკოტრებულა ჩვენი მეფე ვალმორეული.

ნორთამბერლენდი

თავს დასტრიალებს სირცხვილი და გაჩანაგება.

როსი

ირლანდიაში ომისათვის ფული არა აქვს, ამ შეწერილი მძიმე ზარკის მიუხედავად და ახლა უნდა განდევნილი მთავრის გამარცხვაც!

ნორთამბერლენდი

თვის ნათესავის გამარცხა სურს უზნეო მეფეს! ქარიშხლის ხმა საშინელი გვესმის, ლორღებო, და ამ ავღრისგან თავშესაფარს კი არ დავეძებთ. ვხედავთ, გრივალი ჩვენს იალქნებს ატყდება თავზე და მაინც დაბლა მათ არ ვუშვებთ და ვიღუპებით.

როსი

ჩვენსავე დაქცევას საკუთარი თვალით ვუყურებთ. ეს განსაცდელი გარდუვალი გამხდარა კიდევც, რადგან დაღუპვის მიზეზს ვითმენთ დამშვიდებულნი.

ნორთამბერლენდი

არა, სიკვდილის ამოშრეტილ თვალის ბუდეშიც სიცოცხლეს ვხედავ, მაგრამ იმის თქმას კი ვერ ვბედავ, რაოდენ ახლოს არის ჩვენი ხსნა და ნუგეში. უილობი

გავვიზიარე შენი აზრი, როგორც ჩვენა ვთქვით.

როსი

ილაპარაკე გულახდილად, შენც, ნორთამბერლენდ, ჩვენ სამნი ვითომც ერთნი ვიყოთ და შენი თქმულიც ვითომც ფიქრია მხოლოდ ჩვენი. გაბედე-მეთქი.

ნორთამბერლენდი

მაშ, მოგახსენებთ, რომ ნავსადგურ პორ ლე ბლანიდან, ბრეტანის მხრიდან მე მივიღე ცნობა ფარულად: ჰარი ჰერფორდი, რეინოლდი, კობჰემის ლორდი, რომ დაეთხოვა ექსეტერის მთავართან კავშირს¹², მისი ძმა, ადრე მღვდელმთავარი კენტერბერისა, მასთან სერ ტომას ერპინგამი, სერ ჯონ რემსტონი, სერ ჯონ ნორბერი უოტერტონი, ფრანსის ქეონიტი,

ბრეტანის მთავრის დახმარებით ყველა ესენი აღჭურვილები რვა ზომადლით, მეომრებითურთ, რომელთა რიცხვი არის სწორედ სამი ათასი, მოადგებიან მოკლე ხანში ჩრდილოეთ ნაპირს. იქნებ აქამდე ნაპირზედაც გადმომსხდარიყვნენ, მაგრამ ელიან მეფის წასვლას ირლანდიაში. თუ მართლაც გვინდა გადავივლოთ მონის უღელი და გავამრთელოთ ჩვენი ქვეყნის მსხვერუელი ფრთები, გამოვისყიდოთ დალაქული მეფის გვირგვინი და ჩამოვბერტყოთ მტვერი, ოქროს კვერთხს რომ

მთლად ფარავს, და ავამაღლოთ კვლავ სამეფო ხელისუფლება, წამოდით მაშინ ჩემთან ერთად თქვენც რავენსპერგში. მაგრამ თუ შიშობთ და განსაცდელს მოელოთ მრავალს, ჩემს ნათქვამს მაინც ნურსად გათქვამთ. მე მართოდ წავალ.

როსი

ჩქარა, ცხენები! მაგ ლაჩრულ ეჭვს როგორა გვკადრებ!

უილობი

ცხენს მოვახტები და ვიქნები იქ თქვენზე ადრე.

(გაღიან.)

სურათი მერო

ოთახი უინძორის სასახლეში.

შემოდინ დედოფალი, ბუში და ბეგოტი.

ბუში

თქვენი წუხილი, დედოფალო, მეტისმეტია. თქვენ ზომ დაპირდით მეფეს, როცა გამოეთხოვეთ, გულისმდრღნელ სევდას ახლოს არც კი გავიკარებო და ვიქნებითი დღენიადაგ გულმხიარული!

დედოფალი

დიახ, აგრე ვთქვი მაშინ მეფის სასიამოვნოდ და ჩემი თავის სასიამოდ კი ვერ ვაკეთებ. ჩემს სტუმრად მოსულ სევდას როცა მივესალმები, მიზეზად ეს მაქვს, ისეთ სტუმარს გამოვეთხოვე, როგორიც ჩემი რიჩარდია. და მაინც ვგონებ, ბედის წიადში მწიფს ნალექი, ჯერ არ შობილი, მიახლოვდება და ცახცახებს ჩემივე სული მის მოლოდინში. რაღაცისთვის სული მწუხარებს უფრორე მეტად, ვიდრე მეფის წასვლისა გამო.

ბუში

ყოველგვარ სევდას ოცნაირი აჩრდილი ახლავს, რომელიც სევდას კი ჰგავს, მაგრამ სევდა არ არის. სევდის თვალები, ცრემლის ბინდით ამღვრეულები,

საგანსა ჰყოფენ იმავე საგნის მრავალ მსგავსებად. ეს მოგვაგონებს ზოგიერთთა შესაქცევ სურათს: სწორად ჩახედავ — თვალს გიჭრელებს, გახედავ ცერად, საგანს გაარჩევ! ასე თქვენი დიდებულებაც თქვენი ბატონის წაბრძანებას უყურებს ცერად, ხელმწიფის ნაცვლად სევდას ხედავს და ამას ნაღველობს. ეს კი, რაც არის, აჩრდილია მხოლოდ იმისი, რაც არ არსებობს. დედოფალო, მოწყალევე სამგზის, ბატონის წასვლის გამო ცრემლი თქვენს წამწამს აზის. მაგრამ ამოდ სტირით მეფეს, წასულსა სხვაგან, ნამდვილ საგნად თვლით წარმოდგენით მოგონილ საგანს.

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

იქნებ აგრეა, მაგრამ ჩემს სულს მაინც ფარულად სულ სხვა რამ სჯერა, როგორც უნდა ყოფილიყო ეგ. მე მაინც ისე მჭმუნვარედ ვარ, ისე მჭმუნვარედ, რომ თუმცა ფიქრით არა ვფიქრობ საფიქრალს არას, არარაობის აზრი მძიმე მაფრთხობს და მზარავს.

ბ უ შ ი

სულ გეჩვენებათ, ქალბატონო, მოწყალევე ჩემო.

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

სრულებით არა, მოჩვენებას ასეთს წინაპრად სევდა უძლოდეს უნდა ძველი. მე სხვა მაწუხებს. არარაისგან წარმომდგარა ეს რაღაც სევდა, ან არის რაღაც სამწუხარო ამ არარაში. ჩემი სამკვიდრო სამფლობელო ეგა ყოფილა. მაგრამ არ ვიცი, რა დავარქვა ამ უცნობ სევდას, ეს უსახელო ვაებაა, ამას კი ვხედავ.

(შემოდის გ რ ი ნ ი.)

გ რ ი ნ ი

ღმერთი გფარვიდეთ, დედოფალო. თქვენც გამარჯვება! ჩენი ხელმწიფე, იმედი მაქვს, ჯერ არ წასულა?

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

რად გაქვს იმედი? წასვლა უფრო საიმედოა, რადგან, რაც უფრო სწრაფად წავა, მით უკეთესი. რად იმედოვნებ, არ იყოსო ეგებ წასული?

გ რ ი ნ ი

რათა იმედმა ჩვენმა, მეფემ, შემობრუნებით გადააქციოს მტრის იმედი უიმედობად. ძლიერმა მტერმა ჩვენს მიწაზე შემოდგა ფეხი, გაძევებული ბოლინგბრუკი თავისი ნებით დაბრუნებულა და იარაღადმართული ღვას ის რევენსპერგში.

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

ზეციერო, შენ გადმოგვხედ!

გ რ ი ნ ი

მართალი გახლავთ, დედოფალო. უარესს ვიტყვი: ნორთამბერლენდი, ჰენრი ჰერსი — იმისი ვაჟი, როსი, ბომონდი, უილობი, ყველა ესენი თანამდგომლებთან ერთად თურმე მასვე ხლებიან.

ბ უ შ ი

რად არ აცხადებთ მერე ქვეყნის გამყიდველებად ნორთამბერლენდსა და საერთოდ ყველა მოჯანყეს?

გ რ ი ნ ი

გამოვაცხადებთ კიდეც, მაგრამ გრაფმა ვუსტერმა პასუხად კვერთხი დაამსხვრია და უარი თქვა თვის სამსახურზე. ის და მისი ყველა მსახური ბოლინგბრუკისკენ გაეშურნენ.

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

ჩემი ვაების, გრინ, შენა ხარ მეანი ქალი და ბოლინგბრუკი — ჩემი სევდის კუშტი მემკვიდრე. აწ სულმა ჩემმა, როგორც იყო, შვა პირმშო მისი და მელოგინე დედას სული ყელთ მებჯინება; მე შეუუერთე სევდას სევდა, წუხილს — წუხილი.

ბ უ შ ი

ნუ დაღონდები, დედოფალო.

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

ვის შეუძლია ეგ დამიშალოს? დავღონდები და ტყუილ იმედს მტრად დაეუდგები: მლიქვნელია და მუქთახორა იგი, რომელიც ხელს შეუშლის სიკვდილს მოვიდეს. სიკვდილი ნაზად დაარღვევდა სიცოცხლის კავშირთ, რომელსაც მხოლოდ ცრუ იმედი აგრძელებს მეტად.

(შემოდის ი ო რ კ ი.)

გ რ ი ნ ი

აჰა, მთავარიც იორკისა აქ მობრძანდება.

დ ე ლ ო ფ ა ლ ი

ბებერ კისერზე დამჩნევია ომის ნიშანი. ო, თვალთა მისთა გამოხედვა სავსეა ჯავრით. ძიავ, ღვთის მადლსა, მითხარ სიტყვა ნუგეშის მგერელი.

ი ო რ კ ი

აგრე რომ მექნა, უეჭველად ტყუილს ვიტყვოდი. ნუგეში მართო ზეტაშია, ჩვენ მიწაზე ვართ და ჩვენთან ერთად ცხოვრობს მხოლოდ ზრუნვა და ჯავრი.

მეუღლე თქვენი შორი ქვეყნის დაპყრობას ლამობს, შინ კი ხელიდან ყოველივეს აცლიან სხვები. აქ მე დამტოვა, ჩემს სამეფოს მოუარეო, მე კი, ბერიკაცს, თავისთვისაც ვერ მომივლია.

მძიმე დრო მოსდევს მის ღრეობას ზომავადასულს,
მისი პირფერი მეგობრების გამოცდას უამი.

(შემოდის მსახური.)

მსახური

ჩემს იქ მისვლამდე, მილორდ, თქვენი ვაჟი წასულა?

იორკი

წასულა? კარგი, სადაც ნებავეს, იქით წაბრძანდეს!
დიდებულები გაქცეულან, ხალხი გულგრილად
შეპყურებს ამას. ვშიშობ, ისიც ჰერფორდს ემხრობა,
აბა, ყმაწვილო, მიაშურე, საჩქაროდ ჰლეშის,
მონახულე იქ ჩემი და, გლოსტერის ქვრივი,
უთხარ, ათასი ვირვანქა მყის გამომიგზავნოს.
ჩემი ბეჭედიც თან წაიღე.

მსახური

სულ დამაუიწყდა, მილორდ, მეთქვა ერთი ამბავიც:
დღეს, აქეთკენ რომ მოვდიოდი, იქ შევიარე,
მაგრამ გულს გატკინთ, დანარჩენიც რომ მოგახსენოთ...

იორკი

თქვი, არამზადავ!

მსახური

ერთი საათის წინ ის კიდეც გარდაცვლილიყო.

იორკი

დმერთო, დაგვიხსენ! ეს რა ჭირთა მდინარე მოსკდა
და მოევლინა ამ უბედურ ქვეყანას უცებ!
არ ვიცო, რა ვქნა! უფალსა ვთხოვ, ჩემმა ხელმწიფემ
ძმის თავთან ერთად ჩემი თავიც ძირს დააგროს?
ოლონდ მიზეზი ნუ იქნება ჩემი ღალატი.
ირლანდიაში შიკრიკები გავზავნილია?
ამ ომებისთვის სად ვიშოვოთ ფული სახარჯო?
წავიდეთ, დაო, მაპატიე, ძმისწულო-მეთქი!
წადი, ყმაწვილო, შინ, ურმები შეაბმევიწე
და გაიტანე, რაც კი ნახო აღჭურვილობა.
(მსახური გადის.)

დიდებულებო, თავს არ იღებთ ჯარის შეკრებას?
მოულოდნელად უამრავი საქმე დამატყდა
და აღარ ვიცო, რანაირად გავართვა თავი,
ან რა ვიღონო. ორთავ ჩემი ნათესავია:
ერთი მეფეა ჩემი და მეც ფიცის თანახმად
უნდა დავიცვა, მოვალე ვარ. მეორეც ჩემი
ნათესავია, დანაგრული ხელმწიფისაგან,
ნათესაობაც და სინდისიც მაგვალებს დაცვას.
მაინც კი უნდა ვიღონო რამ. წამო, ძმისწულო.
იჩქარეთ ახლა, ბატონებო, შეკრიბეთ ჯარი,
მერე მობრძანდით ჩემთან ბარკლის ციხე-დარბაზში.
ძლიერ მინდოდა ჰლეშის წასვლაც.
სულ ამერია გზა და კვალი, არცა მცალია,
უპატრონობას ყველაფერი დაუძალია.

(გადიან იორკი და დედოფალი.)

ბუში

ირლანდიისკენ ქარი კარგად წაიღებს ამბავს,
მაგრამ იქიდან ვერ მოიტანს. ისეთი ჯარის
აქ შეგროვება, რომ მტრის ძალას გაუთანაბრდეს,
არ მოხერხდება.

გრინი

გარდა ამისა, ჩვენი ყოფნა მეფესთან ახლოს
მოგვიახლოებს მათ სიძულვილს, ვისაც მეფე სძულთ.

ბეგოტი

აგრე მერყევი არის ხალხი, მას სიყვარული
ქისაში უდევს და თუ ვინმე საყვარელ ქისას
უცარიელებს, სიძულვილით ევსება გული.

ბუში

სწორედ ამიტომ ჰგმობენ მეფეს საყოველთაოდ.

ბეგოტი

თუკი აგრეა, ჩვენც აგრევე მოგვექცევიან,
ჩვენ ხომ ხელმწიფის მახლობელნი ვიყავით მუდამ.

გრინი

თავის სახსნელად მივაშურებ ბრისტოლის ციხეს,
გრავ უილტშირმა შეაფარა კიდეც იქ თავი.

ბუში

მეც იქ წამოვალ შენთან ერთად, რადგან სამსახურს
გაბოროტებულ ხალხისაგან დიდს არ მოველი.
ნაკუწ-ნაკუწად დაგვგლეჯს იგი ძაღლების მსგავსად.
წამობრძანდებით ჩვენთან ერთად?

ბეგოტი

არა, მე მეფეს მივაკითხავ ირლანდიაში.
მშვიდობით, კაცის წინათგომობას თუკი აქვს ძალა,
ასე მგონია, ვეღარ ვნახავთ ერთმანეთს კვალად.

ბუში

მხოლოდ იორკი თუ განდევნის ბოლინგბრუკს უკან.

გრინი

ვაგლახ, მთავარი შესაბრალო! მას განუზრახავს
დასთვალოს ქვიშა და ზღვა კოვზით დალიოს სრულად.
თუ ერთი მომხრე გამოუჩნდა, ათასი გარბის.
აბა, მშვიდობით სამუდამოდ. დროა გავასწროთ.

ბუში

იქნებ შევხვდებით კვლავ ერთმანეთს?

ბეგოტი

ვშიშობ, არასდროს.
(გადიან.)

სურათი მესამე

უღაბური ადგილი გლოსტერში.

შემოდან ბოლინგბერუკი და ნორთამბერლენდი
ლაშქრითურთ.

ბოლინგბერუკი

კიდევ შორს არის ბარკლი, მილორდ, თუ მივეახლეთ?

ნორთამბერლენდი

მერწმუნეთ, ჩემო მბრძანებულო კეთილშობილო,
აქ გლოსტერშირში მე სრულიად უცხო გახლავართ.
ეს უღაბური და ხრიოკი მთები და გზები
გვიგრძელებს მანძილს და დიახაც დამქანცველია.
მაგრამ ეგ თქვენი საუბარი, როგორც შაქარი,
ამ ქანცის გამწვევტ გზასაც ატკბობს, სასიამოს ხდის.
სულ იმას ვფიქრობ, რა დამღლევი იქნება-მეთქი
რევენსპერგიდან კოტსოლდამდე მიმავალი გზა
უილობის და როსისათვის, რომელთაც თქვენი
თანამგზავრობა არ ეღირსათ, და მე კი ამაწ
შემიმსუბუქა სწორედ მძიმე მოგზაურობა.
მაგრამ მათ მაინც დარჩენიათ ერთი იმედი,
მიიღონ ბოლოს მაინც იგი, რაც მე უკვე მაქვს.
ხოლო იმედი მოლხენისა თვით მოლხენაზე
მცირე როდია, ამ იმედით თვისი გრძელი გზაც
შეუმოკლდებათ დაღლილ ლორდებს, ვით შემომოკლა
მე თქვენმა ტკბილმა და კეთილმა თანამგზავრობამ.

ბოლინგბერუკი

თანამგზავრობა ჩემი უფრო ნაკლებადა ღირს,
ვიდრე ეგ თქვენი კარგი სიტყვა. ნეტა ვინ მოდის?
(შემოდის ჰენრი პერსი.)

ნორთამბერლენდი

ეგ ჰარი პერსი, ვაჟიშვილი გეახლათ ჩემი.
უთუოდ ჩემი ძმა ვუსტერი გამოგზავნიდა.
ჰარი, რასა იქმს ბიძაშენი?

ჰენრი პერსი

მაგის გაგებას მე ვფიქრობდი თქვენგან, ბატონო.

ნორთამბერლენდი

როგორ, ამჟამად ის დედოფალს არ ახლავს განა?

ჰენრი პერსი

არა, ბატონო, მიატოვა სამეფო კარი.
თავისი კვერთხი დაამსხვრია და დაითხოვა
მეფის მსახურნი.

ნორთამბერლენდი

რა მიზეზით? გამაგებინე.
მას ამ ბოლო დროს არა ჰქონდა ასეთი აზრი.

ჰენრი პერსი

რადგან თქვენ მეფის მოღალატედ გამოგაცხადეს.
იგი რევენსპერგს გაეშურა, ჩემო ბატონო,
რომ სამსახური შესთავაზოს ჰერფორდის მთავარს.
მე კი ბარკლისკენ გამომგზავნა, რათა შევიტყო,
რამდენი ჯარი შეუყრია იორკის მთავარს,
და ეს ცნობები რევენსპერგში ჩამოვუტანო.

ნორთამბერლენდი

შენ კი მთავარი ჰერფორდისა დაგვიწყებია!

ჰენრი პერსი

არა, ბატონო, დავიწყება არ შეიძლება,
ვინც არასოდეს გხსომებია. მე, როგორც ვიცი,
ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს თვალითაც იგი.

ნორთამბერლენდი

ამიერიდან მაშ იცოდე: აჰა, მთავარი.

ჰენრი პერსი

ბატონო ჩემო, მოწყალეო, ვთხოვთ მიმსახუროთ
ჯერ ახალგაზრდა, უმწიფარი და უსუსური.
შემდეგ უთუოდ წელთა რიცხვი დამავაჟაკცებს
და მოწიფული თქვენს სამსახურს შევიძლებ მეტად.

ბოლინგბერუკი

გმაღლობთ, კეთილო ჩემო პერსი, მუდამ გჯეროდეს,
ჩემთვის არ არის უფრო მეტი ბედნიერება,
ვიდრე ის, იდეს მეგობრების ხსოვნა მაქვს გულში.
და შენი ჯილდო გამარჯვება იქნება ჩემი,
შენს სიყვარულთან ერთდროულად დამწიფებული.
ხელით დაგებჭდავ ჩემი გულის ხელშეკრულებას.

ნორთამბერლენდი

რამდენი დარჩა გზა ბარკლიმდე? ანდა მოხუცი
იორკისა და მისი ლაშქრის ამბავს რას გვეტყვი?

ჰენრი პერსი

ამ ჭალაკს იქით მდებარეობს ციხე-დარბაზი.
სამასიოდე კაცი დგას იქ, როგორც შევიტყვე,
იორკიც, ბარკლიც, სეიმორიც იქვე არიან,
სხვა კი არავინ ურევიათ წარჩინებული.
(შემოდან როსი და უილობი.)

ნორთამბერლენდი

აჰა, მოვიდნენ ლორდი როსი და უილობი,
სისხლიანი აქვთ ღეხები და აღმური ასდით.

ბოლინგბერუკი

კეთილი იყოს მობრძანება თქვენი, ლორდებო!
თქვენ სიყვარულმა მოგიყვანათ განდევნილ კაცთან,
საუნჯე ჩემი ჯერჯერობით არის მაღლობა.
რომ გავმდიდრდები, გადაგიხდით სამაგიეროს.

9. შექაპირი, ტ. II.

მოქ. II

როსო

თქვენი აქ ყოფნა ჩვენ გვამდიდრებს, ჩემო ბატონო.

უილობი

და ავეირგვინებს საამისოდ გაწეულ გარჯას.

ბოლინგბრუკი

მადლობა არის ღარიბების ხაზინადარი. ის ჩემს სიუხვეს შესცვლის, ვიდრე ჯერ უწლოვანი წამოიზრდება ბედი ჩემი, ვინ მოდის აქეთ?

(შემოდის ბარკლი.)

ნორთამბერლენდი

ეს უნდა ღორდი ბარკლი იყოს, თუ არა ვცდები.

ბარკლი

ბატონო ჰერფორდ, თქვენთანა ვარ წარმოგზავნილი.

ბოლინგბრუკი

მე გიპასუხებთ. ლენკასტერის წინაშე დგახართ, ინგლისში მოველ ამ სახელის მოსაპოვებლად. მე უნდა ვპოვო თქვენს ენაზე წოდება იგი, ვიდრე თქვენს ნათქვამ სიტყვას პასუხს მოვუძებნიდე.

ბარკლი

მილორდ, ცუდად ნუ ჩამომართმევთ, განზრახვა არ მაქვს, წოდება რამე ჩამოვაკლო ღირსებას თქვენსას. მილორდ, ვინც უნდა ბრძანდებოდეთ. იორკის მთავრის, ხელმწიფის ნაცვლად ჩვენი ქვეყნის მმართველ-გამგებლის,

წარმოგზავნილად გვახელით, რათა შევიტყო, რამ გაიძულათ ისარგებლოთ მეფის არყოფნით და იარაღით დაემუქროთ მშვიდობას ჩვენსას?

(შემოდის იორკი ამალით.)

ბოლინგბრუკი

რა საჭიროა დაგაბართ პასუხი ჩემი, თვითონ მთავარიც მობრძანდება, ბიძავე კეთილო!

იორკი

მაჩვენე გული თვინიერი და არა მუხლი, შენი სიცრუის ნიშანია მუხლის მოღრეკა.

ბოლინგბრუკი

ჩემო მოწყალე ბიძავე...

იორკი

ჩუმაღ, ჩუმაღ!

ნუ მიწყალობებ მოწყალეებას, ნურც ბიძას მეტყვი. მე მოღალატის ბიძა არ ვარ, სიტყვა „წყალობაც“ უწყალო ბაგეს შეუძლია მხოლოდ შელახოს. როგორ გაბედე განდევნილმა, დასჯილმა კაცმა

და აქ, ინგლისის მიწა-წყალზე შემოდგი ფეხი? უარესს გეტყვი! შენი ფეხით როგორ გაბედე მის მშვიდობიან მკერდზე გველო ამდენი მილი, დამუქრებოდი ზარდაცემულ სოფლებს შემუსვრიო და საზიზღარი იარაღი გეჩვენებინა?

იმიტომ მოხველ, რომ ხელმწიფე არ გეგულება? ბრეივო ყმაწვილო, მეფე მაინც შინ დარჩენილა, ჩემს ერთგულ მკერდში ფეთქავს მისი ძალაუფლება.

ვეოფილიყავი ისეთივე ფიცხი ჭაბუკი, როდესაც მე და მამაშენმა, მამაცმა გონტმა, ჭაბუკი მარსი — შავი პრინცი გადავარჩინეთ, გამოვიხსენით მრავალ ათას ფრანგის ხელისგან, გაირჯებოდა მაშინ სწრაფად ჩემი მარჯვენა, აწ უკვე დამბლადაცემული, და ამ უგვანო საქციელისთვის საპასუხოდ დაგსჯიდა მკაცრად!

ბოლინგბრუკი

მოწყალე ბიძავე, ბრძანე, მაინც რა დავაშავე? რა არის ნეტავ ჩემი ბრალი? ეგებ მიბრძანო.

იორკი

დანაშაული უარესი არ შეიძლება. ეს საზიზღარი ღალატია და აჯანყება, გამძევებული ჩამოსულხარ ვადაზე ადრე და შენს ხელმწიფეს ხმაღში იწვევ მოურიდებლად.

ბოლინგბრუკი

მე მაშინ ვიყავ განდევნილი, როგორც ჰერფორდი, მაგრამ დაებრუნდი სამშობლოში, ვით ლენკასტერი. ბიძავე კეთილო, ვევედრები თქვენს მოწყალეებას მიუდგომელად განმისაჯოს დანაშაული. თქვენ მამაჩემად მიმჩინებართ, ასე მგონია, მოხუც გონტს ვხედავ-მეთქი მართლაც, თქვენ რომ გიყურებთ.

მაშ, მამაჩემო, შეჩვენებულს გამწირავ ნუთუ და მაწანწალად კვლავ დამტოვებ უცხო მხარეში? უფლებები კი, ჩემს ხელთაგან გამოგლეჯილი, ვილაც მეტიჩრებს დაურიგდეს, ამისთვის გავჩნდი? თუ ბიძაშვილი ჩემი არის ინგლისის მეფე, მაშინ მეც უნდა ლენკასტერის მთავარი ვიყო. თქვენ ხომ გყავთ ვაჟი, ბიძაშვილი ჩემი, ომერლი. რომ მომკვდარიყავთ თქვენ პირველად და ის გაეგლოთ. ის გონტის სახით იპოვიდა ჭეშმარიტ მამას, მის ჭირთ, ვით ნადირთ რომ გარეკდა, წინ გაიგებდა. შემკვიდრეობის უფლებაზე უარი მითხრეს, თუმც სიგელით მაქვს ყოველივე დამტკიცებული. ხელში ჩაიგდეს მამაჩემის მთელი ქონება, უმართებულოდ გამიყიდეს და მიითვისეს. აბა, რა მექნა, რას მიბრძანებ? ქვეშევრდომი ვარ და მეც მივმართე კანონს, მაგრამ უარი მითხრეს და ამიტომაც გადავწყვიტე, თვით მოვითხოვო, მამა-პაპათგან რაც მერგება შემკვიდრეობით.

ნოტამბერენდი

მეტად დაჩაგრეს ეს მთავარი კეთილშობილი.

როსი

თქვენს მოწყალებას ჰმართებს მისი უფლების დაცვა.

უილობი

ამ მთავრის ხარჯზე აამაღლეს უაზნო კაცნი.

იორკი

ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, ინგლისის ლორდნო: მისწულის წყენა გულთან ახლო მიმიტანია და რაც შემედლო, გავაკეთე მის დასაცავად. მაგრამ ამგვარად დაბრუნება აღმართული ზმლით და საკუთარი გზის გაკაფვა და გაჭრა ძალით, სამართლის ძებნა უსამართლოდ — არ შეიძლება. და თქვენ, რომელნიც წააქეზებთ მას ამნაირად, თქვენ ყველას ბრალად დაგედებათ ჯანყის მოწყობა.

ნოტამბერენდი

მთავარმა კიდეც დაიფიცა, რომ აქ მოსულა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი უფლების გამო და ჩვენც ამისთვის დახმარება შევუფიცეთ მტკიცედ. ნუ გაიხაროს ნურაოდეს ფიცის გამტეხმა!

იორკი

კარგია, კმარა! კარგად ვხედავ ამ ბრძოლის შედეგს. ვერას გავაწყობ, ვაღიარო უნდა გულწრფელად, ჯარი სუსტი მყავს და ქვეყანა არეულია. მაგრამ, ჩემს გამჩენს გეფიცებით, რომ შემძლებოდა, ახლავ ყველას გაგკოჭავდით და დაგამხოვდით პირქვე ხელმწიფის უზენაეს ნების წინაშე. არა ძალმძის რა და ამიტომ იცოდეს ყველამ, რომ განზე ვდგები. ბრძანდებოდეთ აწ კი მშვიდობით, თუ არ ინებებთ წამობრძანდეთ ციხე-დარბაზში და მოისვენოთ იქ ამაღამ დაქანცულებმა.

ბოლინგბრუკი

თანაზმანი ვართ, ბიძაჩემო, მაგ მოწვევაზე, მაგრამ ერთი რამ უნდა გთხოვოთ, ბრისტოლის ციხე მონახულოთ ჩვენთან ერთად. მითხრეს ეს ციხე დაუქერიათ ბუშის, ბეგოტს და მათ მომხრეებს. დაფიცული მაქვს ამოვავლო ვით სარეველა, მთლად ამოვუყო ეს მატლები ჩვენი ქვეყნისა.

იორკი

შესაძლო არის წამოვიდე, მაცალეთ კიდეც, უკანონობის გზას ეს ჩემი გული ვერ მისდევს;

არც მოყვრადა გთვლით, არც მტრად, ვალის ვაპირებ მოხდას.

რაც იყო იყო. მე ვერაფერს ვუშველი მომხდარს.

(გაღიან.)

სურათი მეოთხე

ბანაკი უელსში.

შემოღიან სოლზბერი და უელსელთა რაზმის უფროსი.

უფროსი

მილორდ სოლზბერი, ათი დღეა რაც გელოდებით, და ძლივს გვიჭირავს ჩვენი თანამემამულენი, აღარც ამბავი მოგვივიდა რამ ხელმწიფისა და ამიტომაც აწ ვიშლებით კიდეც; მშვიდობით.

სოლზბერი

დარჩი ერთ დღესაც, უელსელი ჩვენო ერთგული: მარტო შენზეა მონდობილი ჩვენი ხელმწიფე.

უფროსი

მეფე მკვდარია, როგორცა ჩანს; ვეღარ დავრჩებით: ჩვენს ქვეყანაში სულ გადახმა დაუნის ხეები; ცაში ვარსკვლავებს ამინებენ მეტეორები; მთვარე სისხლისფრად შეღებილი დაჰყურებს მიწას; საშინელ ამბებს ჩურჩულებენ წინასწარმთქმელნი. მდიდრები წუხან და ხარობენ არამზადები: ერთს ეშინია, რომ დაკარგოს, რაც გააჩნია, ხოლო მეორეს გამდიდრება ახარებს ომით. მეფეთ სიკვდილის ან დაცემის ნიშნებია ეს. მშვიდობით, თქვენი მოლაშქრენი აქ არ არიან. მათ დაიჯერეს, რომ ხელმწიფე მათი მკვდარია.

(გაღიან.)

სოლზბერი

აჰ, რიჩარდ! ვხედავ დამძიმებულ გონების თვალით, შენი დიდება ძირს ეშვება, როგორც ვარსკვლავი, მაღლა ზეციდან წამოსული ქვე დასაცემად. დასავლეთისკენ ცრემლიანი მზე ჩადის შენი, მოღის ავდარი, მოღის შფოთი, ვაების მჩენი; მტერს მიაშურეს გაქცეულმა შენმა მოყვრებმა, უბედურება ბედისწერას შენსას მოჰყვება.

(გაღიან.)

მოქ. III

ეოქმედება მესამე

სურათი პირველი

ბრისტოლი. ბოლინგბრუკის პანაქი.

შემოდან ბოლინგბრუკი, აორკი, ნორთამბერ-
ლენდი, ჰენრი პერსი, უილბოი, როსი, მათ
უან ასისტაეები, დატყვევებული ბუში და გრინი.

ბოლინგბრუკი

აქ მოიყვანეთ ევ კაცები.

ბუში და გრინ, მე არ დაუწყებ თქვენს სულს
წვალებას —

დაგიდგათ ჟამი სულისა და ხორცის გაყრისა;
ბევრს არას გეტყვით თქვენი ავი ცხოვრების გამო,
ეს უწყალობა იქნებოდა; მაგრამ იმისთვის,
რათა ხელიდან თქვენი სისხლი ჩამოვირეცხო,
თქვენი სიკვდილის ზოგ რამ მიზეზს აქ განვაცხადებ:
თქვენ შეაცდინეთ უფლისწული, მეუფე ჩვენი.
გარეგნობითაც და სისხლითაც სეპეღენიერი,
და თქვენს უბედურ მახინჯ გზაზე გაიყოლიეთ:
თქვენი ცოდვილი დროსტარებით თქვენ დაამორეთ
ერთიმეორეს ჩვენი მეფე და დედოფალი.
მეფურ საწოლის მკუდროება თქვენ დაარღვიეთ
და თქვენ შეღახეთ სიღამაზე დედოფლის დაწვთა
მისთა თვალთაგან დანადენი უხვი ცრემლებით!
მე თვითონ პრინცი წარმოშობით და ჩემი სისხლით,
მეფის სისხლისა, საყვარელი ვიყაეი მისთვის,
ვიდრე სიცრუით, ბოროტებით არ გამარისხეთ
და მაიძულეთ მომედრიკა ქველი მორჩილად,
შემემძრა ჩემი ოხვრა-გმინვით უცხო დრუბლები
და განდევნილი კაცის მწარე ღუკმა მეჭამა.
თან, იმავე დროს, თქვენა სკამდით ჩემს მამულ-დედულს,
ჩემს ტყვეებს ჩეხდით და ჩემს ბაღებს აჩანაგებდით,
ჩემს სარკმელთაგან გლეჯდით ჩემს გერბს

საგვარეულოს,

შლიდით ჩემს ბეჭედს, არ სტოვებდით არსად მის
ნიშანს,

რაც ამცნობებდა მთელ ქვეყანას ჩემს დიდგვარობას.

ეს და ამაზე ორჯერ მეტი და კიდევ მეტი,
სიკვდილით დასჯას ნიშნავს თქვენთვის. უხმეთ

ჯალათებს

და ეს კაცები აწ სიკვდილის ხელს გადაეცით.

ბუში

სიკვდილი ჩემთვის უფრო მეტად სასურველია,
ვიდრე ჰერფორდი ინგლისისთვის. ლორდნი,
მშვიდობით.

გრინი

ნუგეშად ის მაქვს, რომ მიიღებს ზეცა ჩვენს სულებს
და ჯოჯოხეთის ტანჯვას მისცემს უსამართლობას.

ბოლინგბრუკი

უფალო ჩემო ნორთამბერლენდ, ბრძანე დასაჯონ.

(გაღიან ნორთამბერლენდი და სხვები, ბუში და
გრინი გაჰყაუთ.)

ბიძავ, თქვენ ბრძანეთ, დედოფალი ჩემს სახლშიაო;
ღვთის გულისათვის, მოექცეთ დიდის პატივით
და მოახსენეთ, რომ უმდაბლეს სალამს მივუძღვნი;
იზრუნეთ ამის საგანგებოდ გადასაცემად.

იორკი

ჩემი მხლებელი დედოფალთან გავგზავნე კიდევ
და გავატანე სიყვარულის თქვენის წერილი.

ბოლინგბრუკი

კეთილო ბიძავ, დიდად გმადლობთ. წავიდეთ, ლორდნი,
და შევებრძოლოთ გლენდაუერს და მის თანამდგომთ?
ჯერ გავისარჯოთ და მივეცეთ მერე განცხრომას.

(გაღიან.)

სურათი მეორე

უელსის ნაპირი. მოჩანს ციხესიმაგრე.

საყვირების, დაუღაფის და ბუკის ხმა. შემოდან მეფე რი-
ჩარდი, კარლაილის ეპისკოპოსი, ომერლი და
ჯარისკაცები.

რიჩარდი

ამასა ჰქვია მამ ბარკლოლის ციხესიმაგრე?

ომერლი

ღიბ ბატონო, როგორ მოგწონთ სუფთა ჰაერი
მღელვარე ზღვაში მგზავრობისა და რყევის შემდეგ?

რიჩარდი

მომწონს და როგორ! სიხარულით ლამის ვიტირო,
რომ ერთხელ კიდევ დაედგი ფეხი ჩემს სამეფოში.
ძვირფასო მიწავ, ჩემი ხელით მოგესალმები,
თუმც დაკოდილხარ მეშფოთართა ცხენის ფლოქვებით.
ვით დედა, დიდხანს პირმშოს თვისას განშორებული,
ეთამაშება შვილს და ხარობს თვალცრემლიანი,
ეგრევე ვტირი და ვიცინი, მიწაო ჩემო,
და შენ მოგამდენი ჩემს სიყვარულს მეფური ხელით.
შენი მეფის მტერს ნულარ ჰკვებავ, კეთილო მიწავ,

და მის სიხარბეს ნულარ აცხრობ შენი სიტკბოთი,
 არამედ შენი ობობები, შხამთა მწოველნი,
 და მძიმედ მხტომი კომბეშონი გზად დაახვედრე,
 რათა ფეხებში ვაებლანდონ ჩემს მოღალატეს,
 რომელიც თავის მოძალადე ნაბიჯით ვთელავს.
 ჩემს მტრებს ჭინჭარი დაუფინე ფეხქვეშ მსუსხავი,
 და, თუ ყვაილის მოწვევებ სურთ შენი მკერდიდან,
 იქ დაფარულად დაახვედრე მგესლავი გველი,
 რომ მისმა ორად გაპობილმა ენამ სიკვდილი
 შენი მეფის მტრებს მოუვლინოს თვისი შეხებით.
 თქვენ ნუ დასცინებთ ჩემს უგონო შელოცვას,

ლორდნო:

უმაღ ამ მიწას გაუჩნდება გრძნობა და ქვეები
 გაღიქცევიან მეომრებად, ვიდრე ხელმწიფე
 შეუშინდება მოჯანყეთა უხამს იარაღს.

კ ა რ ლ ა ი ლ ი

ნუ გეფიქრებათ: ძალას, რამაც მეფედ გაგზადათ,
 იმდენი შესწევს, რომ ისევე მეფედ დაგტოვოთ.
 უნდა მივსდით იმ გზებს, რასაც ზეცა გვითითებს,
 უარი არ ვთქვათ, თორემ ზეცამ თუ რამ ისურვა,
 და ჩვენც იგივე არ ვისურვეთ — ამით უარყოფთ
 ზეცით მოვლენილ მეოხებას, სახსარს და ზღვევას.

ო მ ე რ ლ ი

იგი გულისხმობს, მილორდ, რომ ჩვენ ნელა ვირჯებით,
 ბოლინგბრუკი კი ამ ყოყმანით უფრო მძლავრდება
 და ემატება სახსარიცა და მეგობრებიც.

რ ი ჩ ა რ დ ი

მოსვენარო ბიძაშვილო! განა არ იცი,
 ოდეს ფიზიკური ზეცის თვალი მოეფარება
 მიწის ბურთსა და გაანათებს ქვესკნელის მხარეს,
 მაშინ ქურდები და მძარცველნი დაპრწიან ქვეყნად,
 მართავენ ყველგან მკვლელობას და ძალმომრეობას.
 მაგრამ ოდეს ის, მიწის ბურთზე ამალღებული,
 აღმოსავლეთით ფიჭვის წვერებს აანთებს ამაყს
 და შეანათებს ყოველ სოროს, ცოდვით აღსავსეს —
 მაშინ მკვლელობა, ღალატი და საზარი ცოდვა,
 მთლად გაძარცული დამეული სამოსელისგან,
 დგანან შიშველნი, თავის თავის წინაშე თრთიან.
 ასე ეს ქურდი, მოღალატე ეს ბოლინგბრუკი,
 რომელიც ღამით ეძლეოდა განცხრომას ღალად,
 ვიდრე ვიფავით ჩვენ წასული ანტიპოდებში?
 იხილავს ტახტზე ჩვენს ამოსვლას აღმოსავლეთით.
 თვისი ღალატი აულეწავს სახეს სირცხვილით,
 კვლარ გაუძლებს დღის სინათლის სანახაობას
 და ცოდვის შიშით შეპყრობილი აცახცახდება.
 აღელვებული, მრისხანე ზღვის მთელი წვალიც კი
 გვირგვინოსანი ხელმწიფის შუბლს შიროსს ვერ
 გვირგვინოსანი ხელმწიფის შუბლს შიროსს ვერ
 გვირგვინოსანი ხელმწიფის შუბლს შიროსს ვერ

მორეცხს.

სიტყვა და სუნთქვა ამქვეყნიურ აღამიანთა
 ვერ დაამხოვენ უფლისნაცვალს, თვით უფლის რჩეულს.

ყოველი კაცის ნაცულად, ვისაც ოქროს გვირგვინზე
 აღამართვინა ბოლინგბრუკმა ურჩი ფოლადი,
 უფალი რიჩარდს გაუგზავნის თითო ანგელოსს
 და, თუ ბრწყინვალე ანგელოსი ბრძოლასა მართავს,
 ეს ნიშნავს: ღმერთი დასცემს ბოროტს, დაიცავს
 მართალს.

(შემოდის ს ო ლ ზ ბ ე რ ი.)

სალამი, მილორდ. შორს არიან თქვენი ვარები?

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

არც იმაზე შორს და არც ახლოს, მეფევე ბატონო,
 ვიდრე ეს სუსტი მკლავი ჩემი; უნუგეშობა
 უიმედობას ათქმევინებს მხოლოდ ჩემს ენას.
 ვშიშობ, ბატონო, რომ ერთი დღის დაგვიანებამ
 ამქვეყნად ყველა ბედნიერი დღე მოგიღრუბლა.
 ოჰ, მოუწოდე გუშინდელ დღეს, დრო დააბრუნე
 და დაიბრუნებ მით მეომარს თორმეტი ათასს:
 დღეს გვიანდა; სავალალოდ ეს დღე გეყოფა:
 ის გაკარგვინებს ბედს, სამეფოს, ყველა მეგობარს.
 ყველა უელსელს, ვინც ერთგული იყო თავიდან,
 მკვლარი ეგონე; ბოლინგბრუკთან ყველა წავიდა.

ო მ ე რ ლ ი

მეფეო, სასოს ნუ წარიკვეთ, ფერს ნუ შეიცვლით.

რ ი ჩ ა რ დ ი

ოცი ათასი კაცი იდგა ჩემთვის გუნდებად
 და მათი სისხლი მამღვედა ფერს; გამექცა ჯარი
 და ამდენივე სისხლი ვიდრე დამიბრუნდება,
 განა არ უნდა ვიყო მართლაც ფერმკრთალი,
 მკვლარი?
 გამიბრბის, ვისაც სურს კვლავ დარჩეს მთელი და სალი;
 ჩემს სიამაყეს დრომ დაასვა თავისი დალი.

ო მ ე რ ლ ი

მშვიდად, მეფეო. მოიგონეთ, ვინცა ბრძანდებით.

რ ი ჩ ა რ დ ი

მე დამავიწყდა ჩემი თავი. მეფე არა ვარ?
 გამოიღვიძე, მუქთახორა დიდებულეზე!
 მეფის სახელი ოცი ათას სახელს არ უდრის?
 შეიარაღდი, აღიჭურვე, ჩემო სახელო!
 ერთი პატარა ქვეშევრდომი გართმევს დიდებას.
 თავს ნუ ჩაღუნავთ თქვენ, ხელმწიფის გამორჩეულნი.
 განა დიადი არ ვართ ისევე? ამაღლი ზრახვავ,
 ძია იორკი მოგვაშველებს ლაშქარს. ვინ მოდის?

(შემოდის სერ სტივენ სკრუპი.)

ს კ რ უ ჰ ი

მეტ დღევრძელობას და ბედ-იღბალს ეუსურვებ მეფეს.
 ვიდრე ჩემს ენას, შეუწყობელს, ძალუქს გაღმოსცეს.

რიჩარდი

მზადა მაქვს სმენა და ეს გულიც მზადაა ჩემი: რაც დამიკარგავს, მასზე მეტი რა უნდა მითხრა? გამომეცალა სახელმწიფო? ის ზრუნვა იყო და დაკარგული საზრუნავი რა ზარალია? თუ ბოლინგბრუკი გატოლებას ცდილობს სიდიდით? ჩვენზე დიდი ხომ ვერ გახდება: თუ უფალს მონებს, ჩვენც უფალს ვმონებთ და ამითი ვართ ჩვენ ტოლები. ჩვენს ქვეშევრდომებს ის აჯანყებს? რა გაეწყობა: ისინი ამით ღალატობენ ღმერთსა და მეფეს. გვაუწყე, ზარალს მოსდევს ნგრევა და ნგრევას — გლოვა: სიკვდილი მაინც ყველას სჭარბობს და ისიც მოვა.

სკრუპი

მოხარული ვარ, რაკი ისე შეიარაღდით, რომ გაუმკლავდეთ მოზღვავებულ უბედურებას. როგორც უდროო, ადრიან დღეს მოულოდნელად გადალახავენ ნაპირს ვერცხლის მდინარეები და თითქოს ცრემლის ღვრად იქცევა ქვეყნიერება — გაურღვევია ბოლინგბრუკის რისხვას საზღვარი, მთლად დაუფარავს ეს სამეფო მტკიცე ფოლადით და თვით ფოლადზე უფრო მეტად მტკიცე გულებით. ბერიკაცებმა გამხმარსა და მელოტ თავებზე მუზარადები დაიხურეს შენს წინააღმდეგ. ყმაწვილებიც კი, დიაციმბერ წრიპინა ხმებით დიდებს ბაძავენ და ქალური სახსრები თვისი შენს წინააღმდეგ საჭურველში ჩაუმწყვდევიათ. თვითონ მწირებიც კი სწავლობენ ორგზის ბედითი ურთხელის მშვილდი შენს სამეფოს ვით დაუმიზნონ. მრთველი ქალები უმიზნებენ ჟანგიან ცულებს შენს ტახტს; ყრმას და ბერს იარაღი კისრამდე მალავს; მეტსაც ვიტყოდი, მაგრამ მეტი არ შემწევს ძალა.

რიჩარდი

ცუდი ამბავი მეტად კარგად გვიამბე მართლაც. გრაფ უილტშირი სადღა არის? ანდა ბეგოტი? რა დაემართა ბუშის? მითხარ, სად არის გრინი? რად მისცეს ნება ამისთანა სახიფათო მტერს, ჩვენი საზღვრები ასე მშვიდად გადმოელახა? მტერი თუ ვძლიეთ, თავით ზღავენ სამაგიეროს. გნებავთ თავს დაედებ, ბოლინგბრუკთან შეუკრავთ ზავი.

სკრუპი

ღიას, ბატონო, მართლაც ზავი შეუკრავთ მასთან.

რიჩარდი

ავაზაკები, დაწყველილი გველის წიწილნი! ძაღლები, ყოველ კაცს ლაქუციით რომ ფეხს ულოკენს! გველები, მათსაც გამათობებელ ჩემს გულს რომ კბენენ! სამი იუდა! სამგზის მასზე უარესები! მაშ, ზავი შეჰკრეს: ჯოჯოხეთიმც ამხედრებულა ამ ღალატისთვის მათ უწმინდურ სულთ წინააღმდეგ!

სკრუპი

ეხედავ, სიყვარულს შეუცვლია თვისება მისი და სასიკვდილო მძულვარებად გადაქცეულა. მათ სულს ნუ სწყევლი; მათ ეს ზავი თავით შეუკრავთ და არა ხელით; რადგან იმათ, ვისაც თქვენ სწყევლით, წილად ხვდომიან უარესი, მძიმე სიკვდილი, და წვანან ახლა სამარეში ღონემიხდილი.

ომერლი

ბუში, გრინი და უილტშირის გრაფი მკვდარია?

სკრუპი

ღიას, ბრისტოლში მათ სიკვდილმა ხელი დარია.

ომერლი

მითხარ, სად არის მამაჩემი თავისი ლაშქრით?

რიჩარდი

ეგ სულ ერთია. აწ ნუგეშზე ადარა სთქვათ რა. ვილაპარაკოთ საფლავებზე და მათ მატლებზე; ქაღალდად გვექონდეს მიწის მტკერი და ცრემლის წვიმით

მიწის მკერდს ჩვენი მწუხარება ზედ დავაწეროთ. ამოვირჩიოთ ანდერძისა აღმსრულებელნი, თუმცა რაღა გვაქვს საანდერძოდ დასატოვები, უკვე სამიწედ დამხობილი სხეულის გარდა? ჩვენი მამული და სიცოცხლე ბოლინგბრუკსა აქვს და, სიკვდილს გარდა, ჩვენ ვერაფერს ვუწოდებთ ჩვენსას;

ჩვენია კიდევ უნაყოფო მიწის მტვიფარი, რომელიც ხორცად გემსახურებს დღეს და ძელებს გვიფარავს.

ღვთის გულისათვის, მოდით, დავსხდეთ აქვე მიწაზე და სამწუხარო ამბებს მოვვევთ მეფეთ სიკვდილზე: თუ ვით დაამხეს ზოგი, ზოგიც ბრძოლაში მოჰკლეს; ზოგსაც მათგანვე დამხობილთა აჩრდილნი სდევენ; ზოგი მძინარე მოჰკლეს, ზოგი ცოლმა მოწამლა, მაგრამ ყველანი მოაკვდინეს; ფუყე გვირგვინში, ხელმწიფის მოკვდავ საფეთქლებს რომ გარს შემორტყმა,

ხუმარა სიკვდილს გაუხსნია თავისი კარი; იქ ზის ის ტახტზე და კბილს უკრეჭს მეფის დიდებას, ერთ მცირე სურათს ერთი სუნთქვის ტოლა დროს უთმობს,

რომ ათამაშოს როლი მეფის, თვალთ რომ ჰგმირავს, აავსოს თანაც სიცრუით და ამპარტავნებით, თითქოს ეს ზორცი, სიცოცხლეს რომ ავლია ზღუდელ, იყოს სპილენძი შეუდრეკი; ასე ხუმრობით მოდის და ბოლოს ქინძისთავის სულ მცირე ჩხვლეტით ხვრეტს ციხის ზღუდეს და მაშინ კი მშვიდობით, მეფე! მაშ, დაიხურეთ ქუდი, სისხლს და ხორცს ნუ დასცინით თავყანისცემით; უკუაგდეთ პატივისცემა, ზნე-ჩვეულება, ადათ-წესი, მოვალეობა.

ამერიიდან თქვენც უწყოდეთ: თურმე სცდებოდით!
მეც თქვენებრ პური თ ვიკვებები, ვგრძნობ გაჭირვებას,
ვწუხვარ, მეგობრებს ვსაჭიროებ და თუ ასეა,
როგორღა მეტყვიო, რომ ხელმწიფე ვყოფილვარ მაინც?

კარლაილი

მილორდ, აროდეს დასტირიან ბრძენნი ვაებას,
არამედ სწრაფად გზას უხშობენ მოთქმას და ტირილს.
მტრისადმი შიში კაცს ასუსტებს, ძალ-ღონეს ართმევს,
კაცის სისუსტე კი მტერს ბევრად შემატებს ძალას;
ასე კაცს ებრძვის საკუთარი უგუნურება.
შიშით სიკვდილზე უარესი რა უნდა იყოს!
ბრძოლით სიკვდილი კი თვით სიკვდილს გულს
გაუწონავს;

სიკვდილის შიში მარტოოდენ შეკფერის მონას.

ომერლი

მოკებნოთ მამა, მე ხსნას მისი ლაშქრისგან ველი;
ერთი ნაკეთისგან შევადგინოთ სხეული მთელი.

რიჩარდი

კარგად კი მკიცხავ. ბოლინგბრუკო, მოველ ამ არეს
და ჩვენი ბედის გადამწვევტ დღეს შევებათ ბარემ.
შიშის ცხელებამ გამიარა, გამიშვა ხელი,
მიღება მისი, რაც გვეკუთვნის, არ არის ძნელი.
სკრუბ, სთქვი, სადა დგას ბიძაჩვენი თავისი ჯარით?
სთქვი საამო რამ, თუმც შენს შუბლზე ღრუბლები არის.

სკრუპი

აღამიანი ჯერ პირველად ახედავს ზეცას,
შეატყობს, ავდარს ეპირება თუ ვვაძლევს იმედს;
ჩემს გამოხედვას თუ უყურებთ, აგრე ვარ მეცა
და ჩემი ენაც მოგახსენებთ ამბავსა მძიმეს.
თითქოს ჯალათის როლს ვთამაშობ, ისე ნელინელ
ვაგრძელებ ამბავს, ადრე თქმულზე უფრო უარესს.
გეტყვიო: ბოლინგბრუკს შეუერთდა უკვე იორკი
და მას ჩაბარდა ჩრდილოეთის ციხე ყოველი,
თქვენი მორჩილი სამხრეთელი მეზრძოლი ყველა
მასვე მიემხრო.

რიჩარდი

საკმაოა, კმარა, რაცა სთქვი.
(ომერლის.)

შენ გწყველი ახლა, ბიძაშვილო, რომელმაც წელან
სასოწარკვეთის საამო გზა დამაგდებინე!
ახლა რას იტყვი? რაღა დავკრჩა სანუკეშებლად?
ზეცასა ვფიცავ, შევიძულე მას სამუდამოდ,
ვინც ამის შემდეგ დამიპირებს ნუგეშის ცემას.
აწ ფლინტის ციხეს მივაშუროთ; დავყვიო ჩვენს სვე-
ბედს;

იქ ჭირთა მონა დაენებლები ჭირ-ვარამს მეფედ.
დაშალეთ ჯარი, რათა მიწას ხნავდეს და მკიდეს,

ეგების მიწამ მისცეს მცირე იმედი კოდევ-
მე არა მაქვს რა, ნურას მიჩრევთ, ვერავის სიტყვა
ვერ შესცვლის ამას. ყოველივე ამაოდ ითქვა.

ომერლი

სულ ერთი სიტყვა, ხელმწიფეო.

რიჩარდი

მიკოდავს სმენას
იგი ორმაგად, ვინც საფლიდოდ მომართავს ენას.
გაუშვით ყველა ჩემი მომხრე. არ მითხრათ რამე,
ბოლინგბრუკის დლით შეიცვლება რიჩარდის ღამე.
(გადიან.)

სურათი მესამე

უელსი. ფლინტის ციხის წინ.

შემოდან დაუღაფითა და ღროშებით ბოლინგბრუკი
თავისი ლაშქრით, იორკი, ნორთამბერლენდი და
სხვები.

ბოლინგბრუკი

აი ეს ცნობა მატყობინებს; უელსელები
მთლად გაფანტულან და სოლზბერი მისულა მარტოდ
მეფის წინაშე. თვითონ მეფე კი გადმოსულა
სულ რამდენიმე მეგობართან ერთად ნაპირზე.

ნორთამბერლენდი

კარგი ამბები გაგვიგია, ჩემო ბატონო:
რიჩარდი აქვე დამალულა, ჩვენს შორიახლოს.

იორკი

„მეფე რიჩარდი“ უნდა ეთქვა ლორდ ნორთამბერლენდს;
ვაგლახ, რომ მართლაც შავი დილა გათენებულა,
რომ უნდა მეფე დაიმალოს მირონცხებული!

ნორთამბერლენდი

მხოლოდ იმიტომ, რათა მოკლედ მომეჭრა სიტყვა,
წოდება მისი გამოვტოვე.

იორკი

მკელი დრო იყოს,
მოკლედ მოჭრილი მაგ სიტყვისთვის მოკლედ მოსჭრიდა
ისიც მის სიტყვას, თავის მოჭრას ბრძანებდა ერთხელ
და ერთი თავის ზომით უცებ დაგამოკლებდათ.

ბოლინგბრუკი

არ შესცდეთ, ძიავ, არ შეხვიდეთ მეტისმეტად შორს.

მოქ. III

ი ო რ კ ი

ჩემო ძმისწულო, მეტისმეტი არ მოგივიდეს. კარგად გახსოვდეს, რომ ჩვენ თავზე ზეცა დაგვეყურებს.

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

ევ კარგად ვიცი, ბიძაჩემო, და ზეცის სურვილს არ აღუდგები წინააღმდეგ. ეს ვინლა მოდის?

(შემოდის ჰენრი ჰერსი.)

სალამი, პარი. რაო, ციხე იარაღსა ჰყრის?

ჰენრი ჰერსი

ციხე მეფურად გახლავთ, მილორდ, გამაგრებული, რათა აღუდგეს წინ თქვენს შესულას.

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

მეფურადაო?

თვითონ ხელმწიფე იქ არა ზის?

ჰენრი ჰერსი

ღიახ, იქ გახლავთ

ხელმწიფე, მილორდ; იქ მეფეა, მეფე რიჩარდი; ზის იმ ქეითიკის ამადლებულ ზღუდეთა შიგნით; მასთან არიან ოპერლი და ლორდი სოლზბერი, სერ სტივენ სკრუპი, ერთი პირიც სასულიერო პატივსაღები, მაგრამ ვინა — ვერ გამოვიცა.

ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი

ო, ევ იქნება კარლაილის ეპისკოპოსი.

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი (ნორთამბერლენდს)

უფალო ჩემო, მიუახლოვდით ძველი ციხის ძვალმაგარ ნეკნებს, ჩაპბერეთ საყვირს სპილენძისას სუნთქვა სიტყვისა, ციხის მონგრეულ ყურს ნათქვამი ჩემი აუწყეთ: სთქვით, რომ მე, ჰენრი ბოლინგბრუკი, ორივე მუხლით ვიჩოქებ მეფე რიჩარდის წინ, მის ხელს ამბორს ვყოფ და წრფელი გულით ვუთელი ვიყო მისი ერთგული და ქვეშევრდომი; მოახსენეთ, რომ აქ მოვსულვარ, რათა მის ფერხთით დავღო ხმალიც, ძალაუფლებაც, ოღონდ გაუქმდეს გამეკების ჩემი ბრძანება და შეუვალად მეწყალობოს ჩემივ მამული. თუ ამას არ იქმს, მაშინ ძალას გამოვიყენებ და ძირს დავაფენ ზაფხულის მტვერს მკედარ

ინგლისელთა

ჭრილობათაგან გადმოდერილი სისხლის წვიმებით. რაოდენ შორს დგას ბოლინგბრუკის განზრახვათაგან — მეფე რიჩარდის ამ მშვენიერ და ამწვანებულ მამულს თელავდეს მეწამული ფერის გრივალი, ამას ვაჩვენებთ ყველას ჩემი დაშოშმინებით. ეს გადაეცი და მანამდე ჩვენ აქ ვიქნებით, მინდურის ბალახის ზალიჩაზე გავისეირნებთ. აბა, წავიდეთ, დავადუმოთ თავზარდამცემი

დაუდაფი, რათა ამ სიმაგრის ქონგურებიდან კარგად შენიშნონ განზრახვანი ჩვენი კეთილნი. მეონია, მე და რიჩარდი რომ ერთმანეთს შევხვდეთ, წყლისა და ცეცხლის ბრძოლის მსგავსი ბრძოლა

გვექნება,

თითქოს ზეცაში იბრძვის ორი ეს სტიქიონი და ნაფლეთებად აქცევს ზეცის ღრუბლიან სახეს. ის თუ ცეცხლია, მე ვიქნები წყალი მქრობელი, მან იელვაროს მრისხანებით, მე დავაწვიმებ წყალს დედამიწას და არა მას. აბა, წავიდეთ და ვნახოთ, თავი მეფე რიჩარდს როგორ უჭირავს.

(გაისმის საზავო ბუკის ხმა, რომელსაც პასუხს აძლევს მეორე ბუკი ციხიდან. შემდეგ გაისმის საყვირების ხმა. კედელზე გადმოდგებიან მეფე რიჩარდი, კარლაილის ეპისკოპოსი, ომერლი, სკრუპი და სოლზბერი.)

ჰენრი ჰერსი

ხედავთ, გამონდა კიდევ თვითონ მეფე რიჩარდი, როგორც მრისხანე მზე, ჯავრისგან წითლად ნაფერი; აღმოსავლეთის ცეცხლოვანი ბჭიდან გამოდის და ხედავს, გარს ვით შემორტყმიან შურით

აღსავსე

ღრუბლები, რათა დააბნელონ მისი კამკაში, დანრდილონ მისი ბრწყინვალე სვლა დასავლეთისკენ.

ი ო რ კ ი

კვლავ მეფური აქვს გამოხედვა; შეხედე, თვალი ისე უელავს, როგორც არწივს, და ელვას ესვრის დიდების მმუსერელთ; ვაგლახ, ვაგლახ, ცოდვა არ არა, რომ ამ თვალწარმტაც გამოხედვას აჩნდეს რამ ბზარი?

რ ი ჩ ა რ დ ი (ნორთამბერლენდს)

ჩვენ დიდად გვიკვირს; მეტად დიდხანს ეელოდებოდით, რომ შიშნეული მოიყრიდი მუხლს ჩვენს წინაშე, რადგან თავს ვთვლიდით შენს ხელმწიფედ კანონიერად. და, მართლაც თუ ვართ, ვით ბედავენ შენი მუხლები მოვალეობა დაივიწყონ, როცა ჩვენ აქ ვართ? ან თუ არა ვართ, დავკანახვე ხელი უფლისა, რომელსაც ჩვენთვის ჩამოერთვას მართვის უფლება. ჩვენ კარგად ვიცით, რომ სისხლისა და ხორცის ხელო ვერ შეეხება ვერაოდეს ღვთაებრივ სკიპტრას, თუ არ მიპარვით ან თავხედურ ძალმომრეობით. და თუმცა ფიქრობთ, რომ თქვენსავით ყველამ შესცოლა შემოგვაქცია ზურგი და მით წარსწყმიდა სული, შემოგვეცალნენ მეგობრები და დავრჩით მარტო, მაინც უწყოდეთ, რომ უფალი, ყოვლადმთლიერი, მალლა ღრუბლებში ჭირის მთესველ ლაშქარს აგროვებს ჩვენდა საშველად და ლაშქარი იგი ამოჟღერტს თქვენს ჯერ არ შობილ, არ ჩასახულ შთამომავლობას, რამეთუ ხელი აღვიმართავთ ჩემს წინააღმდეგ და ქვეშევრდომნი ემუქრებით ჩემს დიად გვირგვინს. უთხარ ბოლინგბრუკს — ისიც, ვკონებ, მანდ უნდა იყოს —

რომ ჩემს მიწაზე გადადგმული ყოველი ბიჯი არის ღალატი სახიფათო: იგი მოსულა რომ გადაფურცლოს მეწამული აღთქმა ომისა. მაგრამ ვიდრე ის იგდებს ხელში სასურველ გვირგვინს, რათა იტხოვროს შემდეგ მშვიდად — ათი ათასი პაპის თავი სისხლიანი თვისი გვირგვინით ინგლისის სახის ღამაზე ყვაივლს დაამახინჯებს, შესცვლის მშვიდობის ქალწულისებრ ფერნამკრთალოაას რისხვის სიწითლით და საძოვართ ხასხასა ბალახს ბორწყავს გულუხვად ინგლისელთა ალალი სისხლით.

ნორთამბერლენდი

შენ, ზეციერო, მეუფეო, დაიხსენ მეფე მკათაველი და სისხლიანი ომის რისხვისგან! პარი ჰერფორდი, ბიძაშვილი კეთილშობილი, ეამბორება შენს მეფურ ხელს უმორჩილესად, და ჰფიცავს დიდად პატივსადებ წმიდა აკლდამას, თქვენს წინაპართა მეფურ ძვლებზე რომ აღმართულა! ორივე თქვენგანის სამეფო სისხლს, ძარღვეში რომ გიჩქეფთ,

ერთი საერთო სათავიდან რომ მომდინარობს, მაშაც გონტის მიწადაყრილ მარჯვენას ჰფიცავს, სახელსა თვისას და ღირსებას ჰფიცავს საკუთარს და ყოველივეს, რისი თქმა და ფიცია კაცს ძალუმს, რომ მის აქ მოსულას არა აქვს რა სხვა რამ მიზანი, გარდა იმისა, რომ მუხლმოყრით შესთხოვოს მეფეს შინ დაბრუნების უფლება და მექვიდრეობა. თუკი მოიღებ მოწყალებას ასეთს მეფურებრ, თავის ბრწყინვალე საჭურველს ის ჟანგს მიაბარებს, ჰუნეთა თვისთა ფაფარაყრით — საჯინიბოებს, ხოლო გულს თვისას — ხელმწიფისა სამსახურს ერთგულს.

ჰფიცავს იგი, ვით მთავრისწული, რომ მართალს ამბობს, ვით დიდებული, მე ვენდობი მის ფიცს ნამდვილად.

რიჩარდი

ასე უთხარი, ნორთამბერლენდ, მეფე ვითვლის-თქო კეთილშობილი ბიძაშვილის აქ მობრძანება კეთილი იყოს! საწადელი მისი ყოველი შესრულდება-თქო ერთი სიტყვის შეუბრუნებლად. ჩემი საღამიც გადაეცი ყველაზე უფრო კეთილშობიანი და ზრდილობით სავსე სიტყვებით. (ნორთამბერლენდი ბრუნდება ბოლინგბრუკთან. ომერლის.)

რაო, რას იტყვი, ბიძაშვილო, ძლიერ დავმდაბლდათ ტბილი სიტყვითა და საწყალი შეხედულებით? სჯობს დაუძახოთ ნორთამბერლენდს და მოღალატე გამოვიწვიოთ ბრძოლაში და იქ დავიხოცნოთ?

ომერლი

არა, მეფეო, ჯერ ვიბრძოლოთ სიტყვების ძალით, ვიდრე დრო შეგვქმნის მეგობრებს და დავვიხსნის ზმალა.

რიჩარდი

ოჰ, ღმერთო, ღმერთო! ჩემმა ენამ, რომელმაც აღრე ამ გულზეიადის გაძევების განაჩენი სოქვა, ტბილი სიტყვებით იგი უნდა უკან წაილოს. ოჰ, ისე დიდი მაინც ვიყო, ვით ჩემი სევდა, ან კიდევ უფრო მცირე, ვიდრე ჩემი სახელი! ნეტავ შემძლოს დავივიწყო, რაც ვიფავ აღრე, არ მოვიგონო ის, რაც ვზღები ამიერიდან. სივდები, გულო მედიდურო? იძვერე ლაღად. მტრებიც ზომ ლაღად გვაძვერებენ მე და შენ მახვილს.

ომერლი

ნორთამბერლენდი მოდის უკან ბოლინგბრუკისგან.

რიჩარდი

კიდევ რა უნდა მოიქმედოს მეფემ? დანებდეს? ის დანებდება. იგი უნდა დამხობილ იქნეს? იგი მორჩილად დაემხობა. უნდა დაჰკარგოს მეფის სახელი? დაიკარგოს, რა ბედენაა? მთელ ჩემს საგანძურს მიეცემ ასხმა კრიალოსანში, სასახლის ნაცვლად განდგილის უდაბნოს ვარჩევ, დიდებულ სამოსს მათხოვარის ძონძებზე გავცვლი, მოჩუქურთმებულ სასმისს — ხისგან გამოთლილ თეფშზე, სამეფო სკიპტრას — მწირის ჯოხზე; ჩემს ქვეშევრდომებს

ორიოდე ხატს ვამჯობინებ წმიდანებისას და ჩემს სამეფოს თვალუწვდენულს — უმცირეს საფლავს, პატარა საფლავს, სულ პატარა და უცნობ საფლავს. დე გამითხარონ შარავზაზე სამარე ბნელი, იქ, სადაც ხალხი დღენიდაღვ არ დაილევა და ქვეშევრდომებს მეფის თავზე ძალუძთ იარონ. თუკი ისინი გულს მითელენ ჯერ კიდევ ცოცხალს, რატომ არ უნდა გამითელონ დამარხულს თავი? ომერლ, შენ სტირი, ბიძაშვილო ჩემო გულჩვილო? გამოვიწვიოთ ავი დარი ჩვენი ცრემლებით, ცრემლით და ოხვრით თავთავები ძირს დავაწვინოთ და აჯანყებულ ქვეყანაში შევქმნათ შიმშილი. იქნებ აჯობებს ჩვენს სატკივარს ვავეთამაშოთ და ამ ცრემლისღვრით ჩვენ მოვაწყოთ თვალის სეირი? თუკი ასეა, ერთ ადგილას ვაწვეთოთ ცრემლი, ვიდრე მიწაში ამოსთხრიდეს იგი ორ საფლავს; იქ დავიმარხოთ და ზემოდან წაეაწვინოთ: „ამ საფლავთ ქვეშე განისვენებს ორი მოყვარე, რომელთაც ცრემლით ამოთხარეს თვისი სამარე“. განა არ არის მარგებელი ეს ჭირი მართლაც? გიჟივით ეროშავ და დამცინით, მე ვზედავ ნათლად. მთავარო მძლავრო, ნორთამბერლენდ, ბატონო ჩემო, რას ბრძანებს მეფე ბოლინგბრუკი? ნება აქვს რიჩარდს იცოცხლოს, ვიდრე მოვა მისი სიკვდილის რიგი? შენ შემავედრე და თანახმა გახდება იგი.

მოქ. III

ნორთამბერლენდი

დაბლა ეზოში გახლავთ იგი, ბატონო ჩემო; სურს გესაუბროთ; დაბლა ხომ არ ჩამობრძანდებით?

რიჩარდი

მოვდივარ დაბლა, ძირს მოვდივარ, ვით ფაეტონი, თავის ჯაგლაგი ცხენები რომ ვეღარ ალაგმა? დაბლა ეზოში? მეფე უნდა დამდაბლდეს ასე და იქ ორგულთა დაძახილზე წყალობა გასცეს. დაბლა ეზოში? დაბლა, მეფე! მეფე ძირს მოდის! ტოროლას ნაცვლად ღამის წყვდიადს აშფოთებს ჭოტი.

(ჩამოდის დაბლა.)

ბოლინგბრუკი

რას ბრძანებს მეფე?

ნორთამბერლენდი

მწუხარებამ ისე შეშალა, რომ არეულად ლაპარაკობს როგორც შეშლილი. აგერ თვითონაც.

(შემოდის მეფე რიჩარდი და ამაღა.)

ბოლინგბრუკი

განზე გადაქით, და ჩვენს ხელმწიფეს დახვდით როგორც ხელმწიფეს ჰფერობს.

(იჩოქებს.)

მოწყალე მეფე...

რიჩარდი

მოყვარე ჩემო, მეფურ მუხლებს იმდაბლებ, რათა თვით დედამიწამ იამაყოს მათი ამბორით. სჯობს იგრძნოს გულმა სიყვარული თქვენი ჩემდამი, ვიდრე ზრდილობა ნახოს თვალმა უკმაყოფილომ. აღსდექ, მოყვარე, თქვენი გული აღმსდგარა კიდევ, და ღვას ამაყად, მუხლებს რაგინდ დაბლაცა ზრიდეთ.

ბოლინგბრუკი

მოწყალე მეფე, რაც ჩემია, მხოლოდ მას ვითხოვ.

რიჩარდი

თქვენი — თქვენია, მეც თქვენი ვარ და ყოველივეც.

ბოლინგბრუკი

იმდენად იფავ ჩემი, ჩემო მრისხანე მეფე, რამდენადაც კი თქვენს სიყვარულს დავიმსახურებ.

რიჩარდი

დაიმსახურე კიდევ იგი; მას იმსახურებს, მისი დაპყრობის საიმედო გზას ვინც პოულობს. ძიავ, მომეცი ხელი; ნუ გაქვს თვალები სველი,

ცრემლით სიყვარულს მიდასტურებ და ვერ კი მშველი. ახალგაზრდა ვარ, ბიძაშვილო, ვერ ვიქმ მამობას, თქვენ კი გაზრდილხართ და შემკვიდრედ გამომაღვებით. რასაც ისურვებთ, ყოველივეს მოგართმევთ ნებით, ძალის წინაშე კაცნი მუდამ უძლურნი ვხდებით. ლონდონში წახვალთ ალბათ, თქვენი სურვილი თუა?

ბოლინგბრუკი

ღიას, ხელმწიფე.

რიჩარდი

მეც წამოვალ, ვერ ვიტყვი უარს. (საყვირები. გადიან.)

სურათი მეოთხე

ლენგლი. იორკის მთავრის ბაღი.

(შემოდის დედოფალი და ორი სეფექალი)

დედოფალი

რა მოვიგონოთ ისეთი რამ შესაქცევარი, რომ უკუვაგდოთ დარდიანი მძიმე ფიქრები?

პირველი სეფექალი

ბურთი ვაგოროთ, დედოფალო.

დედოფალი

ეს მომაგონებს წუთისოფელს, უსწორმასწოროს, და ჩემს ბედ-იღბალს, თავდაღმართზე რომ დაშვებულა.

პირველი სეფექალი

მაშინ ვიცეკვოთ, დედოფალო.

დედოფალი

ვით ავაყოლო საცეკვაო მუსიკას ფეხი, როცა საბრალო ჩემს გულს იპყრობს უზომო სეედა. არ გვინდა ცეკვა; მოიგონე სხვა გასართობი.

პირველი სეფექალი

მაშინ ამბები მოვყვებ რამე.

დედოფალი

მწუხარებისა თუ ღზენისა?

პირველი სეფექალი

ყველანაირი.

დედოფალი

არა, არც ერთი; ღზენის ამბავი უფრო მეტად მწარედ დამტანჯავს და, მოუღზენელს, მომაგონებს ჩემს მწუხარებას. მწუხარებისა კი — ისედაც გულშენაღონებს —

პიქ. III

ლარსა და ვარამს მომიმატებს, ამავეს კმუნვით.
რაც მაქვს, იმისი აღარ მინდა განმეორება,
და რაც არა მაქვს, არას არკვებს იმას ჩივილი.

პირველი სეფექალი
ბაშინ ვიმღერებ.

დელოფალი

კარგია, თუ მიზეზი რამ გაქვს,
ბერამ ტირილით ახლა უფრო გამახარებდი.

პირველი სეფექალი

ამ ტირილს მოვრთავ, დედოფალო, თუ შევბას
მოგვეკრით.

დელოფალი

მე ვიმღერებდი, თუ ტირილი შევბას მომგვრიდა,
და არასოდეს ვისესხებდი ერთ ცრემლსაც შენგან.
დაიცა, ხედავ, აქ მოდიან მებაღეები.
მოდის ამ ხეებს უკან დავდგეთ, ჩრდილს შევეფაროთ.
თუნდ სანაძლეოს დაედებ აქვე სვეუბედური,
რომ მათ ექნებათ საუბარი სამეფოს ბედზე.
ეს საუბარი მიღებული წესია ხშირი
ცვლილებათა წინ: ჭირის მოსვლას, გვაცნობებს ჭირი.

(დელოფალი და სეფექალები იმალებიან. შემოდიან მეზაღე
და ორი მსახური.)

მეზაღე

მიდი, დააბი ის ჭერები დაკიდულები,
თითქოს თავნება და უწესო შვილი არიან;
მეტი სიმძიმით მამა მათი წელში მოხარეს,
რამე საყრდენი შეუყენე ძირს დახრილ ტოტებს.
შენ კი, ჯალათის მსგავსად, სწრაფად დასჭერ
ტოტებს, რომლებიც მეტისმეტად წამოიზარდნენ
და მოჭარბებით გაამაყდნენ თანასწორთ შორის:
ჩვენს სამთავროში ტოლნი უნდა იყვნენ ყველანი.
მე კი მანამდე ამოვადებ ძირფესვიანად
ბაღისთვის მავნე სარეველას და ბალახბულახს,
ნიადაგის წვეს რომ ართმევენ სარგო ყვავილებს.

პირველი მსახური

რისთვის დავიცვით ჩვენი ბაღის ზღუდეთა შიგნით
წესი, კანონი, სათანადო ზომა და რიგი
და სანიმუშოდ მივიჩინოთ ჩვენი მამული,
ოღეს ქვეყანა ჩვენი — ბაღი ზღვაშემორტყმული —
სარეველებით ავსებულა; დაუფარიათ
მათ უნაზესი ყვავილები და ხეხილებიც
შეუჭრელია, ზღუდეები — შემორღვეული
და სასარგებლო მცენარეებს მატლი ეხვევა?

მეზაღე

ჩემო! ვინც წესი დაარღვია გაზაფხულის ჟამს,
ახლა ის თავად ფოთოლთ ცვენის მომსწრე შეიქნა.

სარეველებმა, გაშლილ ვარჯს რომ ეფარებოდნენ
და საყრდენებად აჩვენებდნენ თავს, ის შესჭამეს,
და ბოლინგბრუკმა ამოყარა ყველა ესენი.
უილტშირის გრაფს, ბუშისა და გრინს მოგახსენებ.

პირველი მსახური

განა დახოცეს?

მეზაღე

დიახ, უკვე, და ბოლინგბრუკმა
შეიპყრო მეფე ბედოვლათი. სამწუხაროა,
მეფემ ქვეყანა იმგვარად არ მოაწესრიგა,
როგორც ჩვენ ბაღი! წელიწადის შესაფერის დროს
ხომ დაუვსერეთ ხეებს ტანი — ეს მათი ტყავი —
რათა სისხლჭარბებს, ჭარბი წვენით გალაღებულებს
მეტი სიმდიდრით თავის თავი არ დაედუპათ.
ასე რომ ექმნა აღზევებულ კაცთათვის მეფეს,
ისინი კიდევ იცოცხლებდნენ და ჩვენი მეფეც
ვალდებულების მათის ნაყოფს კვლავ იგემებდა.
ჩვენც ხომ იმიტომ ვკვებით ზედმეტად წამოზრდილ
ტოტებს,

რათა ნაყოფით დატვირთულმა ტოტმა იცოცხლოს.
ასე რომ ექმნა, ედგებოდა გვირგვინი თავზე;
რომ არ ეფანტა დრო და ჟამი უქმობით სავსე.

პირველი მსახური

რაო, გგონიათ ხელმწიფეს ძირს ჩამოაგდებენ?

მეზაღე

დამცირებული არის უკვე და იმას ვეჭვობ,
რომ შეიძლება ჩამოაგდონ. იორკის მთავრის
ერთ კარგ მეგობარს მოუვიდა წუხელ წიგნები,
ატყობინებენ მას ცუდ ამბავს.

დელოფალი

ოჰ, ლამის მოვკვდე, ისე მინდა ველაპარაკო.

(გამოდის საფარიდან.)

შენ, ჰე, მსგავსებავ ადამისავ, როგორ გაბედე
უხეში ენით თქმა ამბავთა უსიამოთა?
რომელმა ევამ ჩაგაგონა, რომელმა გველმა,
ახალი ცოდვით დაგეთრგუნა ადამიანი?
რად ამბობ, თითქოს დამხოზილა მეფე რიჩარდი?
მიწაზე ოდნავ უკეთესო, როგორ გაბედე
მისი დამხოზის წინასწარ თქმა? საღ, როგორ, როდის
შეიტყვე ავი ეგ ამბავი? სოქვი, უბედურო!

მეზაღე

ოჰ, მამატიეთ დედოფალო; სულ არ მახარებს
ამ ამბავთა თქმა, მაგრამ, რაც ვთქვი, სულ მართალია.
მეფე რიჩარდი ბოლინგბრუკის ხელშია მართლაც
და მათი ბედი ბედისწერის სასწორზედა დევს:
თქვენს მეუღლესთან ერთ-ერთ თასზე მხოლოდ ამო

კაცნი არიან, რომელნიც მას უკარგვენ წონას. მეორეზე კი თვითონ დიდი ბოლინგბრუკია და, ამას გარდა, ყველა პერი ჩვენი ქვეყნისა; მათი სიმძიმით გადასწონა მეფე რიჩარდი. წაბრძანდით ლონდონს და ჩემს ნათქვამს ირწმუნებთ ხელად.

არ მოგახსენებთ იმაზე მეტს, რაც იცის ყველამ.

დედოფალი

უბედურებაე მალემსობოლო, ფეხმარდი რომ ხარ, რად არ მაცნობე თავის დროზე შენი ამბავი და ეს ვაება უკანასკნელს შემატყობინე? ალბათ იმიტომ არ აჩქარდი, რომ ვსურდა გულში მეტ ხანს მქონოდა მწუხარება. წავიდეთ ჩქარა, მწუხარე მეფის შესახვედრად დავადგეთ შარას.

ნუთუ იმისთვის გავჩნდი ქვეყნად, რომ ჩემი სახით დიად ბოლინგბრუკს დავუმშენო ზეიმი ლალი? მებაღევე, მისთვის, რა ამბავიც მითხარი ახლა, შენს ნამყენ ხეებს არ ეღირსოთ გაზრდა და გაშლა.
(დედოფალი და სეფექალები გადიან.)

მებაღე

საბრალოვ! რათა შეეძლო შენი მცირედი შველა, ჩემი ხელობა დავუმონო უნდა შენს წყევლას: აი, ამ ადგილს, სადაც ცრემლი მან დაადინა, უნაზეს ტეგანს დავრგავ სწორედ ამავე ადგილას. და აქ ტეგანთან ერთად მალე ამოვა სველა, როგორც მწუხარე მოგონება დედოფლის ცრემლთა.
(გადიან.)

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

ლონდონი. უესტმინსტერის სასახლის დარბაზი. მღვდელმოაზრები დგებიან სამეფო ტახტის მარჯვნივ, ლორდები — მარცხნივ, თემთა პალატის წევრები — ქვემოთ.

შემოდიან ბოლინგბრუკი, ომერლი, სარი, ნორთამბერლენდი, პენრი პერსი, ფიცუოტერი, კიდუე ერთი ლორდი, კარლაილის ეპისკოპოსი, უესტმინსტერის აბატი და ამაღა. უკან მოსდევნ ოფიცრები ბეგოტის თანხლებით.

ბოლინგბრუკი

წინ წამოვიდეს ბეგოტ.
ახლა კი, ბეგოტ, თავისუფლად გვიამბე ყველას, რაც კი გლოსტერის მოკვდინების ამბავი იცი, ვინ დაეხმარა ხელმწიფეს და ვინ შეასრულა საქმე უდროო სისხლიანი აღსასრულისა?

ბეგოტი

მაშ, ჯერ პირისპირ დამიყენეთ ლორდი ომერლი.

ბოლინგბრუკი

წინ წამოდექით, ბიძაშვილო, ამ კაცს შეხედეთ.

ბეგოტი

მე ვიცი, მილორდ, ენა თქვენი დაურიდალი, არ იტყვის უარს მასზე, რაც კი ოდესმე უთქვამს. იმ დროს, როდესაც განზრახული იყო გლოსტერის მოკვლა, თქვენა სთქვით: „ნუთუ არ მაქვს ისეთი მკლავი,

რომ მშვიდობიან სასახლიდან თავისი სიგრძით ქალაქ კალეში ბიძაჩემის თავს მივაწვდინო?“ მრავალ სიტყვათა შორის, სწორედ იმ დროს რაც ვითქვამთ.

გამიგონია, როგორც ბრძანეთ, მირჩენიანო ათასი კრონის მიღებაზე ვთქვაო უარი, ვიდრე ვიხილო ბოლინგბრუკის შინ დაბრუნება. თანაც დასძინეთ, რომ ქვეყნისთვის მისი სიკვდილი მაღლი იქნება.

ომერლი

პრინცებო და დიდებულებო, ამ არამზადას რა პასუხი უნდა გავცეს? ვით. დაეამცირო ვარსკვლავები! ჩემი იმდენად, რათა მივაგო მას სანაცვლო, როგორც თანასწორს. ასე უნდა ვქმნა, თორემ ჩემი კარგი სახელი ცილისმწამებლის პირით მართლაც შეილაზება. აჰა, მიიღე საწინდარი, სიკვდილის დამლა, ჯოჯოხეთისთვის გნიშნავს იგი. მე ვამბობ, ცრუობს და რაც შენა თქვი, სიყალბეა — მე დაეამტოცებ შენი გულიდან გადმომჩქეფი სისხლით, თუმც იგი მეტად მდარეა, რომ რაინდის ხმალი გავსვარო.

ბოლინგბრუკი

ბეგოტ, შეჩერდი, არ აიღო ეგ ხელთათმანი.

ომერლი

მე ვისურვებდი აქ მყოფთაგან საუკეთესომ, გარდა ერთისა, გამაცხაროს სწორედ ამგვარად.

ფიცუოტერი

თუ სიმამაცე შენი თავის თანამგრძობს ეძებს,
ამ ჩემს საწინდარს გავცვლი, ომერლ, შენს საწინდარში.
შუეს გეფიცები, ამ წუთას რომ თავზე დაგნათის,
შენი ნათქვამი მეც მსმენია. გიტრაბახნია,
რომ მიზეზი ხარ შენ გლოსტერის მოკვდინებისა.
თუ გინდ ოცჯერაც რომ უარჰყო, მაინც იცრუებ,
და მე უკანვე შევაბრუნებ ამ დაშნის წვერით
მაგ შენს სიცრუეს შენსავე გულში, სადაც შობილა.

ომერლი

ვერ ეღირსები მაგ დღეს, მხლალო, ვერ მოესწრები.

ფიცუოტერი

სულს გეფიცები, ენატრობ დადგეს ეს დღე ამ წუთას.

ომერლი

შენ ჯოჯოხეთი არ ავცდება მაგ სიტყვებისთვის.

ქენრი პერსი

ომერლ, ნუ სტყუი! ისე სწორი და მართალია
მაგის ბრალდება, როგორც შენ ხარ მტყუანი, ომერლ.
და რადგან მართლაც ასეთი ხარ, გიგდებ საწინდარს,
და ჩემს ბრძოლაში უკანასკნელ ამოსუნთქვამდე
დავიდასტურებ. თუ გაბედავ, აიღე იგი.

ომერლი

თუ ვერ გაბედავ, გახმეს მაშინ ჩემი მარჯვენა
და არ დაატყდეს ხმალი, შურის მაძიებელი,
ჩემი ღუშმანის მოელვარე მუზარადს თავზე.

ლორდი

მიწა მიმოწმებს მასვე, ომერლ, ფიცის გამტეხო!
მე წინ გაგიგდებ და დაგიჭერ იმდენ ტყუილში,
რამდენსაც მაგ შენს მოღალატე ყურში ჩაგმახებ
მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. ჩემი ღირსების
პა საწინდარიც, თუ გაბედავ, მიღი, აიღე.

ომერლი

ვის უნდა კიდევ? ყველას ვიწვევ, ღმერთს გეფიცებით.
ათასი კაცის სიმამაცე მიდგას ამ მკერდში,
რათა თქვენაირს ოცი ათასს პასუხი ვაძეც.

სარი

მილორდ ფიცუოტერ, კარგად მახსოვს ის საუბარი,
თქვენსა და ომერლს შორის ერთხელ რომ გაიმართა.

ფიცუოტერი

მართალსა ბრძანებთ, იმ დროს სწორედ თქვენც
გვესწრებოდით
და შეგიძლიათ დაამტკიცოთ ჩემი სიმართლე.

სარი

ზეცის სიმართლეს გეფიცებით, სტყუით, ფიცუოტერ.

ფიცუოტერი

შენ თვითონ სტყუი!

სარი

შენ უღირსი ბიჭი ყოფილხარ!

შენი სიცრუე ისე მძიმედ აწევს ჩემს მახვილს,
რომ გამოიწვევს იგი სასტიკ შურისძიებას,
ვიდრე თვითონ ცრუ და სიცრუე შენი ჩაწევით
მიწაში, ვით წევს თავის ქალა მამაშენისა.
ამის საბუთად გივადებ ჩემი ღირსების ნიშანს:
პა, საწინდარი, თუ გაბედავ, მიღი, აიღე.

ფიცუოტერი

როგორ გაჰკარი გაქანებულ ბედაურს დეზი!
თუკი გაუბედავ ჭამას და სმას, სუნთქვას, სიცოცხლეს,
გავბედავ შენთან შეხვედრასაც თუნდ უღაბნოში.
ზედ მოვაფურთხებ და კვლავ გეტყვი, სტყუიხარ-მეთქი,
სტყუი და სტყუი, აი ჩემი ფიცის ბორკილი.
ამითი გბორკავ, რათა შემდეგ მეტად დაგსაჯო.
ისე როგორც მსურს წინსვლა ახალ ამ ქვეყანაში,
ჩემი ბრალდება მართალია ომერლის მიმართ.
გარდა ამისა, ნორფოკისგან გამიგონია,
რომ ორი კაციც მან გაგზავნა ქალაქ კალეში.
რათა მოეკლათ იქ მთავარი კეთილშობილი.

ომერლი

პატიოსანმა ქრისტიანმა ვინმემ მათხოვოს
კიდევ თათმანი: ნორფოკს ტყუილს მე დავუმტკიცებ
ორთაბრძოლაში, თუკი ამის ნება ექნება.

ბოლინგბრუკი

ეს თქვენი დავა დარჩეს ისევე საწინდარის ქვეშ,
ვიდრე ნორფოკი დაბრუნდება; თუმცა მტერია
ჩემი, მაგრამ ის დაბრუნდება, აღსდგება ისევე
და მიეცემა კვლავ მამული და უფლებანი.
მაშინ ჩვენ ნორფოკს ვაიძულებთ შეებას ომერლს.

კარლაილი

მაგ პატიოსან დღეს ვერავინ იხილავს თვალით.
ნორფოკმა დიდხანს დაჰყო ომში ქრისტეს გულისთვის,
დიდებით მოსილ ბრძოლის ველზე დიდხანს იბრძოლა,
აღმართა ჯვარი თურქთა, წარმართ შავკანიანთა
და სარკინოზთა წინააღმდეგ. შემდეგ დაღლილმა
ამ დიდ საომარ საქმეთაგან, მან მიაშურა
იტალიასა და იქ ქალაქ ვენეციაში,
იმ მშვენიერი ქვეყნის მიწას მისცა სხეული.
წმიდა სული კი მიაბარა მოძღვარსა ქრისტეს,
ამდენი ხანი ვისი დროშის მეტბრძოლიც იყო.

ბოლინგბრუკი

რაო, ნორფოკი განა მოკვდა?

კარლაილი

ღიას, მკედარია, ისე როგორც მე ვარ ცოცხალი.

ბოლინგბრუკი

ნეტარმა სულმა განისვენოს წიაღსა შინა აბრაამისა! მოჩივარო დიდებულებო, უთანხმოება თქვენი უნდა საწინდარის ქვეშ დარჩეს, ვიდრე ჩვენ დაგინიშნავთ დღეს სამსჯავროსას.

(შემოდის იორკი ამალით.)

იორკი

შენთან მოვედი, ლენკასტერის დიდო მთავარო, ბუმბულგაცლილი რიჩარდისგან, რომელმაც ნებით გცნო თვის შემკვიდრედ და თავისი ძალადი სკიპტრა ამიერიდან შენს მეფურ ხელს გადმოაბარა. ადი იმ ტახტზე, საიდანაც ის ჩამოვიდა. მაშ, გაუმარჯოს მეფე ჰენრის, რიგით მეოთხეს!

ბოლინგბრუკი

სამეფო ტახტზე ავალ მხოლოდ უფლის სახელით.

კარლაილი

გვიხსნას უფალმა!¹³ იქნებ ცუდია, ხელმწიფის წინ რომ ვლაპარაკობ, მაგრამ სიმართლის თქმა, მე ვფიქრობ, უმჯობესია. ღმერთმა ჰქმნას, აქ მყოფთ კეთილშობილ საკრებულოში კეთილშობილი იყოს მართლაც ვინმე იმდენად, რათა განსაჯოს სწორად რიჩარდ კეთილშობილი! ბუნება მისი, ჭეშმარიტად კეთილშობილი, შეაკავებდა მას ამ ბილწი შეცოდებისგან. ვით შეუძლია მეფის განსჯა მისსავე ქვეშევრდომს? ხოლო ვინ არის, ქვეშევრდომი არ იყოს მისი? ქურდსაც კი უნდა მოუსმინონ, ვიდრე განსჯიან, თუნდ უჭკველი იყოს მისი დანაშაული. უფლის დიდების მსგავსება კი, მმართველი ჩვენი, ჩვენი ბელადი, ღვთით რჩეული უფლის ნაცვალი, მირონცხებული, მრავალი წლის გვირგვინოსანი, უნდა მისსავე ქვეშევრდომმა გაასამართლოს და თვითონ მეფე არ დაისწროს? გვიხსენ, უფალო, რათა ჭეშმარიტ ქრისტიანთა წმიდა სულებმა ასეთი შავი, ურცხვი საქმე არ ჩაიდინონ. ქვეშევრდომი ვარ და ქვეშევრდომთ მიემართავ ასე, მეფის დამცველად უფლის მიერ შთაგონებული. ლორდი ჰერფორდი, რომელსაც თქვენ მეფეს უწოდებთ, ამაყ ჰერფორდის მეფის ურცხვი მოღალატეა. და თუ მას გვირგვინს თავს დაადგამთ, წინასწარ ვიტყვი, ინგლისელთ სისხლით დედამიწა გაიპოხება და იკვნესებენ მომავალი საუკუნენი. თურქს და ურჯულთ ესტუმრება მშვიდობა ძილად და აქ, მშვიდობის სამყოფელში, ატყდება ომი, მმა — ძმის და გვარის წინააღმდეგ აღდგება გვარი! უწესობა, ზარი, ჯახეი, შიშინობა

დაისადგურებს ამ ქვეყანას და დაერქმევა მას თვით გოლგოთა, ველი მკედართა თავის ქალათა. თუ აამაღლებთ ამ სახლს შეტად იმ სახლის მიმართ, განრდება დიდად სავალალო განხეთქილება, რომლის მსგავსიც კი არ ყოფილა წყვეულ მიწაზე. ნუ იქმთ, ერიდეთ, მაგ ცოდვაზე მოიღეთ ძლევა, თორემ შვილი და შვილიშვილი მოგიტოვლით წყევას.

ნორთამბერლენდი

კარგად იმსჯელეთ, სერ, და, თქვენი გარჯისა გამო, აქვე ამ მძიმე ლალატისთვის პატიმარსა გყოფთ. მილორდ უესტმინსტერ, გთხოვთ თავს იდოთ მოვალეობა გასამართლების დღემდე იყოს იგი დაცული. ლორდნო! ინებებთ მოუსმინოთ თემთა საჩივარს?

ბოლინგბრუკი

შემოიყვანეთ აქ რიჩარდი, რომ ყველას თვალწინ თქვას მან უარი მეფობაზე, მაშინ ეჭვს ჩვენზე ვერვინ მოიტანს.

იორკი

შემოიყვან და ვეახლები. (გადის.)

ბოლინგბრუკი

ლორდებო, ვინც ხართ აქ ჩვენ მიერ დატყვევებულნი, სამსჯავროს დღემდე მოგიყვანეთ თავმდებნი თქვენი. (კარლაილს.)

მეტად მცირე რამ სიყვარული გვინახავს თქვენი და თქვენი ხელის გამოწველმას მცირედ მოველით. (შემოდის იორკი, მეფე რიჩარდთან ერთად და მსახურნი, რომელთაც მოაქვთ გვირგვინი და სხვა.)

რიჩარდი

ვაგლახ! რისათვის მომიყვანეთ მეფის წინაშე, როცა ჯერ იმავე მეფურ აზრებს ვერ გავეყარე, რითაც ვმეფობდი? ჯერ ხომ კიდევ ვერ მისწავლია მამებლობა, ფლიღობა და მუხლთა მოდრეკა. ჯერ დააცალეთ მწუხარებას, რომ შემასწავლოს ეს მორჩილება. მაგრამ თითქოს ეს ხალხი მახსოვს: ისინი თითქოს ჩემნი იყვნენ. ასე არ არის? ისინი ერთ დროს გამარჯვებას შემომძახოდნენ. იუდა ქრისტეს გამარჯვებას ეტყოდა ასე. ქრისტეს იუდამ უღალატა, თორმეტში ერთმა, და მე კი თორმეტ ათასშიაც ვერ ვპოვებ ერთგულს. ღმერთი ჰფარვიდეს მეფეს! „ამინ“, არაიენ იტყვის? მღვდელიცა ვარ და ღიაკვანიც? მაშ კარგი: ამინ. ღმერთი ჰფარვიდეს მეფეს! თუმცა მე არ ვარ მეფე და მაინც ვიტყვი: ამინ, თუ ღმერთს მეფე ვეონივარ. რა სამსახურის გასაწევად მომიყვანეთ აქ?

მოქ. IV

ორკო
იმად, რომ აქვე საკუთარი ნება-სურვილით,
მეფურ დიდებით დაქანცულმა, უარი ბრძანო
სამეფო ტახტზე და გვირგვინზე და შესთავაზო
ჰენრი ბოლინგბრუქს.

რიჩარდი
აქ მომავლეთ ეგ გვირგვინი. ჰა, ბიძაშვილო,
აა, გვირგვინი.
ამ მხარეს ჩემი ხელი ადევს, იმ მხარეს — შენი.
ახლა გვირგვინი ეს ოქროსი — ჭაა უძირო,
სადაც რიგ-რიგად ორი კასრი ივსება სითხით.
ზევითკენ მიდის ცარიელი კასრი ლივლივით
და შეუმჩნეველად მოდის დაბლა წყლით ავსებული.
მე როგორც კასრი, ცრემლით სავსე, ვუძვები ახლა,
ჩემს მწუხარებას თვით ესვამ, თქვენ კი მიდიხართ

მალლა.

ბოლინგბრუქი

მეგონა ბრძანეთ მეფობაზე უარი ნებით.

რიჩარდი

მეფობას დაეთმობ, მაგრამ სევდას ვერ შევცვლი შევებით.
ჩემ წოდებაზე და მამულზე მოილეთ ძლევა,
ხედა კი დამრჩა მაინც: მისი ხელმწიფე მე ვარ.

ბოლინგბრუქი

გვირგვინთან ერთად თქვენ გერთმევათ ზრუნვის
ნაწილიც.

რიჩარდი

ამით არ ხდება ის არც მცირე და არც ადვილი.
ჩემი ზრუნვაა საზრუნავის დაკარგვა ძველის.
შენ კი ახალი საზრუნავის შეძენა გელის.
გაეცი, მაგრამ მაინც დამრჩა, ვერ ვოგბრძენ შევბა,
თუმც საზრუნავი გვირგვინს მისდევს, მე მაინც მრჩება.

ბოლინგბრუქი

ნებაყოფლობით ბრძანებთ უარს მეფის გვირგვინზე?

რიჩარდი

ჰო, არა. დიახ, დიახ. არად ქცევას მოველი,
ამიტომ არას უარსაყოფ, დავთმე ყოველი.
ახლა უყურე, ჩემს თავს როგორ ვაუკეთურებ:
თავიდან ვიხსნი და ვიშორებ მძიმე ტვირთს ამას,
ხელს ვუშვებ სკიპტრას, დამძიმებულს და მოუხეშავს,
ჩემი გულიდან ვიღებ მეფურ ძალაუფლებას,
ჩემივე ცრემლით ჩამოვირეცხ სამეფო მირონს.
ჩემივე ხელით გავცემ ჩემსავ სამეფო გვირგვინს,
ჩემივე ენით უარსაყოფ წმიდა ღირსებას
და ყოველ ნიშანს, ხელმწიფობის ჩემის აღმნიშვნელს,
ბრწყინვალებასა და დიდებას უარყოფ ყოველს,

უარს ვაცხადებ მამულსა და შემოსავალზე,
ვაუქმებ ყველა ჩემს კანონს და ბრძანებულებას.
ღვთით მიეტევოს, ვინც ჩემდამი გასტეხა ფიცი!
შენი ერთგული იყოს უფლის წყალობის ღირსი!
მწუხარებასაც განმავლო არაფრის მქონე,
შენ კი გაამოს, რისიც პოვნის გქონია ღონე!
რიჩარდის ტახტზე დღევრემელ იყავ, სვიანად მჯდარი,
რიჩარდს კი მალე გაღებოდეს სამარის კარი!
უფალმა ჰენრი დაიფაროს, ხელმწიფე ჩვენი,
გვირგვინახდილმა მსურს ვისურვო ბრწყინვალე დღენი!
სხვა რაღა დარჩა?

ნორთამბერლენდი (სთავაზობს ქალღმადს)

მხოლოდ ერთი: ეს წაიკითხოთ,
ეს ბრალდებათ, სამწუხარო დანაშაული,
რომელიც თქვენ და თქვენს თანამდგომთ ჩვენი სამეფოს
კეთილდღეობის წინააღმდეგ ჩაგიდენათ.
როდესაც ამას აღიარებთ, ყველა იფიქრებს,
დამსახურებით ხართ ტახტიდან ჩამოვლებული.

რიჩარდი

აგრე უნდა ვქმნა? თვით გაუფინო ჩემს სიგიჟეთა
ქსოვილი განა? ნორთამბერლენდ კეთილშობილო,
შენი ცოდვებიც ასე ვინმეს რომ ჩაეწერა,
არ შეგრცხვებოდა ამისთანა ჯარის წინაშე
აგრე საქვეყნოდ წაგეკითხა? მაგრამ თუ მაინც
წაიკითხავდი, იქ ჰპრვებდი ერთ თავზარდამცემ
ადგილს, თუ როგორ ჩამოავლე ტახტიდან მეფე,
როგორ გასტეხე დადებული სასტიკი ფიცი,
ჩირქმოცხებული ზეცის წიგნში შეჩვენებული.
თქვენ კი ყველანი, ვინც აქ დგახართ და შემომცქერით,
როგორ მაცდუნებს საკუთარი უბედურება,
თუმც თქვენს შორისაც პილატესებრ ხელს იბანს ზოგი
და გარეგნულად სიბრალულსაც ამყვანებს თითქოს,
პილატენი ხართ: თქვენ მიმეცით ჯვარზე საცემლად,
და ცოდვას თქვენსას ვერ ჩამორეცხს უბრალო წყალი.

ნორთამბერლენდი

მილორდ, იჩქარეთ, წაიკითხეთ ბრალდება ესე.

რიჩარდი

ვერას ხედავენ ცრემლით სავსე ჩემი თვალები
და მლაშე წყალმა ისე მაინც ვერ დამაბრძავა,
რომ აქ მყოფთ შორის მოღალატე ვერ გავარჩიო.
არა, თვალები ჩემს საკუთარ თავს რომ მივაპყრო,
იმასაც ჩავთვლი მოღალატედ აქ სხვებთან ერთად;
აქ სხვებთან ერთად ჩემი სულიც გახდა თანახმა,
რათა ხელმწიფეს შემოსცლოდა შესამოსელი,
დიდებულება ქცეულიყო უმდაბლეს მონად,
მეფე ზვიადი — ქვეშევრდომად, მდიდარი — გლეხად.

ნორთამბერლენდი

ჩემო ბატონო...

რ ი ჩ ა რ დ ი

არა, ბატონი აღარა ვარ შენი, თავზელო, არც არაეისი. არც სახელი მაქვს, არც წოდება, და ნათლობისას რაც სახელი დაურქმევიათ, ისიც წამერთვა⁶. ვაგლახ, შავი დღე გამითენდა! ამ ქვეყანაზე გაეატარე ბევრი ზამთარი და აწ არ ვიცი, რა სახელი ვუწოდო ჩემს თავს. ნეტავე მართლაც ვყოფილიყავ თოელის ხელმწიფე, თამაშისათვის ბოლინგბრუკის მზის ქვეშ დამდგარი, რომ მის სხივთაგან წყლის წვეთებად მთლად დავემდნარიყავ.

კარგი ხელმწიფე, დიდი მეფე, არც დიდად კარგი. თუ ჩემი სიტყვა კიდევ გადის ამ სამეფოში, ნება მომეცით მოვითხოვო სარკის მოტანა, მინდა ვიხილო, რანაირი სახე მაქვს ახლა, დიდებულება რაც ხელიდან გამომეცალა.

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

წავიდეს ვინმე და ახლავე მოართვას სარკე.
(ერთი მხლებელი გადის.)

ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი

ვიდრე აქ სარკეს მოიტანდნენ, ეს წაიკითხეთ.

რ ი ჩ ა რ დ ი

ეშმაკ, მაცალე, მივაღწიო ჯოჯოხეთამდე!

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

ნუ ჩააცივდით, ნორთამბერლენდ, ანებეთ თავი!

ნ ო რ თ ა მ ბ ე რ ლ ე ნ დ ი

უკმაყოფილო დაგვიჩრება თემთა პალატა.

რ ი ჩ ა რ დ ი

უკმაყოფილო არ იქნება, ბევრს წავიკითხავ, როცა ნამდვილად ჩავიხედავ იმ წიგნში, სადაც ჩემი ცოდვები ჩაწერილა: ეს წიგნი მე ვარ.

(მხლებელი ბრუნდება და მოაქვს სარკე.)

მომეცით სარკე და სარკეში დავიწყებ კითხვას. ჯერ არ გაღრმავდა ნაოჭები? უბედურებამ მრავალი მეხი დამატეხა და ჭრილობები ნუთუ მაინც არ გააღრმავა? მლიქვნელო მონაე! გინდა მაამო, როგორც ერთ ღროს ქვეშევრდომები მე მაამებდნენ? ეს იმ კაცის სახეა განა, რომლის ჭერქვეშაც სტუმრად ათი ათასი კაცი იდგა ვოველდღე? ეს იმ კაცის სახეა განა, რომელიც მჭკრეტელთ მზისებრ თვალებს ახუჭვინებდა? ეს ის სახეა განა, რომელს ბევრი თამაშა უნახავს, ვიდრე ბოლინგბრუკმა ჰქმნა უსახურად? დიდება, მყიფე და მსხვერვალი, დანათის სახეს. როგორც დიდება, მსხვერვალი და მყიფეა სახეც.

(ბატაკზე ანარცხებს სარკეს.)

აი, იქ არის, ას ნამსხვერველად გადაქცეული. მღუმარე მეფევე, დაიხსომე, ამისი აზრი: როგორ საჩქაროდ დამიმსხვრია ვარამმა სახე.

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

მაგ თქვენი სახის მხოლოდ ჩრდილი დაუმსხვრევია თქვენი ვარამის აჩრდილს.

რ ი ჩ ა რ დ ი

რაო? გაიმეორე!

ჩემი ვარამის აჩრდილს! ჰა! მაშ, ენახოთ, რა არის: მართალი ვითქვამს, ვარამი მთლად შიგ ჩარჩენილა და გარეგანი გოდებანი, მოთქმა-ტირილი უხილავ სევდის ჩრდილებია მხოლოდ უბრალო, ტანჯული სულის სიჩუმეში რომ წამოზრდილან. თავი და თავი ვახლავთ ესა. გმადლობთ, მეფეო, გულუხვობისთვის, რადგან არა მარტო მომეცი გლოვის მიზეზი, არამედ თვით გლოვაც მასწავლე. ერთი რამ მინდა გთხოვო კიდევ და მერე წავალ. არ შეგაწუხებ ამის შემდეგ ჩემი აქ ყოფნით. შემისრულებ კი?

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

ბიძაშვილო კარგო, მიბრძანე.

რ ი ჩ ა რ დ ი

ბიძაშვილოო კარგო! მეფეს გადავამეტე! როდესაც მეფე ვიყავ, მაშინ მაამებლებად ქვეშევრდომები მყვანდნენ მხოლოდ; ახლა კი თვითონ ვარ ქვეშევრდომი და მეფე კი ცდილობს მაამოს. ისე დიდი ვარ, რომ თხოვნაც კი არა მჭირდება.

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

მაშინ მომთხოვეთ.

რ ი ჩ ა რ დ ი

და მივიღებ?

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

დიახ, მიიღებთ.

რ ი ჩ ა რ დ ი

გამიშვით.

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

საით?

რ ი ჩ ა რ დ ი

საითაც გნებავთ, ოღონდ კი თქვენს თვალს მოვეფარო.

ბ ო ლ ი ნ გ ბ რ უ კ ი

აახლეთ კაცი რამდენიმე — ტაუერამდე.

რიჩარდი

ჩემი მზღებლები გადაიქცნენ კარისკაცებად,
თქვენ ავამაღლათ ჭეშმარიტი მეფის დაცემამ.
(გაღიან მეფე და მცველები.)

ბოლინგბრუკი

შემდეგ ორშაბათს საზეიმოდ ვიკურთხებთ გვირგვინს
და ტახტზე ავალთ. მოემზადეთ, დიდებულებო.

(გაღიან ყველანი, გარდა კარლაილის ეპისკოპოსისა, უესტ-
მინსტერის აბატისა და ოპერლისა.)

აბატი

სანახაობა სავალალო ვიხილეთ მეტად.

კარლაილი

გლოუა წინ გვიდევს. არ შობილან ჯერ ის ბავშვები,
ვისაც დასუსხვენ დღევანდელი ეკალ-ქაცვები.

ომერლი

წმიდა მამანო, ვერაფერი მოუღებს ბოლოს
ჩვენი სამეფოს ამ ჭირსა და ამ ლაქას ბოროტს?

აბატი

მილორდ,
ვიდრე გულწრფელად ჩემს განზრახვას გაგიზიარებთ,
მინდა მანამდე არა მარტო მტკიცედ შემფიცოთ,
რომ საიდუმლოდ შეინახავთ ნათქვამს, არამედ
უნდა შეუწყოთ ხელი, რასაც მე მოვისაზრებ.
ვხედავ, რომ შუბლი შევიჭმუნნათ უკმაყოფილოდ,
გული საესე გაქვთ სიმძიმით, თვალები — ცრემლით,
თუ მობრძანდებით ვახშმად ჩემსას, გაგანდობთ იქვე,
რა საქმით ვფიქრობ გავვითენდეს ღზენის დღე იქნებ.

(გაღიან.)

მოქმედება მესამე

სურათი პირველი

ლონდონი. ტაუერისკენ მიმავალი ქუჩა.

შემოდან დედოფალი და სეფექალები.

დედოფალი

ამ გზით გაივლის მეფე. ეს გზა მიდის კოშკისკენ,
საუბედუროდ კეისარმა რომ ააშენა!

უნდა ამჟამად ბოლინგბრუკის განკარგულებით
მის ქვის წიაღში ჩაამწყვდიონ ჩემი ბატონი.

აქ შევისვენოთ, მიწა ესე, ამბობებული,
თუ მოასვენებს ჭეშმარიტი მეფის მეუღლეს.

(შემოდან მეფე რიჩარდი და მცველები.)

წყნარად, უწყურეთ, თუმც სჯობია, რომ არ უყუროთ,
ჩემი ლამაზი ვარდი როგორ ჭკნება, უმზირეთ,
რომ სიბრაღულით ცვარ-ნამებად გადაქცეულნი,
მას ჭეშმარიტი სიყვარულით ცრემლს აკურებდეთ.

შენ, ძველი ტროის მსგავსებაო? ღირსებით საესევე,
მეფე რიჩარდის საძვალეო და არა რიჩარდ,

შენ, სასტუმროო, სამყოფელო ულამაზესო,
რატომ ჩასახლდა შენში მძიმე სევდა-ნაღველი,

როს ლუღზანაში სიხარული მოსულა სტუმრად?

რიჩარდი

არ შეუერთდე, მშვენიერო, სევდას და ნაღველს
და ამით ჩემი აღსასრული არ დაჩქარო.

წარმოიდგინე ისე, ვითომ ჩვენი წარსული
იყო სიზმარი ბედნიერი; გამოვიღვიძეთ
და ცხადად ენახე სინამდვილე: ძვირფასო ჩემო,
საჭიროებამ მკაცრმა თურმე დამიმძობილა
და სიკვდილამდე შეკრული მაქვს მტკიცე კავშირი.
წადი, სეანეს მიაშურე შენს საფრანგეთში.
ჩვენმა სულებმა უნდა ჰპოვონ ახალ მხარეში
ის გვირგვინები, რაც დავკარგეთ ქვეყნის თარეშით.

დედოფალი

ჩემი რიჩარდი გამოცვლილა სულით და ხორციით,
დასუსტებულა! ბოლინგბრუკმა ნუთუ დაამხო
შენი გონებაც? ნუთუ იგი შენს გულშიც შეძვრა?
ლომი როს კვდება, ტორებს იწვდის წინ და, თუ სხვა

რამ

მსხვერპლი არა ჰყავს დასაგლეჯი, რისხვითა ჰკოდავს
და ფხაჭნის მიწას. ნუთუ შენ კი, მოწაფის მსგავსად,
აიტან სასჯელს მოთმინებით, წკეპლას აკოცებ,
ლაქუცს დაუწყებ მრისხანებას დამამცირებლად,
შენ, ვინც ლომი ხარ და ნადირთა მეფე ნამდვილი?

რიჩარდი

მართლაც მეფე ვარ მე ნადირთა: თუ არ ნადირნი,
დღემდე კაცთ შორის ბედნიერად ვიხელმწიფებდი.
შენ კი, ყოფილო დედოფალო, საფრანგეთისკენ
გასამგზავრებლად მოემზადე, მე მკვდრად ჩამთვალე
და სასიკვდილო სარეცელთან გამომეთხოვე.
ცეცხლთან მიუჯექი გრძელი ზამთრის საღამოობით

კეთილ მოხუცებს და სთხოვე მათ გაამბონ ზოლმე გარდასულ დღეთა ჭირ-ვარამი და მწუხარება. და შემდეგ, ვიდრე უსურვებდე მშვიდობის ღამეს, ნაცვლად ამბავი სამწუხარო უამბე ჩემი, ატირებულნი გაისტუმრე დასაძინებლად. თვით უგრძობელი მუგუზლებიც თანაუგრძობენ შენი მწუხარე ენით ნათხრობ თავგადასავალს და გადმოყრიან თანალობით ნაპერწკლის ცრემლებს. ჩაიფერებულა ზოგი იქვე მწარე ქვითინით, ზოგიც ნახშირის შავი ძაბით შეიმოსება, კანონიერი მეფის აგრე დამხობის გამო.

(შემოდის ნორთამბერლენდი ამალით.)

ნორთამბერლენდი

მილორდ, შესცვალა ბოლინგბრუკმა თავის განზრახვა, ტაუერის წილ მან პომფრეტის გზას გაგვიყენათ. თქვენ კი გიბრძანეს, ქალბატონო, არ დააყოვნოთ და აჩქარებით გაეშუროთ საფრანგეთისკენ.

რიჩარდი

შენ, ნორთამბერლენდ, კიბეებად გადაქცეულხარ და ეხმარები ბოლინგბრუკის ასვლას ჩემს ტახტზე, მაგრამ დიდი დრო აღარ დარჩა იქამდე, ვიდრე მაგ საძაგელი ცოდვის თავი, როგორც მუწუკი გამოირწყება. ისიც მცირედ მოგეჩვენება, ნახევარიც რომ მოგცეს თვისი სახელმწიფოსი, რადგანაც მთელის მიღებაში დახმარებახარ. ის კი იფიქრებს, რომ შენ იცი საშუალება, როგორ ავიდეს უკანონო ხელმწიფე ტახტზე და უსათუოდ ისიც კარგად გეცოდინება, თუ მოისურვებ, როგორ უნდა დაამხო იგი. ავ მეგობართა სიყვარული კაცში შიშს ჰბადებს, შიში — სიძულვილს, სიძულვილს კი ორივე მიჰყავს დამსახურებულ ხიფათის და სიკვდილისაკენ.

ნორთამბერლენდი

ჩემს თავზე იდოს ჩემი ცოდვა და ამით მოვრჩეთ. გამოეთხოვეთ ერთმანეთს და გაიყარენით.

რიჩარდი

ორგზის გამყარეთ კიდევაც თქვენ, ბოროტნი კაცნი, და დამირღვიეთ ქორწინება ორმაგი ჩემი! მე გავეყარე ჩემს გვირგვინსა და ჩემს მეუღლეს. ნება მომეცი დავიბრუნო ფიცი ამბორით და მაინც ვერა, ის ამბორით იყო შეკრული. აწ განგვაშორე, ნორთამბერლენდ; მე გამამგზავრე ჩრდილოეთისკენ — სუსხისა და სნეულებისკენ, საფრანგეთისკენ კი გაგზავნე მეუღლე ჩემი, მაისის მსგავსი საიდანაც მოვიდა იგი, ყოვლად წმიდის ღღის მსგავსად, ისევე გაგზავნე იქით.

დელოფალი

ნუთუ განვშორდეთ ჩვენ ერთმანეთს უნდა სრულებით?

რიჩარდი

ჰო, საყვარელო, ხელებიც და ჩვენი გულებიც.

დელოფალი

მეფეც ჩემთანვე გააძვეუთ თანაზიარად.

ნორთამბერლენდი

ევ იქნებოდა სიყვარული, სიბრძნე კი არა.

დელოფალი

მაშინ მომეცით ნება და მეც მასთანვე წავალ.

რიჩარდი

ერთად ვოღებით შევეართებთ სიმძიმის მრავალს. შენ იქ იტირე, და იცოდე, რომ მეც აქ ვნაღვლობ რადგან ვშორდებით, ჯობს ერთურთთან არ ვიყოთ

ახლოს.

იარე ოხვრით, მეც ვოღებით ვივლი ჩემს გზაზე.

დელოფალი

გზა რაც გრძელია, ოხვრა-კენესით უფროა სავესე.

რიჩარდი

ყოველ ნაბიჯზე ორჯერ მაინც ამოვიოხრებ, მაგრამ გრძელ გზაზე მაინც ამ გულს ვერ მოვიოხებ. სევდასთან მოკლედ შევასრულოთ ნიშნობის წესი, მერეც ხომ დიდხანს გაგრძელდება წუხილი კენესით. ერთი ამბორით დაუადუმოთ ჩვენი ბაგენი: მით გაძლევ ჩემს გულს და შენს გულსაც მით მივაგენი.

(ერთმანეთს კოცნიან.)

მომეცი უკან, არ იქნება გაყოფა სრული, თუ ჩემი გული გაგყვა და შენ მოგიკლა გული.

(ისევ კოცნიან ერთმანეთს.)

კვლავ ჩემი გული დავიბრუნე, ახლა კი წადი, ახლა კი ძალმიძს ჩემი გული მოგიკლა დარდით. ჭირს დაყოვნება ამსუბუქებს და ეხმარება. კიდეც მშვიდობით, დანარჩენი თქვას მწუხარებამ.

(გადაიან.)

სურათი მიორე

იქვე, ოთახი იორკის სასახლეში.

შემოდინ იორკი და მისი მეუღლე

იორკის მეუღლე

მილორდ, თქვენ ბრძანეთ დანარჩენსაც გეტყვიო მერე, როცა ამბავი ცრემლთა დენამ შეგაწყვეტიანთ, ჩვენთა ძმისწულთა ღონდონ ქალაქს შესვლის ამბავი.

ოთკი

პო, სად გაქვრდი?

ოთკის მეუღლე

სამწუხარო ადვილას, მილორდ, ტლანქი ხელები სარკმლებიდან როგორ აყრიდნენ ტლახს და ნაკავს რიჩარდს თავზე მოურიდებლად.

ოთკი

მერე, როგორც ვთქვი, ბოლინგბრუკი, დიდი მთავარი გახურებულსა და ფიცხ რაშზე ამხედრებული, რომელიც თითქოს გრძნობდა მხედრის გულზვიადობას, აუჩქარებლად და ამაყად მიაბიჯებდა.

ყველა იძახდა, ჰფარვიდესო ღმერთი ბოლინგბრუკს! გვერებოდა თვით სარკმელიც ალაპარაკდნენ, ახალგაზრდათა თუ მოხუცთა ხარბი თვალები ელავდნენ ყველა ფანჯარაში და სიყვარულით ჰკრეტდნენ მის სახეს. თვით კედლებზე გამობატული სურათებიც კი თითქოს ერთხმად გაიძახოდნენ:

„ღმერთმა გაცოცხლოს შენ, ბოლინგბრუკ, მოხველ მშვიდობით!“

ბოლინგბრუკი კი ხან ერთ მხარეს და ხან მეორეს მიბრუნდებოდა თავშიშველი, ამაყი რაშის კისერზე უფრო თავდახრილი, და ხალხს პასუხად ეუბნებოდა: „გმადლობთ, გმადლობთ, მამულიშვილი!“ და მიდიოდა გზაზე ასე, სულ ამ სიტყვებით.

ოთკის მეუღლე

ვაგლახ, საბრალო რიჩარდ! ამ დროს ის სადღა იყო?

ოთკი

სწორედ ასეა მაცურებლის თვალი თეატრში: როგორც კი გავა მსახიობი, რომელიც უყვართ, ახლად შემოსულს შეჰყურებენ უყურადღებოდ და მოსაწყენად მიაჩნიათ მისი ყბელობა.

სწორედ ამგვარად, ანდა მეტი ათვალწუნებით უბვერდნენ რიჩარდს და არავინ უძღვნიდა სალამს. არავის უთქვამს მისთვის ერთი: „მოხველ მშვიდობით“; მხოლოდ ტალახი ეყრებოდა ღვთაებრივ თავზე და იგი მშვიდი მწუხარებით მას იშორებდა.

სახეზე ღიმილს განუწყვეტლივ ებრძოდა ცრემლი, როგორც ნიშანი სევდისა და მოთმინებისა.

უშვალს რომ ერთი მტკიცე მიზნით ქეად არ ექცია კაცთა გულები, მოღბებოდნენ მათ უნებურად, და ბარბაროსიც კი უთუოდ შეიბრალებდა.

მაგრამ ეტყობა ჩარეულა აქ უფლის ხელი და უმაღლესი მისი ნების ჩვენა ვართ მცველი. ქვეშევრდომობა დაუშუქიკეთ ბოლინგბრუკს ფიცით, მისი ღირსების და ამ ფიცის შენახვაც ვიცით.

ოთკის მეუღლე

ჩემი ოპერლი მოდის აქეთ.

ოთკი

ოპერლი იყო, მაგრამ რიჩარდის მეგობრობამ იმას წოდება დააკარგვინა. აწ რატლენდი უნდა უწოდოთ! მეფის წინაშე მის სიმართლეს და ერთგულებას მე დაუუდექი პარლამენტში უკვე თავდებად.

(შემოდის ომერლი.)

ოთკის მეუღლე

მშვიდობით მოხველ, ჩემო შვილო, თქვი, ვინ არიან იგი იანი, ამ გაზაფხულს რომელნიც რთავენ?

ომერლი

ვერ მოგახსენებთ, ქალბატონო, და არც დავეძებ, ეს ვიცი მხოლოდ, რომ ერთ-ერთი მათგანი არ ვარ.

ოთკი

კარგად მოიქეც, გაზაფხულზე იყავ ჰქვიანი, რომ გაფურჩქნამდე არ დაკრიფონ შენი იანი. რა ხდება ოქსფორდს? ისევ ლხინი და ორთაბროლა?

ომერლი

ღიახ, ბატონო, როგორც ვიცი, აგრეა მართლაც.

ოთკი

შენც იქით მიხვალ, როგორც ვიცი.

ომერლი

თუ უფალი ხელს არ შემეშლის, აგრე იქნება.

ოთკი

ეგ რა ბეჭედი გიკიდა მკერდზე, მაჩვენე. ფერი რად მიგდის? აბა, ერთი ვნახო ნაწერი.

ომერლი

არაფერია, მილორდ.

ოთკი

მაშინ ნახვას რა უშლის! მეც კმაყოფილი შევიქნები. აბა, მაჩვენე.

ომერლი

თქვენს ბრწყინვალეობას ვევედრები ეს მომიტყვოს: ქალაღლი გახლავთ, მეტად მცირედ მნიშვნელოვანი და ვერ გაჩვენებთ ზოგიერთი მიზეზის გამო.

ოთკი

უნდა მაჩვენო ზოგიერთი მიზეზის გამო. მე ვშიშობ, ვშიშობ...

ოთკის მეუღლე

რა გაშინებს? ვერ გამიგია, ჩანს, ეს ქალაღლი რაღაც ვალის ხელწერილია, ახალ ტანსაცმელს თუ იკერავს ზეიმისათვის.

იორკი

თავის მოვალე? რაღად უნდა მამ ხელწერილი?
თუ თავის თავის მოვალეა, ბრიყვო დიაცო?
მარეენე-მეთქი ეგ ქაღალდი.

ომერლი

გთხოვთ, მომიტყეოთ, ჩვენება კი არ შემიძლია.

იორკი

მინდა დავრწმუნდე! მომე-მეთქი, შენ გეუბნები.

(ქაღალდს გამოსტაცებს და კითხულობს.)

ეს დალატია! არამზადავ! გამცემო, მონავ!

იორკის მეუღლე

რა ამბავია, მილორდ?

იორკი

ჰეი, მანდ რომელი ხარ?

(შემოდის მსახური.)

სწრაფად შეჰკაზმე ჩემი ცხენი. ღმერთო მოწყალე,
რა დალატია, რა დალატია!

იორკის მეუღლე

რა მოხდა, მილორდ?

იორკი

ფეხსამოსები მომიტანე. შეჰკაზმე ცხენი.
ვფიცავ ღირსებას, ჩემს სიცოცხლეს, ვიძლევი სიტყვას,
ამ არამზადას მე ბრალს დავებ.

(მსახური გადის.)

იორკის მეუღლე

მიიხარ, რა მოხდა?

იორკი

ჩუმად, სულელო დედაკაცო!

იორკის მეუღლე

არ გავრუმდები! ამიხსენი, რა მოხდა, ომერლ?

ომერლი

დაწვნარდი, დედა. ამის პასუხს ჩემი საბრალო
სიცოცხლე გასცემს.

იორკის მეუღლე

პასუხს გასცემს შენი სიცოცხლე?

იორკი

ფეხსამოსები მომიტანე, მეფესთან მივალ.

(მსახური ბრუნდება და შემოაქვს ფეხსამოსები.)

იორკის მეუღლე

გაარტყი, ომერლ, შე საბრალო, მთლად დაიბენი.
(მსახურს.) გასწი აქედან, არამზადავ! არ დაშენახვო.
(მსახური გადის.)

იორკი

ფეხსამოსები მომე-მეთქი, მე გეუბნები.

იორკის მეუღლე

რა გინდა, იორკ, რას აპირებ?
ნუთუ შენი ძის დანაშაულს არ დაიფარავ?
განა კიდევ გვყავს შვილი ანდა კვლავ გვეყოლება?
დრო გამივიდა, განა კიდევ გაეაჩენ შვილებს!
გინდა მოსტაცო ვაჟი-შვილი სიბერეს ჩემსას
და წარმიკეთო ბედნიერი დედის სახელი?
განა შენ არ გვავს, განა შენი შვილი არ არის?

იორკი

გიჟო, უჭკუო დედაკაცო,
გინდა ეს ბნელი შეთქმულება დამამალვინო?
თორმეტმა კაცმა დასლო ფიცი და ეზიარა,
და ამ საქმეში ერთნაირად გარია ხელი,
რათა ხელმწიფე მოკლან ოქსფორდს.

იორკის მეუღლე

ჩვენც ნუ გავუშვებთ,

აქ დავაყოვნოთ. რა მოხდება, რომ არ წავიდეს?

იორკი

გასწი, უჭკუო დედაკაცო! გინდ ოცჯერ იყოს
ეგ ჩემი შვილი, მაინც გავცემ.

იორკის მეუღლე

შენც რომ ჩემსაეით

ამაგი გქონდეს შვილზე, უფრო შეიბრალებდი.
აზლა კი ვხედები! იმას ეჭვობ, რომ ვულაღატე
სარეცელს შენსას და ეს შენი შვილი არ არის,
არამედ ვინმე მაწანწალას ნაბიჭვარია.
კეთილო იორკ, ჩემო ქმარო, ნუ ფიქრობ აგრე.
იგი გვავს ისე, როგორც ძალუმს კაცს კაცსა ჰგავდეს.
მეც კი არა მგავს, არც ნათესავს ჰგავს ვინმეს ჩემსას
და მაინც მიყვარს.

იორკი

ჩამოდექი გზიდან, აჯამო!

(გადის.)

იორკის მეუღლე

მიპყევი, ომერლ! მისსავ ცხენზე დაჯექ და გასწი,
ცხენს დეზი ჰკარი და დაასწარ მეფესთან მისვლა,
და მიტყევა სთხოვე, ვიდრე ბრალს დავებებს იგი.

შპან მოგვები მეც კვალდაკვალ. თუმცა მოვხუციდი,
 მაინც იმედი მაქვს, რომ იორკს არ ჩამოვრჩები.
 წინ დავუწოქებ ბოლინგბრუსსა და არ ავღვები,
 ვიდრე ცოდვას არ გაპატიებს. აბა, წავიღეთ!
 (გაღიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე

უინძორი. ოთახი ციხე-ღარბაზში.

შემოდან ბოლინგბრუკი მეფის შესამოსელით მორთუ-
 ლი, ჰენრი პერსი და სხვა დიდებულები.

ბოლინგბრუკი

ვერაინ მეტყვის ჩემს ხელგაშლილ პირმშოსას რასმე?
 სამი თვე არის, რაც თვალითაც კი არ შინახავს,
 ჰირი თუ ვნებავთ უცნაური, სწორედ ეს არის!
 ძალიან მინდა, ბატონებო, სადმე იპოვოთ:
 სადმე ლონდონის ტავერნებში იკითხეთ იგი
 ამბობენ, მათი სტუმარია ყოველდღიური,
 თვის აღვირახსნილ მეგობართა თანამესუფრე;
 მეგობრობს იმათ, ვინც ფარულად ვიწრო შუკებში
 ჩვენს მცველებს სცემენ და სძარცვავენ გამეღულ-
 გამომეღულთ.

თითონ კი, ბავშვი თავნება და განაზებული,
 თავის ღირსების საქმელა სთვლის თავაშუვებულთა
 ამ ხროვის დაცვას.

ჰენრი პერსი

მილორდ, ორიოდ დღის წინ ვნახე მე უფლისწული,
 ვუთხარი, ოქსფორდს იმართება ზეიმო-მეთქი.

ბოლინგბრუკი

მერე რა ბრძანა ჰეწენიკმა?

ჰენრი პერსი

ასე მომიგო: მე წავალო საროსკიპოში,
 ვველაზე მდაბალ ქმნილებას იქ თათმანს წაყვართმევ
 და ამ წვალობით მოკაზმული ჩამოვადლებო
 ცხენიდან დაბლა უძლიერეს მოასპარეზეს.

ბოლინგბრუკი

თავგასული და უგუნური! მაგრამ ამაში
 მე მაინც ვხედავ საიმედო რაღაც ნაპერწკალს,
 რომელიც შემდეგ გავივლდება საბედნიეროდ.
 ეს ვილა მოდის?

(შემოდის ომერლი.)

ომერლი

სად არის მეფე?

ბოლინგბრუკი

ბიძაშვილო, რა დაგემართა?
 გაშტერებული იყურები როგორც ველური.

ომერლი

ღმერთი გფარვიდეთ, ხელმწიფეო! გემუდარებით,
 მომეციოთ თქვენთან მარტოდმარტო საუბრის ნება.

ბოლინგბრუკი

წაბრძანდით ყველა და დაგვტოვეთ ჩვენ ორნი მარტოდ.

(გაღიან ჰენრი პერსი და დიდებულები.)

აბა, მიბრძანე, ჩვენს ბიძაშვილს რა დაემართა?

ომერლი (ინოქებს)

ჩემი მუხლები საშუღამოდ მიწაზე დარჩეს,
 სასას მიეკროს ენა ჩემი და მიეზარდოს,
 თუ ფეხზე ავღვე ან თუ რამ ვთქვა მიტევებამდე.

ბოლინგბრუკი

განიზრახე თუ აღასრულე დანაშაული?
 თუ განიზრახე მხოლოდ, რა გინდ მძიმე რამ იყოს,
 მე მოგიტევებ, რათა შემდეგ მაინც გიყვარდე.

ომერლი

ნება მომეციოთ გასაღები გადავაბრუნო:
 არ შემოვიდეს ვინმე, ვიდრე ყველაფერს ვეტყვიოთ.

ბოლინგბრუკი

როგორც გენებოს.

(ომერლი კარს კეტავს.)

იორკი (გარედან)

ჩემო ხელმწიფე, გამიგონე! თავს გაუფრთხილდი,
 კარგად იცოდე, შენ წინაშე დგას მოლაღატი.

ბოლინგბრუკი (ხმაღს იშისმელებს)

მაშ, არამზადავ, ამავე წუთს უშიშარს ვაგზბდი.

ომერლი

შურისმგებელ ხელს ნუ აღმართავ, ნურაფერს შიშობ.

იორკი (გარედან)

გამიღე კარი, თავს უაზროდ ნუ გაიმეტებ!
 ნუ მათქმევიანებ სიყვარულით დალატის სიტყვებს.
 გამიღე-მეთქი, თორემ მაინც კარს შემოვამტერე.

(ბოლინგბრუკი ადებს კარს და შემდეგ ისევ კეტავს. შემოდის იორკი.)

ბოლინგბრუკი

რა ამბავია, ბიძაჩემო? ილაპარაკე.
 სული მოითქვი, თქვი, ახლოა საშიშროება,
 რათა ავისხათ იარაღი მის დასახვედრად?

იორკი

აჰა, ეს კარგად წაიკითხე და შენ შეიტყობ
ლალატის ამბავს, სინჯარისგან რომ ვეღარ მითქვამს.

ომერლი

როს წაიკითხავ, დაპირება არ დაივიწყო.
მე ვინანიებ, ჩემს სახელს ნუ ამოიკითხავ.
იცოდე, ჩემს ხელს გული ჩემი არ ეთანხმება.

იორკი

ეს, არამზადავ, სწორედ შენი ხელის საქმეა.
მეფევე, ქალაღი მოვავლიჯე მოლალატის მკერდს.
შიში და არა სიყვარული ჰბადებს სინანულს.
ნუ შეიბრალებ, თორემ შენი ეს სიბრაღული
იქცევა გველად და ვერაგი შიგ გულში გიკბენს.

ბოლინგბრუკი

ო, შეთქმულებავ საზიზღარო და თავხედურო!
ო, მოლალატე შეილის მამავ, ჩვენო ერთგულო!
წმინდა, ანკარა ვერცხლის წყაროვ, შეულახველო,
ვისგან წარმოსდგა ეს ნაკადი ტალახიანი,
თავის თავს ბინძურ კალაპოტში რომ სვრის თვითონვე!
სიუხვე შენი სიკეთისა სიავედ ვექცა
და ეგ სიკეთე დიდი მხოლოდ თუ იპატიებს
ამ უკუღმართი შენი შვილის დამღუპველ ლაქას.

იორკი

ჩემი სიკეთე არის ცოდვის შუამავალი
და გამიფლანგავს ჩემს ღირსებას შვილის სირცხვილი,
ვით ხელგაშლილი შვილი ჰფანტავს მამის ქონებას.
მოკვდეს სირცხვილი და იცოცხლოს ჩემმა ღირსებამ,
თორემ ღირსება ამ სირცხვილით მთლად აივსება.
მე მომკლავ, თუკი მას დაზოგავ და შეიცოდებ,
სიცოცხლე მისი მოკლავს მართალს, ასე იცოდე.

იორკის მეუღლე (გარედან)

ჩემო ხელმწიფევე, ღვთის გულისთვის, გამიღე კარი.

ბოლინგბრუკი

ვინ მთხოვნელია, რომ კივის და კარს ამტკრევს ძალით?

იორკის მეუღლე

ძალუაშენი ვარ, მეფეო, ქალი ვარ, ქალი.
გამიღე კარი, ნუ იქცევი ჩემს გამწირველად,
მათხოვარი ვარ და წყალობას ვითხოვ პირველად.

ბოლინგბრუკი

სურათი იქცა სულ სხვა ამბის გამომხატველად:
აწ „მათხოვარი და ხელმწიფე“ გვქვია სახელად.
კარი, საშიშო ბიძაშვილო, გაუღე ღედას,
შენთვის წყალობის სათხოვნელად მოსულა, ვხედავ.

(ომერლი აღებს კარს.)

იორკი

ვინც უნდა გთხოვოს, თუ სათხოვარს დაუთმობ ოღნავ,
ამ შეწყნარებით გაამრავლებ, იცოდე, ცოდვას.
ერთი სახსარი თუ დაჩირქდა, მოჰკვეთე იგი,
და თუ არ მოჰკვეთ, სხვა სახსრებსაც დაღუპავს რიგით.

(შემოდის იორკის მეუღლე.)

იორკის მეუღლე

მეფევე, ამ გულქვა ბერიკაცის მსმენელი ნუ ხარ,
არც თავის თავი, არც სხვა ვინმე, არავინ უყვარს.

იორკი

უჭკუო ქალო, აქ რა გინდა, რას მოეთერი,
კიდევ აწოვო გინდა გამცემს ძუძუ ბებერი?

იორკის მეუღლე

დაწყნარდი, იორკ. (იჩოქებს.) მომისმინე, მეფევე
მრისხანე.

ბოლინგბრუკი

აღექ, ძალუა.

იორკის მეუღლე

არა, ვიდრე არ შემეწყნარებ.
მუხლმოდრეკილი მუღამ ჩოქვით და ზოხვით ვივლი,
არამც მელირსოს ამა ქვეყნად დღეები ტკბილი,
ვიდრე შენგანვე შემეცვლება მოლხენად შფოთი,
და მიუტევებ ჩემს შვილს რატლენდს, პირშავს და
ცოდვილს.

ომერლი

ღედის ვედრებას უურთავ ჩემსას, ვიჩოქებ გვერდით.
(იჩოქებს.)

იორკი

ორივეს თხოვნის წინააღმდეგ ვიჩოქებ ერთი.
(იჩოქებს.)

იცოდე, საქმე შეწყნარებით წავივა ცუდად.

იორკის მეუღლე

განა მართლა გთხოვს! მაგის სახეს შეხედო უნდა:
იგი თამაშობს, არ ემჩნევა ცრემლები თვალზე.
ჩვენ გულითა გთხოვთ, მას პირი აქვს სიტყვებით საესე-
მოსაჩვენებლად გთხოვს ის მხოლოდ, უარს მოელის.
სულის სიდრმიდან მოდის ჩვენი თხოვნა ყოველი.
იგი სიამით ადგებოდა ზეზე მოღლილი.
ჩვენ — მზად ვართ მიწას შევეზარდოთ მუხლებმოყრილი.
თვალთმაქცობაა თხოვნა მისი, მიხვდები ბოლოს.
ჩვენ კი ბეჯითად და გულით გთხოვთ შენდობას
მხოლოდ.

მის თხოვნას დასძლევს ჩვენი, თუკი მოიღებ კიდევ
წყალობას, რაიც გულწრფელ თხოვნას ეკუთვნის კიდევ.

ბოლინგბრუკი
ძალუჩემო, ადექ ზეზე.
იორკის მეუღლე

ნუ მეტყვი „ადექ“,
ეღრე არ გითქვამს „შემინდვია“ და მერე „ადექ“.
რომ ვყოფილიყავ შენი ძიძა, ამასაც ვკადრებ,
როგორ მწყურია სიტყვა იგი, თვითონვე ხელდა.
მითხარ „შეგინდობ“, შემბრალებ, მეფეო, მეტად!
ტყბილია იგი, თუმც მოკლეა და მეტად ძვირი,
მასზე უკეთესს ვერას იტყვის ხელმწიფის პირი.

იორკი
Pardonnez moy³, ფრანგულად თქვი, მეფეო, მოკლედ.

იორკის მეუღლე
მაშინ გამოვა, რომ სიტყვებმა შენდობა მოჰკლეს!
ჩემო მეუღლე, ეჰა, ჩემო ბატონო გულქვა,
გსურს სიტყვას სიტყვა დააჯახო, გაუქრო სუნთქვა.
„გაპატიებო“ ჩვენებურად გვითხრა ეგება,
რადგან ფრანგული, დახვეწილი, არ გაგვეგება.
შენი თვალები ამეტყველდნენ, მათ ანდე ენაც,
შემბრალებ გულში მოუპოვე ადგილი სმენას.
ჩვენს გოდებასა და ვედრებას რომ ჰპოვებ მასში,
ეგებ ისმინო და შენდობა გვიბრძანო მაშინ.

ბოლინგბრუკი
ადექ, ძალუა.

იორკის მეუღლე
ფეხზე დგომას სრულიად არ გთხოვ.
ჩემი თხოვნა ჩემი შვილის შენდობა მართო.

ბოლინგბრუკი
მაშ, შემინდვია, ვით შემინდობს მე თვით უფალი.

იორკის მეუღლე
მუხლმოყრილიც კი ნეტარი ვარ, თავისუფალი.
მაგრამ კვლავ ვშიშობ: რა მიბრძანე? მითხარი ისევ,
შენდობა შენი ამით უფრო გახდება მტკიცე,
სხვა არაფერი შეიცვლება.

ბოლინგბრუკი
სულით და გულით
მე შემინდვია.

იორკის მეუღლე
შენ ხარ ქვეყნის უფალი სრული.

ბოლინგბრუკი
რაც შეეხება ერთგულ სიძეს ჩვენსას და აბატს,
და მათ მომხრეთა მთელ ამ ზროვას, იმათ კვალდაკვალ

დაეღვენება გარდუვალი განადგურება.
ბიძავ კეთილო, რამდენიმე რაზმი გაგზავნე
ოქსფორდს და სხვაგან, სადაც ღვანან მოლაღატენი.
გაუუსწორდები, გეფიცები, მათ შორის ყოველს,
შევიპყრობ ყველას განურჩევლად, სადაც კი ვპოვებ.
მშვიდობით, ბიძავ, ბიძაშვილო, მშვიდობით იყავ
და გაამართლე დედაშენის თხოვნა და სიტყვა.

იორკის მეუღლე
გაგახალისოს ღმერთმა, ჩემო მწუხარე შვილო!

სურათი მეოთხე

სხვა ოთახი ციხე-ღარბაზში.

შემოდან ექსტონი და მსახური.

ექსტონი
ვერ გაიგონე, რა სიტყვები წარმოთქვა მეფემ?
„ნუთუ არა მყავს მეგობარი, რომ მომამშოროს
„ოცნხალი შიში“? განა ასე არ ბრძანა მეფემ?

მსახური
სწორედ აგრეა, ეგ სიტყვები ბრძანა ხელმწიფემ.

ექსტონი
„ნუთუ არა მყავს მეგობარი?“ წარმოთქვა ორჯერ,
გაიმეორა დაჟინებით. აგრე არ იყო?

მსახური
სწორედ რომ აგრე.

ექსტონი
თან ამ სიტყვებზე გამიფარა, მან თვალში თვალი,
თითქოს უნდოდა ასე ეთქვა: „მინდა შენ იყო
სწორედ ის კაცი, ვინც გულიდან შიშს მომამშორებს.
პომფრეტს მყოფ მეფეს გულისხმობდა. ესეც მეყოფა:
მტრის მოშორებით ვუმეგობრებ მეფე მეგობარს.

(გადაინ.)

სურათი მესამე

პომფრეტის ციხე-ღილევი.

შემოდის მეფე რიჩარდი.

რიჩარდი
იმას ვფიქრობდი, რანაირად შევადარო-თქო
ქვეყანას ციხე, რომელშიაც ამჟამად ვცხოვრობ,
რადგან ქვეყანა არის მჭიდროდ დასახლებული
და აქ კი მართო ერთადერთი სულდგმული მე ვარ,

ველარ ვახერხებ შედარებას. მაინც ვიფიქრებ, ვიფიქრებ, ვითომც ღედა არის გონება ჩემი. სული კი — მამა და ორივე არის მშობელი ფიქრთა და აზრთა მომრავლებულ შთამომავლობის. ეს ფიქრები და ეს აზრები დასახლებულან ამ ჩვენს პატარა სამყაროში, მსგავსად ხალხისა: უკმაყოფილო, ხალხის მსგავსად, მაგრამ მათ შორის უკეთესები — ღვთაებრივი აზრები — ეჭვში არეულია და ერთმანეთს ებრძვიან მუდამ სიტყვები ჩვენი.

თუნდ, მაგალითად, „მოლით, შვილნო“; და ამის შემდეგ: „ძნელია მოსვლა, ისე როგორც აქლემისათვის გაძრომა ნემსის ვიწრო ყუნწში“. პატივმოყვარე აზრი კი მუდამ მიისწრაფვის შეუძლებელი სასწაულისკენ. სწორედ ასე ფუჭად ცდილობენ სუსტი ფრჩხილები ამ სამყაროს — ამ ჩემი ციხის კაჟის ნეკნებში გასასვლელი ხვრელის გაყვანას. უძლურნი სიკვდილს პოულობენ სიამაყეში. ზოლო აზრები თვინიერნი თავს იმითილა ინუგეშებენ, არა ვართო ბედის მონებში არცა პირველნი, არც ვიქნებით უკანასკნელნი. ვით უგუნური მათხოვრები, ხუნდებგაყრილნი, იმით ჰფარავენ თავის სირცხვილს, რომ ბევრი მჯდარა მათებრ ხუნდებში და მრავალი იჯდება კიდევე. ის ანუგეშებს მათ და წილხვედრს ის უმსუბუქებს, რომ ეს ვარამი ადრე სხეებსაც გარდაზნომია. აი, ამგვარად, ერთი კაცი მრავალს ვთამაშობ და არავინ მყავს მადლიერი: ზოგჯერ მეფე ვარ, მაგრამ ღალატი მათხოვრის ბედს მანატრებს ზოლმე. როცა გავხდები მათხოვარი, სილატაკისგან გამწარებული ვასკენი მაშინ: მეფობა სჯობდა. ისევ მეფე ვარ, მაგრამ უცებ მომაგონდება, რომ ბოლინგბრუკმა მეფობიდან გადაამყენა და აღარა ვარ არაფერი; მაგრამ, ვინც გინდა იყოს: მე ვიყო თუ სხვა ვინმე, თუკი კაცია, ვერც მე, ვერც იგი ვერ ვიქნებით კმაყოფილები, ვინემ არარად არ ვიქცევით. მუსიკა ისმის?

(მუსიკა.)

პა, პა! შეეწყვეთ ჰანგს! როდესაც ჰანგი ირღვევა, ტკბილი მუსიკაც ხდება მაშინ აუტანელი. კაცის ცხოვრების მუსიკაშიც აგრეთა ხოლმე. მახვილი ყურით კარგად მესმის, რომ დარღვეულა მუსიკის ჰანგი მოშლილ სიმში. მაგრამ სამეფოს დარღვეულ წესრიგს და დაწყებულ უთანხმოებას მაინც დროულად გულისყური ვერ მივაპყვარი. მე დროსა ეკლავდი, მაგრამ ახლა დრო თვითონვე

ეკლავს

და ჟამთასობოლის მთელელ საათად გადაუქცევივარ. ჩემი ფიქრები წუთებია, ოხვრა — წიკწიკი, ჩემი თვალების ზედაპირზე, როგორც ისარი, ჩემივე თითი მათ მსვლელობას აღნიშნავს ზოლმე, როდესაც ცრემლებს, უხვად ნადენს, ჩამომწმენდს იგი.

საათის რეკვა, დრო და ჟამის მანვენებელი, კენესაა ჩემი ხმამალალი, ჩემს გულს რომ ურტყამს, როგორც ზარს. ასე ოხვრა, ცრემლი და ჩემი კენესა წუთებს და საათს მიჩვენებენ. მაგრამ ჩემი დრო ემსახურება ბოლინგბრუკის ამაყ სიხარულს: ვლგავარ ბრიყვეულად, ვით საათის მისის გუგული. ჭკუიდან შემშლის ეს მუსიკა! გაჩუმდეს მაინც! თუმცა უბრუნებს შემლილს იგი ჭკუა-გონებას, ახლა მგონია, გააგიჟებს ბრძენ კაცსაც-მეთქი. მაინც დალოცოს ღმერთმა მისი დამკვრელის გული ეს სიყვარულის ნიშანია და სიყვარული რიჩარდისათვის უცხო გახდა ამ ბოროტ ქვეყნად.

(შემოღის მეჯინიბე.)

მეჯინიბე

მეფეს სიცოცხლე!

რიჩარდი

გმადლობთ, პერო, კეთილშობილო, უიაფესი ათი ვერცხლით ძვირი გამხალე. ვინა ხარ, როგორ შემოსულხარ შენ აქ, ძმობილო აქ ზომ ვერავინ მოღის გარდა კუშტი ძაღლისა, საზრდო რომ მოაქვს და აცოცხლებს უბედურებას.

მეჯინიბე

შენი საწყალი მეჯინიბე ვიყავი, მეფეე, როცა შენ იყავ მეფე. იორკს რომ გაგამგზავრეს, დიდი წვალებით მოვახერხე ამელო ნება ჩემი ბატონის სახე ერთხელ კიდევე მეხილა. როგორ შეწუხდა ჩემი გული, როდესაც ვნახე მეფედ კურთხევის დღეს ლონდონის სავსე ქუჩებში თვით ბოლინგბრუკი იჯდა ლურჯა ბერბერიელზე, ცხენზე, რომელიც ასე ხშირად შენ გატარებდა, რომელსაც ასე ვუვლიდი მე და ვპატრონობდი.

რიჩარდი

ბერბერიელზე იჯდა? ერთი მითხარ, ძმობილო, როგორ მიჰყავდა ცხენს მხედარი?

მეჯინიბე

ისე ამაყად, თითქოს მიწას უკადრისობდა.

რიჩარდი

ამაყი იმით, რომ მის ზურგზე ზის ბოლინგბრუკი! მაგ ჯავლაგს საზრდოს აწოდებდა მეფური ხელი, აი, ამ ხელის თათუნი მას აამაყებდა. არ წაბორძიკდა? არ დაეცა დაბლა ისევე, ვით სიამაყე ეცემა ძირს, და არ მოსტეხა კისერი იმ კაცს, რომელიც ფლობს მას უკანონოდ? შეშინდე, ცხენო! აუვად რად მოვიხსენიო, თუ შენ, შექმნილი მისთვის, რათა კაცს ემორჩილო, მის სატარებლად ხარ შობილი? ცხენი არა ვარ,

მაგრამ ვატარებ სახედარის მსგავსად მძიმე ტვირთს,
ღონეში დადილი, ბოლინგბრუკის დეზით ნაცემი.

(შემოდის მ ე ლ ი ე გ ე, ხელში თეფში უჭირავს.)

მ ე ლ ი ე გ ე (მეჯინიბეს)

წადი, ძმობილო, უფრო შეტ ხანს აქ აღარ იდგე.

რ ი ჩ ა რ დ ი

უკვე დრო არის, თუ გიყვარვარ, წახვიდე კიდეც.

მ ე ჯ ი ნ ი ბ ე

ენით ვერ ვამბობ, რა სათქმელიც ამ გულში მიღევს.

(გაღის.)

მ ე ლ ი ე გ ე

მილორდ, დაიწყეთ, მოგიტანეთ თქვენი სადილი.

რ ი ჩ ა რ დ ი

ჯერ შენ გასინჯე, ჩვეულებრივ, მისი ნაწილი.

მ ე ლ ი ე გ ე

მილორდ, მაგას კი ვერ გაგებდავ: სერ პირს ექსტონი
ეს-ეს არის ხელმწიფეს გამოუგზავნია და ის

მიკრძალავს.

რ ი ჩ ა რ დ ი

ემშამ დაგლაზხროთ ორთავენი, შენცა და ჰენრიც!
მთლად დამეკარგა მოთმინება, დაქანცული ვარ.

(მედილევეს სცემს.)

მ ე ლ ი ე გ ე

მიშველეთ! მიშველეთ! მიშველეთ!

(შემოდან ექსტონი და მსახურები, შეიარაღებულნი.)

რ ი ჩ ა რ დ ი

რაო? სიკვდილი ეპირება ჩემზე თავდასხმას?
შენი სიკვდილის იარაღს სთმობს შენივე ხელი.

(მსახურს გამოსტაცებს ხელიდან იარაღს და ჰკლავს.)

შენც დაიჭირე ჯოჯოხეთში ადგილი სადმე.

(ჰკლავს მეორეს. შემდეგ ექსტონი განემიარავს მას.)

ხელი, რომლითაც გამიწონე ეს გული, ექსტონ,
დაიწვი მარად დაუქრობელ ცეცხლში ეგ ხელი.
ხელმწიფის სისხლით მან შეღება ქვეყანა მთელი.
ამაღლი, სულს შენი ტახტი იქ არის, ზემოთ,
და შენ კი დაბლა დაეშვები, სხეულო ჩემო.

(კვდება.)

ექსტონი

სიამავე და სისხლი მისი დავშირებ ერთად.
ეს ჩემი საქმე სასიკეთო გამოდგეს, ნეტავ!

მაგრამ ეშმაკს კი, რომელსაც ის ჩემთვის ერჩია,
უთქვამს: ეს საქმე აღრიცხული ჯოჯოხეთშია.
ამ მკვლარ ხელმწიფეს ცოცხალ მეფეს მივართმევ

ახლავ.

დანარჩენებს კი თქვენ გაუთხრით ახლავე საფლავს.

(გაღის.)

ს უ რ ა თ ი მ ე ე ქ ს ე

უინძორი. ციხე-ღარბაზი.

საყვირები. შემოდან ბოლინგბრუკი, იორკი, დიდუ-
ბულები და ამაღა.

ბოლინგბრუკი

კეთილო ძიავ, გლოსტერშირის ჩვენს ერთ-ერთ ქალაქს,
საისტერს, როგორც გვატყობინებს ცნობა გვიანი,
აჯანყებულთა ცეცხლმა მისცა დიდი ზიანი.
მაგრამ არ ვიცით, შეიპყრეს თუ მოჰკლეს ისინი.

(შემოდის ნორთამბერლენდი.)

მშვიდობა შენდა, მილორდ, გვითხარ, რა ამბავია?

ნორთამბერლენდი

ჯერ შენს სამეფოს მე ვუსურვებ ბედნიერებას,
მერე კი გეტყვი: დავათენე შენს მტერს დღე შავი,
ლონდონს გაგვზავნე ბლანტის, კენტის, სოლზბერის
თავი.

მათი შეპყრობის ამბავს წერილად დაწერილს ნახავ,
თუ წაიკითხავ შენი თვალით აი ამ ქალაქს.

ბოლინგბრუკი

გმაღლობთ, კეთილო პერსი, შენი გარჯისა გამო,
მიიღებ კიდეც გასამრჯელოს კუთვნილს და ამოს.

(შემოდის ფიცუოტერი.)

ფიცუოტერი

მილორდ, გაგვზავნე ოქსფორდიდან ლონდონისაკენ
მე ბროკასისა და სერ ბენეტ სილის თავები,
ორი საშიში მოლაღალის თავი, რომელთაც
ოქსფორდს დამზობა შენი ჰქონდათ გადაწყვეტილი.

ბოლინგბრუკი

არ დაევიწყებ შენს სამსახურს, რაც კისრად იდგე,
და მის საფასურს ღირსეულად მიიღებ კიდეც.

(შემოდის ჰენრი ჰერსი კარლაილის ეპისკოპოსთან ერთად.)

ჰენრი ჰერსი

შეთქმულთ მეთაურს, უესტმინსტერის აბატს, სინდისის
ქენჯინისა გამო სული კიდეც განტყვებია,

ზოლო სხეული განისვენებს ცივ სამარეში,
მაგრამ აქ გახლავთ კარლაილი. იგი მოელის
მიიღოს მისი სიამაყის ზედღრი ყოველი.

ბოლინგბრუკი

აი, კარლაილ, სასჯელი შენი:
განმარტოებით გაატარე ცხოვრების დღენი.
იპოვე საღმე ღირსეული სავანე წყნარი,
იცხოვრე იქ და დაიმარხე იქვე მკვდარი.
თუმც კარგად ვიცი, ჩემი მტერი იყავი მუდამ,
მაგრამ ღირსების ნაპერწკალი ვცნო შენში უნდა.

(შემოდის ექსტონი თავისი მხლებლებით, რომელთაც
შემოაქვთ კუბო.)

ექსტონი

ღიღო ხელმწიფევე, შენი შიში ამ კუბოში დევს,
აი, აქ არის უსულო და შეცვლილი ფერით
უმძლავრესი და უდიდესი, მთავარი მტერი:
აჰა, მოგართვი ბორღოელი რიჩარდი თავად!

ბოლინგბრუკი

ექსტონ, არ გმადლობ და მაგ საქმეს ჩაგიტვლი ავად.
ჩაგიდენია ეს მკვლელობა ბედითი ხელით,
შევირცხვნივართ მეც და ჩემი ქვეყანაც მთელი.

ექსტონი

ამის ბრძანება, მილორდ, თქვენსავ სიტყვებში ვპოვე.

ბოლინგბრუკი

იმას არ უყვარს საწამლავი, ვინც საჭიროებს,
რიჩარდის სიკვდილს, მართალია, ვნატრობდი დიდხანს,
მაგრამ მაინც მძულს მისი მკვლეელი, მკვდარი კი
მიყვარს.

სინდისის ქენჯნა გარჯისათვის მიიღე ჯილდოდ,
არც ჩემს წყალობას, არც სიკეთეს გაღირსებ თვითონ.
ვითარცა კაენს ღამის ჩრდილი გფარავდეს შავი,
დაძრწოდე ბნელში, არ გამოჰყო დღის შუქზე თავი.
დიდებულებო, ჩემი სული საესება ნისლით.
რათა ვიზარდო, მორწყული ვარ რიჩარდის სისხლით.
მაშ, თქვენც იყავით, როგორც მე ვარ წუხილით საესე,
და ამის ნიშნად თქვენც ძაძები ჩაიცვით ტანზე.
მე გადავწყვიტე მოვილოცო ქვეყანა წმიდა,
ჩემს ცოდვილ ხელებს სისხლი ესე მოვწმინდო მინდა.
გაკვეთ ამ კუბოს მგლოვიარედ სასომიხდილი
და დაეტიროთ ეს უღროო მეფის სიკვდილი.

(გადაიან.)

